ალიო ჭობალია

ჭობალიების საგვარეულო წიგნი

„ზენაარი“

თბილისი
2011

UDC (უაკ) 929.52(479.22)
ქ-602

რედაქტორი: ნონა ქობალია

გამოცემის რედაქტორი: გურაბ ქობალია

გამოცემის სპონსორი: ნაგი ქობალია

წიგნი გამოდის ქობალიების საგვარეულო კაეშირის მხარდაჭერითა და თანადგომით.

გარეკანის პირველ გვერდზე – წალენჯიხის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძრის წარწერა (1384-1396 წ.წ.), სადაც მოხსენიებულია ქობალიების ერთ-ერთი სახელოვანი წინაპარი მახარებელ ქობალია.

© *გამომცემლობა „გენაარი“ თბილისი, მანდუკელის 1.*

ტელ.: 599 343 727

ელ-ფოსტა: zurkob@gmail.com

ISBN 978-9941-9207-3-8

წინასიტყვაობა

საქართველოში ყველა გვარს, მიუხედავად მისი სოციალური კუთვნილებისა არისტოკრატიისა თუ ნაკლებად პრივილეგირებული ფენებისადმი, აქვს სიამაყის საფუძველი, რადგან იგი თავის თავში მეტნაკლებად ატარებს მთელი ერის შესაძლებლობათა ფართო სპექტრს ინტელექტუალური პოტენციალის ჩათელით და გაელილი აქვს გარკვეული ისტორიული გზა, რომელიც დაკავშირებულია როგორც მთელი გვარის, ისე მისი მატარებელი ინდივიდების ღვაწლსა და დამსახურებასთან ერის წინაშე.

გვარიშვილობა ადამიანის ღირსების, მისი გნეობრიობის მაჩვენებლად აღიქმება, პიროვნების თვისებებს ჩვეულებრივ მის გვარსაც უკავშირებენ და თუმცა ამაში აშკარად არის ანარეკლი არქაული წარმოდგენებისა და სტერეოტიპებისა, ვერ უარვყოფთ იმას, რომ გვარის ცხოვრების წესი და ტრადიციები დიდ გავლენას ახდენს მისი მატარებელი ადამიანების სულიერებასა და გენეტიკურ თვისებებზე. ამიტომ არის საესებით ბუნებრივი პიროვნების ძისწრაფება გვარის ისტორიაში ეძიოს თავისი ღირსების დასტური და სახელოვანი წინაპრების ღვაწლსა და გნეობრივ კოდექსში ჰპოვოს ორიენტირები.

ეს მისწრაფება ხშირად ელინდება უძველესი წარსულისადმი რომანტიკულ ინტერესში, რის გამოც გვარის ისტორიაც ლეგენდებით იმოსება. ძნელია მოიძებნოს ხალხი, რომლის წარმოშობისა და შორეული წარსულის შესახებ შეთხზული არ იყოს გღაპრები და ლეგენდები. ზოგჯერ ამ ლეგენდებში ისტორიული სინამდვილეა არეკლილი, ზოგჯერ კი ეს წმინდა წყლის უანგაჟოის ნაყოფია. ასეთი ლეგენდები, გადმოცემები და სხვადასხვა დაუსაბუთებელი განცხადება გვხვდება ამა თუ იმ გვარის წარმოშობასთან დაკავშირებითაც. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი გვარის ისტორიის მკვლევარისათვის საარქივო

საბუთების, სიგელ-გუჯრების, დაეთრების, საეკლესიო ჩანაწერების, ე. წ. მატრიკული წიგნებისა და სხვადასხვა დროს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის აღწერების დოკუმენტების მოძიება. ამას ემატება იმ სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობა, სადაც საუბარია ქართული გვარების ისტორიაზე, წარმომაელობაზე და სხვ. სწორედ ამ მასალებიდან დგინდება, საიდან წარმოიშვა ესა თუ ის გვარი, როდის გეხვდება პირველად საისტორიო წყაროებში, როგორია მისი განსახლების არეალი, მიგრირების ისტორია, რიცხოვნება, ადრინდელი სოციალური სტატუსი და სხვ. ანუ მხოლოდ ამ მასალებით გამყარებული გვარის ისტორია შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ და ერთგვარ დამზღვევად უსაფუძვლო ამბიციებისა და პათოსისაგან, რომლის მიღმა შეიძლება დაიკარგოს ის მოკრძალებული ხიბლი და თავისებურება, რომელიც ამა თუ იმ გვარის ფენომენს თუ მასში გაერთიანებულ ინდივიდებს ახასიათებთ.

რასაკვირველია, გვარის ისტორიის კელევას ცდომილებაც ახლავს, მით უფრო სოციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგარი გვარისას, რადგან, თუ სამეფო და სათავადო გვარების შესახებ ისტორიულ წყაროებში ამ საშიშროებას ქმნის არა იმდენად ინფორმაციის ნაკლებობა, რამდენადაც მეისტორიის (მემატიანის) სუბიექტიეიზმი, შინაგანი თუ დამკვეთის მიერ თავსმოხვეული შეაღმატებული და მაამებლური პათოსი, გლეხური გვარების ყოფა-ცხოვრება ისტორიულ წყაროებში უმრაელეს შემთხვევაში საერთოდ არ არის ან მხოლოდ ეპიზოდურად არის დაფიქსირებული. წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა თავი მოუყაროს ქობალიების შესახებ არსებულ გადმოცემებსა და ამონარიდებს სამეცნიერო და ზემოთ ხსენებული სხვა წყაროებიდან, რომელთა შეჯერება და განსჯა ნაწილობრიე ჩვენ ვცადეთ, ნაწილობრიე მკითხველისათვის მიგვეინდვია.

დაეძენთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი ინტერესი ამ ნაშრომში პრინციპულად შევაჩერეთ გვარის საერთო მახასიათებლებზე და დროისა და ისტორიის მიერ გადამოწმებული ღირსებისა და დამსახურების მქონე გამორჩეულ ინდივიდებზე, რათა თავიდან აგვეცილებინა სუბიექტიეიზმი თანამედროვეთა ღვაწლის შეუსაბამობა, აზრთა სხვადასხვაობა გვარს გარეთ და თვით გვარის წიაღში, რასაც შეუძლია თუნდაც მცირედი ბზარის შეტანა ჩვენი გვარეობრივი ერთობის განცდაში, თუმცა ვიტოვებთ იმედს, რომ დრო, როგორც უტყუარი მსაჯული, მომავალ თაობებს შემოუნახავს ამბავს კიდევ არაერთი ღირსეული პიროვნებისა, რომელნიც ახლო წარსულშიც და დღესაც ჩუმი მუშაკობითა და ვაჟკაცობით ქმნიდნენ და ქმნიან გვარის უახლეს ისტორიას.

ეს წიგნი პირველ რიგში ახალგაზრდებისთვის იწერება, ჩვენი გვარის გამგრძელებლებისათვის, რომელთაც ერთი ქართველი პოეტის სტრიქონის პერიფრაზით ვეტყოდი – „შენ არა გაქვს მეფის გვარი", მაგრამ სრული საფუძველი გაქვს იამაყო შენი გვარიშვილობით, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გვარი დოკუმენტურად (ეპიგრაფიკული ძეგლით) დადასტურებული ერთერთი უძველესია საქართველოში და ამასთან არასამეფო, გლეხური წარმოშობის გვარებში ცოტას თუ მოეძებნება ისე ძველი და მეტყველი დასტური თავისი გვაროვნული ღირსებისა, როგორიცაა ბერისა და ხატმწერის მახარებელ ქობალიას სახეში პერსონიფიცირებული შემოქმედებითი პოტენციალი, ქვეყნის, ღვთისა და ხელოვნებისადმი უანგარო მსახურება.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ ჩვენც გვყავდა უსათუოდ ჩვენი უსახელო უფლისციხელები, რაზეც მიგვანიშნებს ძალიან მწირი, მაგრამ რეალურად არსებული ცნობები იმაზე, რომ ბევრია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ისტორიულ უაქტი და მოვლენა, რომელსაც არ ჩაუვლია ჩვენი გვარისკაცების მოკრძალებული თუ გახმაურებული მონაწილეობის

გარეშე, იქნებოდა ეს, მაგალითად, 1924 წლის აჯანყება, შემდგომი პერიპეტიები ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაცვისთვის, ქართული საეკლესიო ცხოვრების აღორძინებისათვის მაუზერიანი ბოლშევიკებისა და მათი ათეისტი მემკვიდრეების თარეშის შემდეგ და სხვ.

და ესეც არ იყოს, გვაროვნობით სიამაყის საფუძველი შეიძლება იყოს ისიც, რაზეც ასე შესანიშნავად ბრძანა ინდოელმა ბრძენმა რაბინდრანათ თაგორმა: „ბალახი არ ცდილობს ბანიანგის ხედ გადაიქცეს, რის გამოც დედამიწა ყოველ გაზაფხულზე მომხიბლავი მწვანით იმოსებ". არ ვიცი თქვენ როგორ, მაგრამ მე ეს სიბრძნე უფრო მითბობს გულს, ვიდრე გარკვეული თვალსაზრისით სალდაფონური ამბიციის ფორმულა: "ცუდი ჯარისკაცია ის, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობს", თუმცა ამაშიც არის თავისებური ნებოძირი სახელის მაძიებელი ადამიანისათვის, მაგრამ იმ უცილობელი პირობითა და დათქმით, რომ მან ეს სახელი მხოლოდდამხოლოდ ღირსეული გზებით უნდა ეძიოს.

ქართული გვარსახელები ჩვენი ლეღაინის მდიდარი ლექსიკური ფონდის შემადგენლობის ორგანული ნაწილია. მათში ასახულია ქართველი ერის ცხოვრება. ყოველი ცალკეული კუთხე საგანგებო ერთეულია მდიდარ მონაცემებს იძლევა, რაც ერის ისტორიის გამორკვევაში გვეხმარება. აკად. აკაკი შანიძე:

გვარსახელთა მეცნიერულ შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ენობრივი, ისე სხვა თვალსაზრისითაც, რადგან საკუთარი სახელი სხვებთან შედარებით გაცილებით მყარი და გამძლეა და ამავე დროს არქაულიც. სწორედ ამითაცაა განპირობებული მეცნიერთა ფართო ინტერესი ზემოაღნიშნულპრობლემისადმი.

თავი I

გვარის ეტიმოლოგია

გვარსახელი „ქობალია“ და მისი ადრინდელი ვარიანტი „ქვაბალია“, გვარის ხსოვნაში შემორჩენილი საბრისისა და აღქმების თანახმად, წარმოდგება მეგრული სიტყვისგან „ქობალი“ („ქვაბალი“), რომელიც ქართული „ხორბლის“ („ხვარბლის“) შესატყვისია. ამ ვარაუდს ამყარებს გვარსახელების წარმოშობის საკმაოდ ხშირი კავშირი გვარის ძირითად საქმიანობასთან, საგვარეულო ხელობასთან, რაც საყოველთაოდ არის აღიარებული გვარებისა და პირსახელების წარმოშობის შემსწავლელ მეცნიერებაში.

გვარის ეტიმოლოგია გარკვეული ალბათობით შეიძლება დავუკავშიროთ ქვაბალ – ქობალსაც (სვარბალ – ხორბალს), რასაც ბარის ლანდშაფტთან, მიწათმოქმედ, პურის მომყვან მოსახლეობასთან მივყავართ და ქვაბულს, ქვაბლიანსაც („ქვაბი“ სამივე ქართველურ ენაში იდენტური მნიშვნელობისაა), რაც შეიძლება ჩავთვალოთ პირველზე ნაკლებად სარწმუნო, მაგრამ გასათვალისწინებელ არგუმენტად გვარის შესაძლო ლაკადური (მთიანური) წარმოშობისა.

პირველ ვარაუდს ამყარებს ქობალიების ხშირი განსახლება სამეგრელოს ბარში, მთისწინეთსა და შედარებით დაბალ მთიანეთში – ლაკადაში, აგრეთვე გვარის ყოფა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრაედა უშუალო კავშირი მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის კულტურებთან, თუმცა არსებობს საპირისპირო არგუმენტიც – ქობალიების, ქობალიანების განსახლება სვანეთში, გვარის წარმომაელობის მათეული ახსნა და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ლაკადური შტოს ხსოვნაში შემორჩენილი ტრადიცია, რომლის თანახმად, ლაკადელ ქობალიებს წელიწადში ერთხელ უნიშნო თეთრი გვარაკის აყვანა

ემართათ სვანეთში, გვაროვნულ საზვარაკოზე.

თუ უპირატესობას მივანიჭებთ გვარის სემანტიკის ახსნის პირველ ვარიანტს, გასათვალისწინებელია, რომ სვანურ ლექსიკაში არ არსებობს პურის, ხორბლის ამსახველი სიტყვა, რომელიც მიესადაგება მეგრულ ქობალს, მაგრამ აქ ვხედებით მცენარეულთან დაკავშირებულ სხვა მიმსგავსებულ სიტყვას, კერძოდ, „ქობ“-ს ბუჩქის მნიშვნელობით, რომელიც მხოლოდ შორეულად, თითქმის უმნიშვნელოდ უკავშირდება ქობალს ანუ პურს, ხორბალს.

მეორე ვარიანტის სარწმუნოობას ეჭექეშ აყენებს ის, რომ, მართალია, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ქართველურ ენაში და, მათ შორის სვანურშიც, გვაქვს სიტყვა „ქუაბი“/ „ქვაბი“, (მაგ. მეგრულში – ჰიდრონიმი „ქვაბღალი“), მაგრამ გვარის ეტიმოლოგიის ამგვარ ახსნას უარყოფს ტრადიცია და გვარის პოპულაციის სიხშირე ბარში, მისი ტრადიციული საქმიანობის ხასიათი. ეს ეხება „ქობ“-საც, რომელიც წარმოადგენს ისტორიულად დადასტურებული პირსახელების უუძეს – სამეგრელოში (‘ქობალა“) და სვანეთში („ქობე“) და იძლევა საუუძველს მათი მატარებელი ადამიანების მიჩნევისათვის გვარის მამამთავრებად.

ამ არგუმენტს შეიძლება ამყარებდეს ისიც, რომ გვარებში, რომელნიც მხოლოდ მცირე უონეტიკური ცვლილებებით განსხვავდებიან „ქობალიასგან“, უცვლელადაა შენარჩუნებული საერთო ძირი „ქობ“ (შდრ. ქობულია, ქობალიანი). გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ -იან და მისგან შეკვეცით მიღებული -ია სუუიქსები, როგორც გვარსახელის მაწარმოებლები, ოდითგანვე მხოლოდ მამაკაცის სახელებს დაერთოდა (ეს საკითხი ღრმადა აქვს შესწავლილი მრავალ ავტორიტეტულ მკვლევარს, პირველ რიგში, ნიკო ბერძენიშვილს, რომლის მოსაზრებით, საგვარეულოს სახელწოდება საქართველოს მრავალ კუთხეში, მათ შორის, სვანეთშიც და სამეგრელოშიც ადამიანის საკუთარი სახელიდან, გვარის მეთაური მამაკაცის სახელიდან

იწარმოება და ეს სუფიქსები სწორედ შთამომავლობის მამამთავრისადმი კუთვნილების მაჩვენებელია. (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I. თბ. 1964). ამას ადასტურებს, აგრეთვე, სუფიქსი „-ხე“, რომელიც ქალთა გვარების მაწარმოებელია მეგრულში (ქობალხე, საჯიხე და სხვ.), რაც ხაზს უსვამს გვარის წარმოშობის ცალსახა კავშირს მამაკაცთან, მამამთავართან.

სვანურისათვის დამახასიათებელი -იან სუფიქსით ნაწარმოები გვარის „ქობალიანი“ არსებობა და ის, რომ მეგრულ გვარებში, სვანური გვარებისგან განსხვავებით, ეს სუფიქსი სრული ფორმით იშვიათად გვხვდება, არ ნიშნავს რომ ამ სუფიქსის სრული ფორმა უცხოა მეგრულისათვის, იგი ფართოდ გამოიყენება ახლო ნათესაური თუ სხვა ნიშნით ერთობის ნიშნად: ჩქინიანი, შხვაშიანი, (ჩვენიანი, სხვისიანი) და სხვა. ამდენად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მოსაზრება, რომ მეგრული გვარსახელების დაბოლოება -ია უფრო გვიანდელია, ვიდრე სვანური გვარების დაბოლოება -იანი და, შესაბამისად, ქობალია აპრიორი უნდა მიეიღოთ ქობალიანის უფრო გვიანდელ ფორმად და გვარის სვანური წარმოშობის არგუმენტად.

გვარის სვანური თუ მეგრული წარმოშობის დასამტკიცებლად სუფიქსებით კამათი აზრს კარგავს, თუ დაეყრდნობით ამ სუფიქსების მიმართებას საერთო ქართულთან. ამ მხრივ აუცილებელია ვიცნობდეთ სიმონ ჯანაშიას ნაშრომებს, რომელშიც მან ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მასალაზე დაყრდნობით დამტკიცა, რომ სამეგრელოში -ია სუფიქსით გავრცელებული გვარები თავის დროზე -იან, -ან სუფიქსით იყო გაფორმებული, მისი აზრით, -იან რთული სუფიქსია და არის ვარიანტი საერთოქართველური -ან სუფიქსისა, რომლის პირვანდელი და უძველესი ფუნქცია კრებითობა – წარმომავლობის გამოხატვაა. „დროთა განმავლობაში გვარებმა თანხმოვანი „ნ“ დაკარგეს. მეგრ. -ია -იანის ნაშთია, ეს ცხადი ხდება, კერძოდ,

ცნობილ გვარისსახელთა ისტორიულ, და მასთან ერთად, ლიტერატურულ და ცოცხალ ფორმათა შედარებით. ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულ დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში უდრის: „დადია, ლიპარტია, რატია, ბედია. ისტორიული ფორმები დაცული აქვს ქართულს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ქართულ მწერლობასთან ახლოს იდგა, არამედ იმიტომაც, რომ იგი საერთოდ მთლიანი სახით იცავს თავის სუფიქსს სხვა შემთხვევაშიც“ (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959, გვ 40.).

ჩვენი მოსაზრებით, გვარის წარმოშობის ახსნა არა საქმიანობასთან, არამედ პირსახელთან კავშირში სუსტი არგუმენტია იმ საერთო სურათის ფონზე, რომელსაც ქობალიების განსახლების არეალის შესწავლა და ტრადიციული საქმიანობის გათვალისწინება იძლევა.

გვარის წარმომავლობის დაკავშირება პურთან და მეპურეობასთან მყარდება იმ არგუმენტით, რომ პურის კულტურა სამეგრელოს მეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ოდითგან. ძველი კოლხეთი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმოადგენდა ხორბლის ექსპორტიორ ქვეყანას, აღარაფერს ვამბობთ ხორბლის ორასამდე ენდემური ჯიშის არსებობის ფაქტზე, რაც უძველესი ისტორიული დოკუმენტებით არის დადასტურებული.

გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობაში დომინირებს აზრი, რომ მეგრელთა ყოფისთვის, ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის დამახასიათებელია ღომის და არა პურის კულტურა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ღომი, როგორც მარცვლეული მცენარე და როგორც მისგან ნამზადი სურსათი, მეგრელთა ყოფაში პურზე და ხორბალზე გაცილებით გვიან გამოჩნდა, (ეს მით უმეტეს ეხება სიმინდის კულტურას, რომელიც სამეგრელოში დაახლოებით XVIII ს- ის შუახანებიდან

შემოდის) და მხოლოდ უცხო, „საღარიბო“ საჭმელად იყო ცნობილი იმ გომამდეც კი, რომ სტუმრის გამასპინძლება ღომით სირცხვილად და არატრადიციულ, მდაბიურ მიღებად იყო ცნობილი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში.

დამატებითი არგუმენტია ისიც, რომ ერთერთი პირველი ქობალია, რომელიც ისტორიულ წყაროებში, კერძოდ წალენჯიხის ეკლესიის ფრესკულ მოხატულობაზე ჩნდება, დადიანების მშარეულთუხუცესია (იხ. ქვემოთ). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მოვალეობისათვის ადამიანს პიროვნულ ღირსებებთან ერთად ტრადიციული საქმიანობით, პროფესიული ნიშნით არჩევდნენ, ესეც საკმაოდ მკაფიო მინიშნებაა იმაზე, რომ მეპურეობა უძველესი დროიდან წარმოადგენდა ქობალიების პრეროგატივას.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ჩემს მიერ აღრეულ სიყმაწვილეში, შორეულ, 40-იან წლებში ლექობალეს (ჩხოროწყუს რაიონი) უხუცესთაგან, კერძოდ, სოფლის კითხულის მურზა ქობალიასაგან ჩაწერილი კოსმოგონიური გადმოცემა, რომლის თანახმად გვარს მფარველობს პურის ღვთება, უფრო ფართო მნიშვნელობით, მრავალფუნქციური, მიწათქმოქმედებისა და საყოფაცხოვრების ღმერთი დია კოლხური წარმართული ღმერთების პანთეონიდან. დეა – დია არის მატარებელი პლანეტა-ღვთაება იუპიტერის იდენტური ფუნქციებისა, იუპიტერი ძველ რომში ითვლებოდა მიწათმოქმედებისა და მოსაყლის ღვთაებად, მაგრამ ამავე დროს ამ ფუნქციებს შორის (კოლხური დიასაგან განსხვავებით) დაკონკრეტებულია მეპურეთა და პურის ყანების მფარველის ფუნქციაც. მისანიშნებელია ისიც, რომ იუპიტერის მამა თაედაპირველად ბერძნების ღვთაებასთან კრონოსთან იყო გაიგივებული, ისევე, როგორც დია – ცის ღვთაებასთან, ცესთან, ცეიშთან. სხვათა შორის, იუპიტერის კულტი მჭიდროდ არის დაკავშირებული პლანეტა-ღვთაება მერკურთან, რომელიც 495 წელს ოფიციალურად იქნა მიღებული რომაელთა

ღმერთების პანთეონში ახალი უუნქციებით და ამ დროიდან მის კულტს შეერწყა სატურნის, პურის მომცემი ღვთაებისა და ცერერას კულტები. ეს იყო სამწლიანი შიმშილობის შემდეგ, როცა რომში აშენდა მერკურის სახელობის ტაძარი და პურის საკითხიც მოგვარდა და გაჩნდა პურით (და არამხოლოდ) მოვაჭრეთა კლანი, რომელიც ატარებდა მერცატორეს ანუ მერცვურიალესის სახელწოდებას. შესაბამისად, ამ გადმოცემის საფუძველი შესაძლოა გარკვეულწილად უკავშირდებოდეს ხსოვნას კოლხეთში რომაელთა ლაშქრობების შესახებ, რაც, როგორც წესი, გარკვეულ კვალს ტოვებდა არამხოლოდ მომხდურის ძალადობის, არამედ მისი მსოფლმხედველობის ანარეკლის სახით. აქვე დაეძენთ, რომ შესაძლოა ეს იყოს ანარეკლი ლეტენდისა, რომლის თანახმად დია, იგივე იუპიტერი, რომელსაც ძველი გადმოცემებით თექვსმეტი წერილ-წერილი თანამგზავრი ჰყავს (თანამედროვე ასტრონომიის მონაცემებით, – 56), რაც მრავალშვი-ლიანობის, ნაყოფიერების მიმანიშნებელი სიმბოლიკაა, ასტროლოგიური გათვლებით, კოლხი ეარსკვლავთმრიცხველების – მერცხულეების საგრისით მფარველობს გეოგრაფიულ გონას, რომელსაც სამეგრელო მიეკუთვნება. არ არის გამორიცხული, სწორედ ამას უკავშირდებოდეს გვარის ხსოვნაში შემორჩენილი ერთერთი ვერსია, რომლის თანახმად ქობალიების პირველსაცხოვრისი, ბუდე ანუ თარ გუდა არის სოფელი ცაიში (მუგდიდის მუნიციპალიტეტი), სადაც დღესაც ცხოვრობენ ჩვენი გვარისკაცები და თავს ცაიშის სამონასტრო გლეხების შთამომაელებად თვლიან, ხოლო ამ უკანასკნელთ, თავის მხრივ, ცაიშის წარმართულ კულტმსახურთა შთამომაელებად.

განსახლება და რიცხოვნობა

ქობალიებს საქართველოში გავრცელებულ გვართა შორის რიცხოვნობის მიხედვით სამოცდამეცამეტე, ხოლო სამეგრელოში მეთერთმეტე ადგილი უჭირავთ, გვარის განშტოებანი განუვნილია როგორც სამეგრელოს ვაკეში, ისე მთიანეთში, თუმცა მისი ყველაზე დიდი კონცენტრაცია ამჟამად ზუგდიდში გვხედება. 1995 წლის მონაცემებით, მთელს საქართველოში 5209 ქობალიაა, აქედან სამეგრელოში ამ გვარის 3818 კაცი ცხოვრობს. ზუგდიდის რაიონში ეს გვარი რიცხოვობის მიხედვით მეექვსე ადგილზეა, აქ 2340 ქობალია ცხოვრობს, წალენჯიხაში – 630, ჩხოროწყუში – 338.

ყველაზე მეტი 83 კომლი ქობალია სოფელ კორცხელში ცხოვრობს. გარდა ამისა, ქობალიები ცხოვრობენ ლედგებიეში (დღევანდელ სოფელ ოდიშში) – 33 კომლი. დარჩელში – 30 კომლი, დოშაყეში – 22 კომლი, ლიაში – 13 კომლი, ჭოღაში – 12 კომლი, რუხში – 13 კომლი, ცაიშში – 12 კომლი, ნარაზენში – 10 კომლი, ალერტკარში (დღევანდელ გრიგოლიშში) – 9 კომლი, ნაფიჩხუს უბანში – ლექობალესა და ხაბუმეში – 7-7 კომლი, ახალაბასთუმანში 6 კომლი. 1993 წლის შემდეგ აფხაზეთში განხორციელებულ ეთნოწმენდამდე 950 ქობალია ცხოვრობდა აფხაზეთში, კერძოდ, გალში (უპირატესად სოფელ საბერიოში), სოხუმში, ოჩამჩირესა და გუდაუთაში, დღეს მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და სულ რამდენიმე ოჯახი სახლობს თავდაპირველ საცხოვრისში სასიცოცხლო რისკის პირობებში. ამ გვარის უამრავი წარმომადგენელი ცხოვრობს ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში (572 ქობალია). სვანეთის სოფლებში – ლახამულაში, ლახანსა და იდლიანში 15 კომლი ქობალია ცხოვრობს. ამდენივე კომლი გასვანებული ქობალია ცხოვრობს ზუგდიდში. ქობალიები უმნიშვნელო რაოდენობით გეხედებიან აფხაზებს შორისაც, რომელნიც

თავს მოიაზრებენ ეთნიკურ აუხაზებად და, რბილად რომ ვთქვათ ნაკლებად აელესენ ინტერესს ამ მეტამორფოზის საუკეთესოდ ჩაძიების მიმართ.

ქობალიები XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაფიქსირებული არიან აგრეთვე იმერეთის სოფლებში. ამ რეგიონის საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით სოფ იმაშაურში ქობალიები იყვნენ საბატონო გლეხები, კიკნაველეთში შინამოსამსახურეები (მ. კეზევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში. ქუთაისი, 2004).

საინტერესოა, რომ გვარი ქობალია სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებითაც გვხვდება: ესენია ქობალიანი, ქობალავა, ქობალაძე, ქობულია, რაც საკმაოდ ბუნებრივია და ფართოდ გავრცელებული ქართული და არამხოლოდ ქართული გვარების ისტორიაში. ასე მაგალითად, საქართველოში 67 ქობალიანი ცხოვრობს, აქედან 18 – ოზურგეთში, 67 – თბილისში, 10 - ახალქალაქში, ქობალიანების გვარს ეხვდებით საბოსლეებშიც, იმერეთში. საქართველოში 381 ქობალავა ცხოვრობს, აქედან 138 – ბაბაშაში, 83 – თბილისში, 53 – ფოთში; 34 – ქობალაძე, აქედან 10 – რუსთავში, 7 – ბათუმში, 5 – თბილისში.

ჩვენს მიერ მოძიებული ოფიციალური დოკუმენტური და საველე მასალებით, ქობალიები მეტნაკლები რაოდენობით ცხოვრობენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში – თბილისი, ბუგდიდი, სენაკი, მარტვილი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ჯვარი, სოხუმი, გაგრა, გალი, ოჩამჩირე, გუდაუთა, ტყვარჩელი, გულრიფში, მესტია, ვანი, მოსკოვი.

გარდა ზემოხსენებული სოფლებისა – აგუბედიაში (ოჩამჩირის რაიონი), ახალ კინდღში (ოჩამჩირის რაიონი), აჩიგვარაში (გალის რაიონი), ახალდაბაში (ოჩამჩირის რაიონი), ახალსოფელში (გუდაუთის რაიონი), ახუთში (ჩხოროწყუს რაიონი), აძიუბჟაში (ოჩამჩირის რაიონი), ბესლეთში (სოხუმის რაიონი), გასახლებაში (ოკეინორეს უბანი, გალის რაიონი), გორდში (ხონის რაიონი), დიღიჭყოსში (მარტვილის

რაიონი), დრანდაში (გულრიფშის რაიონი), ილორში (ოჩამჩირის რაიონი), კახათში (გუგდიდის რაიონი), კინდღში (ოჩამჩირის რაიონი), კორცხელში (გუგდიდის რაიონი), ლახამულაში (მესტიის რაიონი), ლესელიძეში (ცაგრის გორა), ლესიჭინეში (ჩხოროწყუს რაიონი), ლექობალეში (სოფ. დოშაყეს უბანი, ჩხოროწყუს რაიონი), ლექობალეში (სოფ. ჭოლის უბანი, ჩხოროწყუს რაიონი), ლიაში (წალენჯიხის რაიონი), მერკულა (ოჩამჩირის რაიონი), მერხეულში (გულრიფშის რაიონი), მზიურში (ცხიროგალის უბანი, გალის რაიონი), მუხურში (ჩხოროწყუს რაიონი), ნარაზენში (გუგდიდის რაიონი), ნაფიჩხოეთში (ჩხოროწყუს რაიონი), ოდიშში (გუგდიდის რაიონი), რეჩხში (გალის რაიონი), საბერიოში (გალის რაიონი), სალხინოში (მარტვილის რაიონი) სარაქონში (კორცხის უბანი, ჩხოროწყუს რაიონი), სიდაში (გალის რაიონი), ტალერში (მარტვილის რაიონი), ტამიშში (ოჩამჩირის რაიონი), უახულანში (წალენჯიხის რაიონი), ქექმოუშაფი (სოხუმის რაიონი), შრომა (სოხუმის რაიონი), ცაიში (გუგდიდის რაიონი), ცხუმარში (მესტიის რაიონი), ძველ სენაკში (სენაკის რაიონი), წყურგილში (ოჩამჩირის რაიონი), ჭალაღიღში (სენაკის რაიონი), ჭალეში (წალენჯიხის რაიონი), ჭითაწყარში (გუგდიდის რაიონი), ჯისაშკარში (გუგდიდის რაიონი).

ამ სოფლებისა და ქალაქების ერთ ნაწილში ქობალიების სახლობა მიგრაციით არის განპირობებული, მაგრამ გოგს აქვს საუძველი გვარის პირველსაცხოვრისად მოიაზროს თავი ანუ აქვს პრეტენზია გვარის თარგუღობაზე.

„თარგუდა“ მეგრულად სიტყვასიტყვით „მთაგარ გუდას“, ფართო მნიშვნელობით, ღვთის უბეს; თაყდაპირველ სამყოფლოს, სულის სამშობლოს, საშოს, გვარის პირველსაცხოვრისს ნიშნავს და წარმოადგენს ხევსურული „ბუდის“ ანალოგიას (ხევსურეთში პირველსაცხოვრისში მოსახლეებზე ან უშუალოდ იმ სოფლის მკვიდრთა შთამომაელებზე იტყვიან ბუდის ხევსურები არიანო). ლექსემა „თარგუდა“

უკავშირდება მეგრელთა წარმოდგენებს ნათესაობის საფუძველზე, გვარის საერთო სუბტრატზე – ტყავზე/კანზე, ტყავით ნათესაობაზე. ერთი გვარის ხალხი, ამ წარმოდგენების მიხედვით, საერთო ტყავიდან არის გამოსული ან საერთო საშოდან, რომელიც გუდის ფორმისაა. სხვა გვარის კაცზე, რომელიც გვარმეტმა ვერ იგუა, ან სხვე-ბისგან არის გარიყული, დღესაც იტყვიან სხვა ტყავის კაციაო („შხვანერ ტყებიშ კოჩი რე"), ასევე გარიყული, გაუცხოებული, დაუუასებელი კაცი დანანებით იტყვის ხოლმე თავის თავზე, „რა ტყავი მაქვს ასეთი", „მე სხვაგვარი ტყავისა ვარო" („მუ ტყებ მიღუ თეჯგუა", „შხვანერ ტყებიშ კოჩ ეორექ").

აქ ძალიან საინტერესოა უდღეური ამირანის ტყავის გუდაში მოშუშების ამბავი, ამგვარი წარმოდგენების დანაშრევი გვაქვს წიქარას ზღაპარში, გამოთქმებში „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს", „საკუთარ ტყავს უურთხილდება" და, რაც მთავარია, საერთო ქართულ წარმოდგენებში არსებულ და მრავალი ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალით დადასტურებულ შეხედულებას გვარის, თემის ერთობის საფუძველის შესახებ საერთო, მსგავსი ტყავის/კანის, როგორც ნათესაობის განმსაზღვრელი უაქტორის, ნიშნით (ის. ქვეთავში სომატური სახელები).

როგორც აღვნიშნეთ თარგუდობის, პირველსაცხოვრისის საკითხზე თავიანთი მოსაზრებები და რწმენა-წარმოდგენები აქვთ როგორც სამეგრელოს, ისე სვანეთის სხვადასხვა სოფლებსა და კუთხე-მუხურებს, სადაც ქობალიები სახლობენ... მაგრამ საინტერესოა, რომ თუ, ერთნი, ცალსახად ცდილობენ პირველსაცხოვრისობაზე თავიანთი სოფლების პრეტენზიების გამყარებას, მეორენი ნაკლებად კატეგორიულები არიან ამაში და „არ მალავენ" გადმოცემებს, რომელნიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ამას. კარგია, რომ ამ შემთხვევაში ჭეშმარიტების წყურვილი

მძლავრობს ეიწროჯგუფურ ამბიციებსა და ინტერესებზე.

ასე მაგალითად, სვანი ქობალიები, მათგანვე ჩაწერილი ზეპირგადმოცემის თანახმად, იმ სამი ძმა ქობალიას შთამომავლები არიან, რომელთაგან ერთს სამეგრელოში კაცი შემოკვდომია და სვანეთში გახიზნულა, თუმცა არსებობს საპირისპირო ვერსიაც, რომლის თანახმად, მეგრელი ქობალიები კი არ ასულან მთაში, არამედ ეს სვანი ქობალიები, ქობალიანები ჩამოსახლებულან სამეგრელოს ბარში და მეგრელი ქობალიები მათი შთამომავლები არიან. ამ უკანასკნელთ არგუმენტად მოჰყავთ მთავარი საგვარეულო საბეარაკოსა და გვარის მუარველი ხატის საყანის არსებობა სწორედ სვანეთში. მათ, ვისაც ამ არგუმენტის შეუვალობა საეჭვოდ მიაჩნიათ, თავის მხრივ, საპირისპირო არგუმენტად მოჰყავთ უამრავი მაგალითი იმისა, რომ საგვარეულო და უფრო ფართო მნიშვნელობის ხატ-სალოცავებისა და განძეულის გახიზვნა და მინდობა შეუვალი მთიანეთისა და ქვაბულებისთვის საკმაოდ ხშირია საქართველოს, და არამხოლოდ საქართველოს, ისტორიაში.

გასათვალისწინებელია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარის აბესალომ ტუღუშის მოსაზრებაც: „იმის გამო, რომ უცხოურობა, უცხოკუთხეობა ძველ საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) მიჩნეული იყო გვარის სიკარგის სამტკიცებელ გულუბრყვილო საბუთად, თითქმის ყველა გვარში ითხზვებოდა ლეგენდა გვარის უცხოური, უცხოკუთხური წარმოშობის შესახებ. ისიც, ქობალიები რომ ირწმუნებიან, ჩვენ წარმოშობით სვანები ვართო, ამ მიზეზით უნდა აიხსნას“.

გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ ვერსიას ქობალიების წარმომავლობისა და ეთნიკური კუთვნილების შესახებ, რომელიც ჩვენს თვალსაწიერში წერილობითი სახით პირველად დაფიქსირდა აფხაზურ გაზეთში „აუიბლა“ (№2, 1990 წლის 30 ნოემბერი), რომელიც გუდაუთაში იბეჭდებოდა

90-იან წლებში და რეგისტრირებული იყო როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული გაზეთი. სტატიაში, რომელიც აფხაზური გვარების წარმოშობას ეხება, ჩამოთვლილია გვარები, რომელნიც, სტატიის აეტორის აზრით, ადრე აფხაზები იყვნენ და მხოლოდ შემდეგ „გამეგრელდნენ, ასიმილირებულ იქნენ ქართველთა მიერ“. ამ გვარებს შორის იხსენიება გვარი „ქობალია“, თუმცა რაიმე მცდელობა ამ მოსაზრების არგუმენტირებისა სტატიაში მოცემული არ არის. თავის დროზე ისტორიკოს შალვა ინალიფასგან მსმენია, რომ ქობალიების გვარის რიცხვმრავალი სახლობა სამურზაყანოში მეტყველებს იმაზე, რომ ეს აფსახეთის ძირძველ მკვიდრთა გვარია და მისი მეგრული ძირი და თვითაღქმა მეგრული ეთნოსის ნაწილად, ერთის მხრივ, არის შედეგი მეგრული ენის დომინანტობისა საქართველოსთან, სამეგრელოსთან მოსაზღვრე ზოლში და, მეორე მხრივ, იმისა, რომ გვარები აფხაზეთში შედარებით გვიანდელი მოვლენაა და აღგილობრივმა მკვიდრებმა თავიანთი გვარების „ნათლობა“ მეგრელების მიბაძვით მოახდინეს. მისი შეხედულებით, გვარი მეგრულადაა გაფორმებული, მაგრამ ამ გვარის მატარებლები ანთროპოლოგიურად შეიძლება აფხაზები იყვნენ. შალვა ინალიფასთვის დამახასიათებელ ამგვარ ძიებათა უნიადაგობაზე და არაპოპულარობაზე თავად აფხაზთა შორის მრავალ ფაქტორთან ერთად მეტყველებს ისიც, რომ ამის გამო მათ არ დაუნდიათ ქობალიები და ქობალიების სოფლები აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების და იქ განხორციელებული ეთნოწმენდის დროს, ხოლო რამდენიმე ქობალიას აფხაზობა სრულ ჰარმონიაშია თაყაიშვილების, ნაკაშიძეების, ჭავჭავაძეების, წერეთლებისა და მრავალი სხვა გვარის მატარებელთა აფხაზობასთან ამ თუ იმ მიზეზით, რომელთა განხილვა ამ შემთხვევაში არ არის ჩვენი მიზანი.

როგორც ვნახეთ, ქობალიების გვარი იმდენად ძველია, რომ, უტყუარ პასუხს მის თავდაპირველ საცხოვრისზე ვერც

რაიმე დოკუმენტი იძლევა და ვერც გვარის ფუძეში ეტიმოლოგიური ჩაძიება, თუმცა საზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ჩვენგან არცერთი დაიწუნება ისევე, როგორც არცერთი კილო, „თუ არს ქართული გვარისა“.

ტოპონიმიკა და მასთან დაკავშირებული ლეგენდები

გვარ-სახელი ქობალია უდევს საფუძვლად არაერთ ტოპონიმს. ლექობალე ჰქვია სოფელს, რომელიც მდებარეობს მდ. განას მარცხენა მხარეს, დოშაყეს თემში. საქობალიო ჰქვია სოფელ ლედგებიეს იმ ნაწილს, რომელიც გუგდიდს ემიჯნება სინწის ხეობაში, საქობალიო ჰქვია აგრეთვე უბნებს სოფლებში: ჭითაწყარი (ანაკლიის თემი), მოგირი (დარჩელის თემი), ნარაბენი, განათი და კორცხელი. ლექობალე ჰქვია სოფელ ნაუიჩხოეოს ერთ-ერთ უბანს, აგრეთვე ისტორიული ქართული სოფლის მორკულის უბანს აუხაბეთში, სადაც დღეს ბედის აებედითი ბრუნვით ცეცხლითაა ამოშანთული ქობალიების საცხოვრისები და შესაბამისად სდევნიან ქართულ ტოპონიმებს. ეს ასე იყო ომამდეც, და ყოველთვის ჭირდა ქართული ტოპონიმების, განსაკუთრებით მიკროტოპომინების დიდი ნაწილის ოფიციალურად დარეგისტრირება, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ამოუშანთავი დოკუმენტი მეხსიერების სახით, რომელსაც ვერარა ცეცხლი და მტრობა ვერ ანადგურებს.

კურზუს სიახლოვეს, მარტვილის რაიონში დღემდე გიჩევნებენ ქობალიების ნასადგომარს სახელწოდებით „ქობალიაშ კარე“ (ქობალიას კარავი). ამ ადგილებში მეჯოგე ქობალიები აძოვებდნენ თავიანთ ჯოგებს და ეს უფლება მემკვიდრეობით ჰქონდათ მინიჭებული. სწორედ ამ ტოპონიმთან არის დაკავშირებული გადმოცემა, რომ-

ლის თანახმად აქ ოდესღაც სვანები ჩამოსულან მთებიდან, ქობალიას კარავზე გაჩერებულან და იქ გაყრილან. ერთი ნაწილი იქ დარჩენილა. ამიტომ ამის შემდეგ იქ სულ ქობალიების მთის დასახლება ყოფილა. შემდეგ ბარში ჩამოსულან, მაგრამ კარავი დაუტოვებიათ და ბაფხულზე ამ კარავში ადიოდნენ და ცხოვრობდნენ თურმე. ისინი ქობალიანები ყოფილან. აქ დასახლების შემდეგ მათი გვარი ქობალიად გადაკეთებულა, აქ მოუტანიათ ამათ თავიანთი ძირის ხატი. ხანწკაში, ლემორგიშეში ოხვამე აუგიათ, იქ შემოსული შესაწირავი ფული მიჰქონდათ სვანეთში წმინდა კვირიკეს ეკლესიაში. ხანწკის ეკლესიაც წმინდა კვირიკესი ყოფილა“ (გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ. 1983, გვ. 82-83, თბ. 2000.) ლეგენდას ამყარებს ხანწკის ეკლესიის ძველი ჩანაწერები, რომელიც 1871 წლით არის დათარიღებული და რომელშიც შემწირველთა და მრეველს შორის ქობალიები იხსენიებიან (იხ. ქვემოთ).

წერილობითი და მატერიალური კულტურის, მხარის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტოპონიმიკურ აღრიცხვას. ბევრია საკუთრებასთან დაკავშირებული ადგილის სახელწოდებანიც, სადაც მითითებულია მესაკუთრის სახელი ანუ გვარი, საკუთრების საგანი, როგორიცაა: მიწა, სამჭედლო, ისლი, ფაცხა, წაბლნარი, სოფელი, სიდი, წისქვილი, ეკლესია, სასაფლაო, გორა, ციხე და სხვ. სშირად მესაკუთრეებაც მთლიანად გვარია მითითებული. მაგ. მარღანიეფიშ დიხა (მარღანიების მიწა) და ა. შ.

მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია გვარის სხვადასხვა შტოების სოციალურ დიფერენციაზეც აისახება.

ქობალიების ნაწილი მებეგარე გლეხი იყო, მებეგარე, ბეგარის გადამხდელი მიეკუთვნებოდა გლეხობის მეორე კატეგორიას როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე ძველ სამეგრელოში. იგი უფლებრივად დოლმახორეზე, დილმახორეზე – მოჯალაბეზე მაღლა იდგა. მას ემართა საბატონო ბეგარა – თავებეგარა და რამდენიმე დამატებითიც. გარდა ამისა, ეკისრებოდა ბატონის სამსახურიც და უნდა მიეცა მისთვის თავისი ოჯახის წევრი მუდმივ მოსამსახურედ, ფარეშად ანუ შინაყმად (მოინალედ), რომელიც ბატონის სახლში ყველაფერს აკეთებდა გარდა ღომის ცეხვისა, რაც ყველაზე დამამცირებელ შრომად ითვლებოდა და მხოლოდ მოჯალაბეს ეკისრებოდა, გლეხობის პირველ კატეგორიას.

ქობალიების ერთი შტო გლეხობის ბედა ფენას – „ფიოშების“ – აზატი გლეხების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ეს იყო ერთგვარი გარდამავალი ფენა გლეხობასა და აზნაურობას შორის და წარმოადგენდა ყმობისგან რაღაც მნიშვნელოვანი დამსახურებისთვის განთავისუფლებულ მსახურეულს, რომელთაც ბატონთან სტუმრობისას თუ თანხლებისას აზნაურთა საკადრის პატივს მიაგებდნენ. ამ ფენის გლეხებს თავადაც ჰქონდათ კომლების ფლობის უფლება და ჰყავდათ ყმა-გლეხები – გლეხის გლეხები, რომელთაც მეგრულად კოჩიშ-კოჩი ერქვა. როგორც რაფიელ ერისთავი წერს, აზატი თავისუფალი იყო პირადი ყმური სამსახურისგან და მისი უმთავრესი მოვალეობა იყო ბატონის ხლება ლაშქრობა-ნადირობაში. მებატონისა მას არსებული გადასახადების მხოლოდ ერთი, გარკვეული ნაწილი ემართა. აზატი ბატონს ახლდა მგზავრობაში, ინახავდა და უვლიდა მის ცხენს, უმასპინძლდებოდა ბატონსა და მის

ოჯახს წელიწადში ერთხელ და ა. შ. ზოჯერ აზატის ბეგარა მებეგრისაზე მძიმე იყო, მაგრამ ნაბღაურდებოდა უფრო საპატიო მდგომარეობით და მეტი სიახლოვით ბატონთან.


აზატობას, როგორც აღვნიშნეთ, გლეხს უბოძებდნენ რაიმე დამსახურებისთვის ან პირადი ღირსებისთვის. აზატობას ყიდულობდნენ ფულითაც, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, ქობალიების ისტორიული წყაროებით დადასტურებულ აღმატებულ მდგომარეობას სამეგრელოს მთავრების კარზე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქობალიების აზატობა მათ პირად დამსახურებასთან იყო დაკავშირებული და არა მატერიალურ მდგომარეობასთან, თუმცა არც ეს უკანასკნელი არის დიდად საჭოჭმანო, რადგან კარგი მატერიალური მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, იყო შედეგი და დასტური მისი შრომისმოყვარეობისა და გონიერული მეურნეობრიობისა. ზემოთქმულთან ერთად ქობალიების მატერიალური კეთილდღეობის დასტურია ის ფაქტი, რომ მათ ჰქონდათ კუთვნილების მიმანიშნებელი საკუთარი დაღი ცხენისა და საქონლისათვის, რაც მხოლოდ მაღალი მდგომარეობისა და შეძლების გლეხებისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ქობალიების ყველაზე საპატიო მდგომარეობის მქონე ნაწილი სახასო (ანუ მთავრის კუთვნილი) გლეხი იყო, ნაწილი კი – სადედოფლო.

სახასო გლეხს ჰქონდა საკუთარი, სათაისო, ინდივიდუალური მიწა და სრულიად განსაკუთრებული ადგილი მთავრის, მებატონის ოდელაში. ოდელა გახლდათ მთავრის, მსხვილი ფეოდალის საკუთრებაში არსებული მამული, საყმო და ფეოდალისთვის იგივე იყო, რაც მრეველი მწყემსთან მიმართებაში.

სადედოფლო გლესობა თვით სამთავრო გლეხობაზე მაღლაც კი იდგა თავისი მდგომარეობით. იგი უშუალოდ ემორჩილებოდა და მსახურებდა დადიხე პატონს –

მთავრის მეუღლეს ან დადიანის ასულს და ემართა სადედოფლო ბეგარა, გამოსაღები საკუთრივ მთავრის მეუღლისათვის. ამ ბეგარას კისარი, უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე კი საკულუხო, კულუხი ერქვა, რამდენადაც მას იხდიდნენ გვრის მოსავლით ყოველწლიურად და ერთი გორო ხორბლით თითოეული კომლიდან ყოველ მეორე წელს.



დაღების შეპატრონეთა დასახელება 50. ქობალია, ოდიში.

(ილუსტრაცია – ს. მაკალათიას წიგნიდან „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია", 1941, გვ. 198-209).

ქობალიების კუთვნილება სახასო, სადედოფლო გლესობის კატეგორიისადმი დასტურდება 1854 წელს დადიანების სახლთუხუცესის დათა ჩიქოვანის მიერ შედგენილი გადასახადების დაეთრითაც, რომელშიც ჩაწერილია დედოფლის კუთვნილი 15 კომლი ქობალია. აგრეთვე, ბუგდიდის მუზეუმში დაცული სიგელ-გუჯრებით, (ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაუიელ ერისთავის უონდი №236), რომელთა პირველი პუბლიკაცია აბესალომ ტუღუშს ეკუთვნის.

ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1818-1829 წლებს შორის მანუჩარ შარვაშიძის ქერივმა ქეთევან დადიანმა და მისმა შვილებმა ლედგებიეს მკვიდრ დავით ქობალიას შვილებს – გიგოიას, ქუთიას და ბურდღუს, რომლებიც მას ცაიშის ეკლესიისთვის შეუწირავს, უბოძებია მათი უძეოდ გარდაცვლილი ბიძის ზარამი ქობალიას დანატოვარი

„კაცის სული და ადგილ-მამული, სახლ-კარი“, რისთვისაც მათგან მიუღია სასყიდელი (ქრთამი არანეგატიური მნიშვნელობით) – 100 მარჩილი თეთრი და 200 მარჩილად ღირებული ცხენი.

აბესალომ ტუღუშის მოსაზრებით, რადგანაც ეს სამი ძმა ქობალია ცაიშის ტაძრისთვის შეუწირავს ქეთევან დადიანს, ისინი ცაიშში უნდა გადაესახლებინათ. ამ სოფელში მცხოვრები ქობალიები სწორედ მათი შთამომავლები უნდა იყვნენ.

ამ სამი ძმა ქობალიადან ერთი ბურდღუ (იგივე ბურდღუნია), როგორც დოკუმენტიდან ირკვევა „თათარშიდ გაიყიდა“ და ცაიშელმა ეპისკოპოსმა გრიგოლ ჩიქოვანმა (1777-1823) დაკარგული დავითია ქობალიას შვილი ბურდღუნია ცაიშის ეკლესიის თეთრით დაიხსნა. ეს „ეკლესიის თეთრით დახსნილი ბურდღუნია ქობალია და ორი ობოლი ქობალია ბუცა და ნოჩოია თავისი ადგილ-მამულით“ ქეთევან დადიანმა კელავ ცაიშის ტაძარს შესწირა და ამ გლეხებს ბეგარის გარდა დააკისრა ყოველ აღდგომას ეკლესიისთვის ხუთი მარჩილის სანთლისა და საკმევლის მირთმევა (აბ. ტუღუში, დასახ. წიგნი გე. 84).

დედოფლის მსახური ჩანს ის ჯერგეთა ქობალიაც, რომელსაც მოწმედ ასახელებს ქეთევან დადიანი მის მიერ ჯიეიბა შონიასთვის ბოძებულ აზატობის განახლების წიგნში, რადგან ძნელი დასაჯერებელია მოწმედ, გადასახადებით წელგაწყვეტილი მებეგრე, გლეხის დასახელება.

1844 წელს თავადი დავით ჩიჩუა როსტომ უაღაეას წერდა, რომ ბაკურია ბაკარანძე დაეიჭირე და ხუსუია ქობალიას, ჯუმაშხია თორდიას, გიორგი იავარდავას და უჩარდია შელიას „მიეანდეე“-ო. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფიელ ერისთავის ფონდი № 236), რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ოთხი თანასოფლელი (გვარების გათვალისწინებით ყველანი კორცხელის მკვიდრნი უნდა იყვნენ), თავდებად დაუდგა თავისსავე თანათემელ ბაკურია ბაკარაძეს,

რომლის შთამომავალნი დღეს კორცხელის თემის სოფელ ბაშში ცხოვრობენ და ბაკარანძის გვარს ატარებენ. ქვემოთ, ქვეთავში „საისტორიო წყაროები ქობალიების შესახებ“ კუპიურების გარეშე, პირვანდელი სახით გთავაზობთ დოკუმენტებს, რომელშიც ეს ფაქტებია დაფიქსირებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქობალიების ნაწილი მებეგარე გლეხი იყო, ეფიქრობთ, შთამომავლობისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს, ერთი მხრივ, რამდენად მძიმე იყო მათი ვალდებულება გვარმაღალთა წინაშე და, მეორე მხრივ, რამდენს სწვდებოდა ჩვენი წინაპრების საოჯახო მეურნეობა და მატერიალური და ფიზიკური შეძლება. ქვემოთ გთავაზობთ გასული საუკუნის შუახანებში ჩემს მიერ სოფელ ლექობალეს უხუცესთაგან ჩაწერილ და მრავალი ისტორიული და ეთნოგრაფიული ნაშრომებითა და დოკუმენტებით დადასტურებულ ჩამონათვალს ბეგარებისა, რომელნიც სხვა გლეხების მსგავსად ეკისრებოდათ ქობალიებს XVIII-XIX საუკუნის სამეგრელოში მცირე სახესხვაობით, რაც პოპულაციების, განსახლების არეალითა და დადიანების, ჩიქვანების, ჩიჩუების, უიჩხაიებისა და სხვათა ქეშეერდომობით იყო განპირობებული.

ბეგარები

დუდბეგარა - თავბეგარა

საკულუხო გამოსაღები ვენახზე ძვ. სამეგრელოში, საღედოფლო ბეგარა, იგივე **კულუხი**, რომელსაც უხდიდნენ საკუთრივ მთავრის მეუღლეს. იხდიდნენ ერთი გორო (დიდი მრგვალი) ხორბლით თითოეული კომლიდან ყოველ მეორე წელს.

საკურძუალო კურძუალთა-მეძებართა, ბაზთა სადგომი; გადასახადი ძვ. სამეგრელოში, გლეხს მებატონის ბაზიერ-

მეძებართა შესანახავად ემართა ლარის ძაფი, სამი კოთხო ღომის მარცვალი, ერთი კოკა ღვინო და ერთი ციკანი.

სამაჭარო სამაჭრობო, ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში (განისაზღვრებოდა 1-3 კოკა ღვინით, ერთი ბათმანიდან ერთ ქილამდე ღომით (იგივეა, რაც სამაჭრობო, სამანჭარო); ეაზის ჯიშიცაა ასეთი.

საონთხორო სამარხი, (როცა ვინმე მოკედებოდა მებაღონის ოჯახის წევრთაგან, გლეხები იხდიდნენ 1-5 მანეთს).

სარქვიო საქერივო; ქერიეისთვის განკუთვნილი, ქერივის შესაფერისი; გადასახადი, რომელიც ქერიეი გლეხი ქალის სხვა მებაღონის გლეხზე გათხოვების შემთხვევაში უნდა მიეცა საქმროს ქალის მებაღონისათვის.

საური საურავი, საერობო გადასახადი სამეგრელოს მთავრისთვის, იხდიდნენ ყოველწლიურად, თითოეულ კომლს ემართა 10 შაური.

სამახობო (საპურე გადასახადი, იხდიდნენ ორი კოდი პურით, ერთი ტიკჭორა ღვინით, ერთი ქათმით ან ორი სულუგუნით (იხ. საქობალო ქობალი).

სამენძო სამასპინძლო გადასახადი, გლესს ემართა წელიწადში ერთხელ გამასპინძლებოდა ბაღონსა და მის ოჯახს (იხ. ოჩამური, გოჭკომური).

საქანდაქო საქანდაქო, საღყავე ღორი; ერთგვარი გამოსაღები დადიანთა სამეგრელოში, განისაზღვრებოდა ღორის ტყავის საქალამნე შოლტებით ან ე. წ. ხმელ ბეგარად განკუთვნილი მოზრდილი ღორით, რომლის გატყავება (გოჭისგან განსხვავებით) შეიძლებოდა.

საქობალო ქობალი საპურე პური. ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში. პურის ყოველ მოსავალზე ოჯახს ემართა ორი დიდი მრგვალი პური, ერთი ტიკი ღვინო, ორი კბილი სულუგუნი და ერთი ქათამი (იგივეა, რაც საქობალო, სამახებო).

საცანჭობო აბრეშუმით გადასახადი ძვ. (იგივეა, რაც

საც ანჭობო).

საყველიერო საყეელიერო; იხდიდნენ 30 კბილი ყეელით (კიპ- ვალით), 30-40 კეერცხითა და თეეზით. ყ

საჩექმო საჩექმე; ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში, ქალის გათხოვებისას გლეხი მებატონეს 10 მანეთს უხდიდა.

საციხო დაწესებული იყო ციხეების შესანახად, იხდიდნენ ერთი კოკა ღვინით, ერთი ქილა ღომით ან ხორბლით და ერთი ქათმით.

საჯვარმამო საჯვარისმამო, ერთგვარი გამოსაღები სადადიანოში, შესაწირავი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის და ამ მონასტერში მწირავი მამებისათვის.

საჯიბინო საჯინიბო; გადასახადი დადიანისთვის იხდიდნენ „საჯიბინო ჭკიდით“.

სამეჯოღორო გამოსაღები ბატონის მეძაღლეთათვის ანუ კურბუალებისათვის (იგივეა, რაც სამეჯოღორო ქონდაქი).

სამეჯოღორო ქონდაქი ბატონის მწევარ-მაძებრების მზრდელთა და მწვრთნელთათვის განკუთვნილი გამოსაღები — საშაშხე ღორის ხორცი და ტყავი.

ომესური სამაისო გადასახადი მაისშიეე, გუგულის დაძახებამდე შობილი თიკნით, ითვლებოდა, რომ გუგულის ახმიანების შემდეგ დაბადებული თიკანი სანაშენედ არ ვარგოდა (იგივეა, რაც ობატკური).

სამოურო სამოურაეო, მოურავის შესანახი გადასახადი ძვ. სამეგრელოში.

ონგარალი სატირალი; სამარხი, სამკვდრო; სასიკვდილე (სი ონგარალი შე სასიკვდილე); გამოსაღები იმ შემთხვევისთვის, თუ მებატონის ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა. იხდიდნენ ლობიოთი, ღომის მარცვლით, ღვინით და სხვა სამარხეო ჭამადით, რომლის ოდენობა გლეხის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. თუ ეს გამთარში ხდებოდა, გლეხს ეკისრებოდა საკვები სტუმართა ცხენებისა და

მეჯინიბეებისთვისაც.

ონთხორალი დასამარხი, დასასაფლავებელი; სასიკვდილე; გასათხრელი (ორმო); სამარხი გადასახადი ძვ. სამეგრელოში, რომელიც ემართა მებეგარე გლეხს მებაგონის ოჯახში ვისიმე გარდაცვალების შემთხვევაში (იხ. ონგარალი).

ნათხირი ნათხოვარი; ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში, ემართა მებეგარე გლეხს **ოჩამურის** (ბეგარის სახეობაა) სანაცვლოდ. განისაზღვრებოდა ორი წერილუეხა საქონლით, ღორით ან ცხერით, ორი ქათმით ოჯახის ყოველ წევრზე. უცოლოები და ქვრივები ამ ბეგარისგან თავისუფლდებოდნენ.

ოჭიში გადასახადიცაა ერთგვარი (რამდენიც გურგით გადაიზიდებოდა).

ალაგიში საადგილმამულო, ალაგის ბეგარა ანუ საკომლო-საგლეხო მიწისთვის გამოსაღები. განისაზღვრებოდა 10 ლაღარიკონი სანთლით (იგივეა, რაც დუდბეგარა).

გეძინელ ბეგარა სართი, დამატებითი ბეგარა, რომელიც თავებეგარასთან ერთად ემართათ გლეხებს.

გეძინელი სართი, დამატებითი; მისართული, მას დამატებული, ზედ დართული.

ქანდაქი საქალამნე, გამოყვანილი და შოლტებად აჭრილი ტყავი ღორისა; სატყავე ღორი; ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში ე. წ. ხმელი ბეგარა გადაიხდებოდა საშაშხე ღორით და ტყავით.

საისტორიო წყაროები ქობალიების შესახებ

1812 – 1829 წ.წ. წყალობის წერილი მიცემული ბაგონიშვილ ქეთევან დადიანის მიერ ქობალიებისადმი, პირი (გადაწერილია 1860 წელს მღვდელ მ. მეუნარგიას მიერ)

წყალობითა ღეთისათა ესე მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წერილი დაგიწერინე და გიბოძეთ ჩვენ სრ(ულია)დ სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის ასულმან ქეთევან და ძემან ჩემმან ალექსანდრე და დიმიტრი მანუჩარის ძემან შარვაშიძემ შენ ჩვენგან ცაიშის ეკლესიას შეწირულს ყმას ლეღგებიეს მცხოერებს გოგია, ქუთია და ბურდღუ დავითიას შვილების ქობალიებს ესრედ, რომელ თქვენ შეგწირეთ ცაიშისა ეკლესიასა, რომელიც აქუს შეწირულობის წერილი ჩვენგან მის მაღალ ყ(ოელა)დ უსამღვდელოესობას ცაიშელ მიტროპოლიტს გრიგოლ და ერთი თქვენის ბიძა ზარამი ქობალია უძეოდ მოკუდა და რადგან უძეოდ მოკუდა, ამისი დანარჩენი რაც იყო მე მერგებოდა, მაგრამ, როგორც გული შემიჯერდებოდა ქრთამი გამოგართვი ასი მარჩილი თეთრი და ორასი მარჩილის ერთი ცხენი და მიბოძებია რაც იმ თქვენი ბიძა ზარამი ქობალიას დარჩა, რადგან ეკლესიას შეწირული ჩვენგან იყავით საუშეილოც ეკლესიისათვის უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეწირვამდის მოკუდა ის ზარამი ქობალია და მოგახმაროსთ ღმერთმან რა დარჩა იმ თქვენს ბიძას ზარამს კაცის სული და ადგილ-მამული, სახლ-კარით რისაც მ(ქონებელ)ი იყო ყოელის კაცის ხელშეუვალად მოგახმაროს ღმერთმან ცაიშის ეკლესიის სამსახურშიდ თქუენ და თქუენს ძესა და მომავალს საუკუნოდ და არც ჩვენი ძე და მომავალი და ვინც გედაოს, პასუხი ჩვენ მი(ვ)სცეთ.

რის ამისად სიმტკიცედ თვით დაუსაბამო ღმერთი და

მოწამე ამის სვიმონ დგებუაძე და მის ძმა მამუკია და დავით უაღავა, სორდია ბალია, ქაქუჩელა ბერღებულია. ჩყკ წელსა იანერის იბ-ს, ქეთევან ბატონიშვილის დასტურით ვსწერ მე მღედელი დავით ხუბულავა.

დადიანის ასული ქეთევან.
ეამტკიცებ მე რუსეთისა ღენერალ ლეიტენანტი და
კავალერი მთავარი ლევან დადიანი.

1818 წ. 4 იანვარი, შეწირულობის წერილი ბატონიშვილ ქეთევან დადიანისა ცაიშის ეკლესიისადმი

პირი (გადაწერილი 1960 წელს მღვდელ მიხეილ მეუნარგიას მიერ...) 2509, გვ. 26 - 27

ქ. უმაღლესო ცათაო და უწმინდესო ქერაბინთაო, ცაიშისა ყ(ოველად) წმინდაო უფლისა ღეთისა და მაცხოერისა ჩუენისა იესო ქრისტეს მშობელო, განსუენებელმან მამამან დადიანმან გრიგოლმან მიბოძა მცირე სოფელი ლედგებიე დ ამ სოფლის სამკეიდრო მოსასლე კაცი ქობალიას შვილი რომელისამე მიზეზით თათარშიდ გაიყიდა და ამ ცაიშისა მეხარისხემ მისმა ყ(ოველა)დ სამღვდელოებამ ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ დაკარგული დავითია ქობალიას შვილი ბურდღუნია ცაიშის ეკლესიის თეთრით დაიხსნა და მე გრიგოლ დადიანის ასულმან ბატონის შვილმან ქეთევანმან და ძემან ჩემმან ალექსანდრე და დიმიტრი შევსწირეთ ის ეკლესიის თეთრით დახსნილი ბურდღუნია ქობალია და იმათგან ორი ობოლი ქობალია ბუცა და ნოჩოია თაეისის ადგილ-მამულით, ყოფა-ცხოერებით, წილით და საფლავით, უძებრითა და საძებრითა და ბეგარა რაც რომ მართებია, იმას გარდა ყოელს აღდგომას ხუთი მარჩილს ანუ სამთელისა და ანუ საკმეელის ამ ეკლესიას მიართმიდეს.

მეუღლე ჩემი განსუენებული მანუჩარ შარვაშიძე აქა ცაიშის ეკლესიაზედ დასაუღავებული არის და შევსწირავ განსაძლიერებლად ორნი ძისა(!!) ჩვენისა და განსასუენებლად მიცვალებულის მეუღლისა ჩემისა მანუჩარ შარვაშიძისათვის და სულთა და ხორცთა ჩემთა საოხად.

შეიწირე ყ(ოელა)დ წმინდაო ღეთის მშობელო ქალწულო და რომელმან ამ ქუეყნის მოადგილე მეპატრონემ ეს ჩუენი შეწირული კაცები ცაიშის ეკლესიას გამოსწიროს შეჩუენებულ იყოს ცაიშის ეკლესიისა და წმინდისა სამებისაგან, ათორმეტთა მოციქულთაგან, შეიდთა კრებითაგან, ხოლო მეორედ მოსელას ჩუენის ცოდვის მაგიერი პასუხით განიკითხვის.

მისი უგანათლებულესობის დადიანის ასულის ქეთევანის ბრძანებით დაიწერა ხელითა მღვდელი დაეით ხუბულავასითა. წელსა ჩყიუ იანერის ოთხსა.

ვაწერ ხელს მე დადიანის ასული ქეთევან.
ვამტკიცებ წერილსა ამას დიდი რუსეთის ღენერალ ლეიტენანტი, სხვათა და სხვათა ორდენ-კავალერთ მქონე, სამთა სამთაეროთა მთავარი ლევან დადიანი.

ჩიჩუას შეწირულობის წიგნი,
ბიჭვინთის საბუთთაგან №76

(გამოქვეყნებულია სარგის კაკაბაძის მიერ. იხ. დასაველეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბ. 1921, გვ. 98-99 სარგის კაკაბაძის მიერ დოკუმენტი დათარიღებულია 1696 – 1710 წ.წ – ბით)

(სახელითა) ღთისათა ესე სიტყ – I საქმით საბოლოდ გა (სათაეებელი) უტყუარი დრო დაუდებელ(ი) წიგნი გკადრ/ეთ და მოგართეით ჩვე(ნ ჩიჩუამ) — თქვენ ქრისტეს მიერ კ/ურთხეულია ჩრდილოე/თისა და აფხაზეთის კაგს

პატონს (შიჩ) გრიგოლს, ასრე რომე ჩემს ყმას გაუწყერი ღალატი და ორგულობისათვის და იქ სტუმრად დაესწრაე თქვენი ყმა კანდელაკი სასანიას ძმა და ეშმაკისა მანქანებით შემომერაცსა და გამიწყერით და ბევრს ხან არ შემირიგეთ და გეხვეწეთ და ამისგან უმცროსს გარდასახადს არას დამჯერდით სისხლში და მოგართვით ბერაია ხახუ ორი ვაჟიშვილებით, ძმა მისი ბაბაკოჩი ბერაია მისი ცოლით და სამი შვილებით, კიდე უნცროსი ძმა მათი ბოშიკავა და მისი შვილი და კიდევ მათი სახლიკაცი მახუტია, ესენი ჯუმლად თერთმეტი კაცის სული და ამ თერთმეტს გარეთ მათიეე სახლის კაცი ორი კაცის სული დაგვიწინდებია და ვიყოთ თქვენი გარდამხდელი და იმნორინკაცის სულის ამომყვანებელი. წ ამ საწინდრიანად იქნა ცამეტი კაცის სული. ეს ასრე გაგიითაეოთ, მოგვირთმევია ხახუ ბერაია და მისი სახლის კაცი მათის საზღვარ მიწა მამულითა, შესავალ გამოსაელითა, უძებრითა და საძებრითა, ეკლესიის კარითა, ტყითა, ეელითა, საყანე სათესითა, რისიც მქონებელნი არიან მათის ყოელისა ფერითა უკლისად მოგვირთმევია სხვა ორი ხახუ ბერაიას ქალები გათხოვილი ერთ ტყვედ ჩაგვიყდია და იმიანად და საწინდრიანად იქნა თოთხმეტი კაცის სული და გიბედნიეროს ღ'თნ ჩვენსა სიბრალულსა და მოწყალებასა შინა. რის ამის მოწამე თავად დამბადებელი ღ'თი და კაცთაგან ჩიჩუა გ'ი, უაღავა ვახტანგ, ჩიჩუა შაქარი, ჩიჩუა მოგელი, გეათუა ბუბული, ლოლუა ხოსია.

ამიწერია მდივანს ქობალიას ჯგეგეშიას და მოწამეცა ვარ ამისი. +

ეს დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აღასტურებს ქობალიების დაწინაურებულობას მთავრებისა და მათი ვასალების კარგე და აესებს სურათს, რომლის თანახმად ჩვენი გვარის გოგიერთი წარმომადგენელი საეკლესიო პირი ყოფილა, გოგიერთი მწიგნობარი (ამ

შემთხვევაში თავად ჩიჩუას მდიანი ჯეგეშია ქობალია), რაც გლეხური წარმომავლობის ადამიანისათვის ძნელად მისაღწევი იქნებოდა, რომ არა ბუნებითი გამჭრიახობა, ნიჭიერება და სწავლის სურვილი.

მამამთავრები

მახარებელ ქობალია

თუ ქობალიების გვარის მამამთავრის ხსოვნა ჟამთა დინებამ წაშალა, განგების ნებით, გვარს სიამაყედ შემორჩა მრავალისმეტყველი ცნობები მახარებელ ქვაბალიას შესახებ, რომელიც დასახელებულია წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის 1384-1396 წლებით დათარიღებულ წარწერაში. ეს წარწერა წარმოადგენს უძველეს წყაროს, რომელშიც ჩვენი გვარი იხსენიება და რომლითაც დასტურდება, რომ ქობალიების გვარი მართლაც ძველთაძველია.

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი წარმოადგენს ცენტრალურ გუმბათოვან ნაგებობას. ექვთიმე თაყაიშვილი თელის, რომ იგი აგებულ იქნა არაუგვიანეს X-XI საუკუნისა. თ. სანიკიძე კი ტაძრის აშენების თარიღად მიიჩნევს XII საუკუნის დასასრულს. XV საუკუნეში ამ ტაძარში იქნა გადატანილი საეპისკოპო კათედრა და სწორედ ამას უკავშირდება ქტიტორის, ოდიშის (სამეგრელოს) ერისთაეის ეამეხ დადიანის გადაწყვეტლება მისი განახლებისა და მოხატეის შესახებ. ამ ტაძარში განისვენებენ სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი და მისი მეუღლე ნესტან დარეჯანი, ტაძრის ეზოში განისვენებენ მოძღვრები ნიკოლოზი, კალისტრატე. სამსონი, მაქსიმე, გიორგი თეალთაძეები, ლაზარე კალანდია, აქვე იმარხებოდნენ ლიპარტიანების აღრეული დინასტიის წარმომადგენლები.

წალენჯიხის ტაძრის ქართული და ბერძნული წარწერებიდან ირკვევა, რომ ოდიშის ერისთავს ვამეხ I დაღიანს, რომელიც ტახტზე 1384-1396 წლებს შორის იჯდა, წალენჯიხის მოსახატავად საბერძნეთიდან მხატვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ორი კაცი – ანდრონიკე გაბისულავა და მახარობელ ქვაბალია.

წარწერაში, რომელიც ასომთავრულითაა შესრულებული და წალენჯიხის ტაძრის ერთერთ სვეტზეა მოთავსებული, ნათქვამია: „წარვეგზავნეთ მაცხოვრისა შეწევნითა კონსტანტი(ნე) პოლეს და მოეიყვანეთ ესე კირ მანუელი ევე(ნიკოსი) მა(ხარებელ) ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ვეველდრენით მაცხოვარსა, რათა გვიხსნას ჩვენცა დიდსა დღეს მას განკითხვისასა. ამინ“.

მართალია, ქართულ წარწერაში ქვაბალიას სახელის მხოლოდ პირველი ორი ასო (მა) იკითხება, დანარჩენი კი დაზიანებულია, მაგრამ მისი სახელი კარგად იკითხება ბერძნულ წარწერაში, საიდანაც ვიგებთ, რომ მას ერქვა მახარებელი (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში თბილისი 1951, გვ. 52–53).

რამდენადაც მახარებელ ქვაბალია არის ჩვენი გვარის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი უიცურა, ორიენტირი ჩვენი ზოგადქართული ცნობიერებისა და პოტენციური შესაძლებლობების წარმართვისა. ვუიქრობთ, მნიშვნელოვანია გვარის ისტორიით დაინტერესებულთ აქვე მივაწოდოთ ყველა დოკუმენტი და ავტორიტეტული წყარო, რომელთა ავტორებს შორის არიან საქართველოს ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაჩინო მკვლევარები.

ქართული ხელოვნების ფუნდამენტური ისტორიის ავტორის შალვა ამირანაშვილის ცნობით, რომელიც თავის მხრივ მარი ბროსესა და სიმონ ყაუხჩიშვილის კვლევებსა და სხვა ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა, წალენჯიხის ტაძრის მოხატულობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მახარებელ ქვაბალიას ყალამს ეკუთვნის და მკვეთრად განსხვავდება

ბერძენი მომხატველის ხელწერისაგან ქართული ფრესკული მხატვრობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. გადმოცემით, რომელიც ასევე შალეა ამირანაშვილის მიერ არის დაუიქსირებული „ქართული ხელოვნების ისტორიაში“, ტაძრის ახალი მოხატულობა, შესრულებული ევგენიკოსისა და მისი ბერძენი მოწაუეების მიერ, წეიმას დაუზიანებია და განრისხებულ ვამეყ დადიანს დილეგში ჩაუგდია „უერთა აეად შემგავებელნი“, ხოლო მხატვრობის განახლება და გასრულება ისეე მახარებლისა და ანდრონიკესთეის უბრძანებია, რომელთაც, როგორც დღემდე შემორჩენილი ფრესკები მოწმობს, ჩინებულად შეუსრულებიათ ეს დაეალება. ლეგენდის თანახმად, ვამეყისაგან შეთაეაგე-ბულ ჯილდოთაგან, ქართველებს ბერძენი კოლეგების განთაეისუფლება უთხოეიათ და ამისთეის მიუღწეეიათ კიდეც.

შ. ამირანაშვილისაეე მეორე ნაშრომში, კერძოდ წინასიტყეაობაში წიგნ – ალბომისადმი „ღამიანე“ (მეორე გამოცემა) თბილისი 1980 წ. გვ. 12-14 ეკითხულობთ:

„წალენჯიხის მოხატულობა შეასრულა მახარობელ ქეაბალიასა და ანდრონიკე გაბისულაეას მიერ კონსტანტინეპოლიდან სამეგრელოში საგანგებოდ ჩამოყეანილმა კირ მანუალ ევგენიკოსმა 1384-1396 წწ. შორის. მოხატულობა თაედაპირეელი სახით შემორჩენილია გუმბათის ყელზე, საკურთხეელის აფსიდასა და კათოლიკონის კედლებზე, კათოლიკონისა და გუმბათის კამარები XVII საუკუნეში, წალენჯიხის ეპისკოპოსის ეედემონ ჯაიანის დროს, ნაწილობრიე კლაე შეილესა და მოიხატა, მიუხედაეად ამისა, ძეგლი მთლიანად იმდენად კარგადაა შენახული, რომ სათელ წარმოდგენას გეიქმნის გეიანი პალეოლოგიის ბიზანტიური ფერწერის კონსტანტინეპოლის სკოლაზე.

ამ მოხატულობის შესწაელის საფუძველზე შესაძლებელი ხდება კონსტანტინეპოლის სკოლის ფერწერული მანერისა და სტილის თაეისებურებათა დადგენა.

როდესაც ერთმანეთს ეადარებთ წალენჯიხისა და

უბისის მოსატულობებს, აქ წარმოდგენილ წმინდანთა სახეებს, განსაკუთრებით „საიდუმლო სერობის“ მოციქულებს, მათი იკონოგრაფიული გააზრება იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ზოგადი, საერთო მოელენის გარდა მათ არაფერი აასლოებთ.

წალენჯიხის მოსატულობა ბიზანტიური სკოლაა. შესრულების მანერა ნატიფი, არგისტული, აკადემიურია, კოლორიტი – ციე, სახისა და შარავანდის წინასწარ კონტურულ მონასაზღვე დადებულია ოქროს ფუძე, შემდეგ იგი პირისფერი ტონით (სინგურნარევი ღია ოქრით) იფარება, მასზე მიხაკისფერი წითელი საღებავით გამოიკვეთება სახის დაჩრდილული ადგილები სახის ერთ მხარეზე, მისი მეორე მხარე ღია მწვანე საღებავითაა მოდელირებული; იმავე ტონით აღინიშნება ჩრდილი ქვემო ქუთუთოს ქვეშ და ცხვირისა და კისრის დაჩრდილული ნაწილები. ზემო ქუთუთოს ჩრდილი გადმოცემულია მიხაკისფერი წითელი საღებავით. შემდეგ სინგურსარევი ოქრით ღაწვზე მსუყე ლაქის სახით შეინიშნება სიწითლე. სახის მოდელირება ღაწვებზე, გარე კონტურისკენ მიმართული, სხივისებურად გაზიდული მსუბუქი თეთრი შტრიხებით, ყურიმალებსა და ცხვირის წვერზე, ნიკაპზე სანთლის ანარეკლი მსუყე თეთრი ფერითაა აღნიშნული. ემანუელ ეეცენიკოსის შემოქმედება მთლიანად ბიზანტიური კულტურის ისტორიის დასკვნით ეტაპს უკავშირდება, დროს, როდესაც ბიზანტიური კულტურა ღრმა კრიზისს განიცდის.

კონსტანტინეპოლის სკოლის მანერამ უეხი ეერ მოიკიდა საქართველოში. ამ სტილის თვისებებისა და ტექნიკური ხერხების ნაწილობრივ ასახვას რამდენიმე ძეგლის მოხატულობაში ეხვდებით (წალენჯიხა, ხობი – ეამეს დადიანის ნართექსი და ნაბახტევი). XIV საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის სხვა ძეგლები კი თავისუფალნი არიან ბიზანტიური ფერწერის გავლენისგან“.

„ბერძნული წყაროებიდან ვიგებთ, რომ „მახაროპელ

ქობალია და ანდრონიკე გაბისულავა წალენჯიხის ტაძარში მოღვაწე ბერები იყვნენ. რა ხელობისანი უნდა ყოფილიყვნენ მახარობელ ქობალია და ანდრონიკე გაბისულავა თუ არა მხატვრები, რადგან კარგი მხატვრის შერჩევას ბიზანტიის სატახტო ქალაქში ოდიშის ერისთავი მხატვრებსღა მიანდობდა მხოლოდ. სწორედ მახარობელ ქობალია და ანდრონიკე გაბისულავა უნდა მიეჩნიოთ იმ მხატვრებად, რომლებმაც დიდ ბერძენ მხატვარ მანუელ ეევენიკოსთან ერთად მოხატეს წალენჯიხის ტაძარი. ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მკვლევარები წალენჯიხის ტაძრის მე-14 საუკუნის მოხატულობაში გამოყოფენ სამი სხვადასხვა მხატვრის ხელს. ერთი მათგანის (მთავარანგელოზების ფრესკულ გამოსახულებათა და სხვათა) ავტორი უეჭველად მანუელ ეევენიკოსია. ორი დანარჩენი ხელი კი, რომელთაც აშკარად აზით ქართული ფრესკული მხატვრობის ნიშანი, მახარობელ ქვაბალიას და ანდრონიკე გაბისულავას უნდა ეკუთვნოდეს" (მარი ბროსე).

„ადრეულ საუკუნეებში საქართველოდან სამონასტრო მშენებლობისთვის მიდიოდნენ ღვთისმსახურები. ბაგრატ მეფის დაყინებული თხოვნით ჩამოსულა ათონელი მოძღვარი გიორგი მთაწმინდელი. გიორგი მთაწმინდელი 1065 წელს წავიდა საქართველოდან ათონს... თან 80 უდედმამო და უპატრონო ქართველი ბავშვი მიჰყავდა დიდ მამულიშვილს საბერძნეთს სასწავლებლად".

„კონსტანტინეპოლიდან მოციქულები ესტუმრნენ ბაგრატ მეფეს, კეისარი კონსტანტინე, მეათე დუკა ბაგრატის ასულს, მართას თხოვდა რძლად – თავისი ძის უფლისწულის მიხეილის საცოლედ. დიდი ძღვენითა და დიდი სიხარულით გაისტუმრეს მართა კონსტანტინეპოლს. საპატიო ამალას მიუძღოდა თვითონ გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც საქართველოში თავისი მისია დაესრულებინა და ახლა ისედაც უნდა გამგზავრებულიყო ათონს... თან 80 უდედმამო და უპატრონო ქართველი ბავშვი მიჰყავდა დიდ მამულიშვილს

საბერძნეთს სასწავლებლად და აღსაზრდელად. ობოლი (უდედმამო და უპატრონო) ქართველი ბაეშვების გაგზავნა საბერძნეთს სასწავლებლად ძველთაგანვე ყოფილა და ასე ყოფილა შემდეგშიც. მახარებელ ქობალია (ობოლი) ასე გაგზავნეს სასწავლებლად საბერძნეთს, სადაც დაეუფლა ხატვას, ასწავლიდა ბერძენ ბაეშვებს, შემდეგში უმადურმა ბერძნებმა შეავიწროვეს, სამეგრელოში დაბრუნებულა და წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია მოუხატავს". ლევან სანიკიძის წიგნიდან „დედა ისტორია", ტ. 1. თბილისი, 1086 წ. თბილისი, გვ. 83-84

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, გვარის ისტორია და მამამთავართა, არქეტიპთა ცხოვრება ხშირად ლეგენდებით იმოსება, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა უდევს საფუძვლად გრიგოლ აბაშიძის რომანის „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება" ერცელ პასაჟებს, რომელშიც ცოტნე დადიანის აღმზრდელად და სულიერ მამად მახარებელ ქვაბალიაა წარმოდგენილი, რაც რეალური ამბებისა და მწერლური გამონაგონის ისტორიული რომანისათვის ჩვეული შერწყმის ნაყოფია. მახარებელ ქობალიას ისტორიული ფიგურის ასეთი გააზრება მწერლის მიერ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს მახარებელ ქობალიას, როგორც თავისუფალი შემოქმედისა და მაღალი სულიერების მქონე პიროვნების აღიარებას და ამავე დროს არის მცდელობა ქართველთა წნეობრივი გმირის აღმზრდელის ტიპური სახის შექმნისა.

შეიძლება ვილაპარაკოთ ანაქრონიზმზე, რომელიც განპირობებულია ცღომილებით ცოტნეს ბაეშვობის წლებსა და მახარებლის შესაძლო აღსასრულის დროდ მიღებულ თარიღებს შორის, მაგრამ არ ნიშნავს, რომ მწერალი ძალიან შორს არის ცასული ისტორიული დოკუმენტებით განსაზღერული დროისმიერი ჩარჩოებისაგან და მას, როგორც შემოქმედს, სრული უფლება აქვს იცარაუდოს თუ იგუმანოს ამ თარიღების გადაწევა დამატებითი

წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში. არსებობს არაერთი მაგალითი იმისა, რომ ისტორიკოსის, მწერლის ინტუიცია უფრო სწორი და უტყუარი აღმოჩენილა, ვიდრე წყაროებში დადასტურებული თარიღები, რომელნიც ძირუესვიანად შეუცვლია ახალ აღმოჩენებს.

ქვემოთ გთავაზობთ ფრაგმენტებს გრიგოლ აბაშიძის ხსენებული რომანიდან, რომელშიც ჩვენი წინაპარი გვეელინება კრებით სახედ მოძღვრისა და აღმზრდელისა, რომელმაც გიორგი ჭყონდიდელის კოლოსალურ სახეში მიაღწია.

მახარებელ ქობალიას გარდაცვალება

ფრაგმენტი გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანიდან *„ქართველთა დაცემა და ამაღლება“:*

„დიღხანს ამზადებდნენ ცოტნეს თბილისს გასამგზავრებლად, რამდენიმე ხელი უფლისწულის საკადრისი ტანსაცმელი შეუკერეს, სატახტოსაკენ გამყოლი ამალაც საგანგებოდ შემოსეს და გამოაწყვეს, ცხენებსაც აღკაზმულობა განუახლეს.

ოდიშის მთავარს სჯეროდა, მისი მემკვიდრე ბუნებრივი სათნოებითა და სწავლა-გაწვრთნილობით კარისა და მეფის ყურადღებას მიიპყრობდა. ცოტნე თვალტანადი, მომხიბლავი ყმაწვილი იყო და თუ იგი მეფის კარზე შესაფერისი ბრწყინვალებით გამოცხადდებოდა, ხელმწიფესა და უფლისწულებს თავს მოაწონებდა.

ამ სამზადისში რომ იყვნენ, მთავარი საგვარეულო ტაძრის მშენებლობა, მორთვა და მოწყობაც დამთავრდა.

ტაძრის საკურთხებლად მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი უნდა ჩამოსულიყო და მთელი ოდიში უეხზე იდგა.

ტაძრის ეზოსა და მისასელელ გზებს წმენდდნენ და ალამაზებდნენ, ტაძრის კურთხეის, ნაღიმის თაღარიგს იჭერდნენ, საკლავსა და ფრინველს არჩევდნენ.

ყველაფერი ნავარაუდევი იყო, ნაანგარიშევი და აწონილ-დაწონილი. მხოლოდ მახარებელ ქვაბალიას ვერ დაესრულებინა ტაძრის ერთი კუთხის მოხატვა. აჩქარებდნენ და თავადაც ჩქარობდა. ღამეც ტაძარში რჩებოდა, მუშაობას დილააღრიან იწყებდა და გოგჯერ ბინდი რომ მიუსწრებდა, ხატვას სანთლების შუქზე აგრძელებდა.

სწყინდა, დროს რომ უკვეცავდნენ. ერთი პირობა მთავარს წინააღმდეგობაც შეპბედა, მაგრამ რას გახდებოდა! ჭყონდიდელი აფხაზეთს ეშურებოდა იქაური საქმეების გასარიგებლად და რაკი თავად ინება ოდიშის ახალი ტაძრის საკურთხებლად შეწირება, გადადებას ვინ შეპკადრებდა. ესოდენ საპატიო სტუმრის საამებლად, რომ დასჭირვებოდა, მთავარი ახალი ტაძრის აგებასაც კი დაიწყებდა, თორემ სამეფოს პირველი ვაზირისაგან აშენებულისა და დამთავრებულის კურთხევას როგორ დააყოვნებდა.

მუშაობით დაღლილი ქვაბალია სასმელს ეძალებოდა, შეგარხოშებული ღიღინებდა და ხატვას რომ წყვეტდა, გოგჯერ ხარაჩოდან ბარბაცით ჩამოდიოდა.

წერისაგან ატანილს პგაედა იმ ღღეებში მახარებელი. ჯვარცმულის კუბოში ჩასვენებას ხატავდა და ყველას იმას ეუბნებოდა, ჩემი წამების დასასრულსა და საფლავში ჩასვლას ვხატავო.

ღვინით გამხიარულებული ოსტატის გაღაქღაქებულ სახეს რომ სედავდნენ და წამების კვალს ვერ ატყობდნენ, მხატვრის წინასწარმეტყველებისა არავის სჯეროდა... მაგრამ წინასწარმეტყველება ასრულდა.

მთავრის ოჯახი და ამალა ტაძარს უახლოვდებოდა. ცოტნემ შორიდანვე შენიშნა: საყდრის ეზოსკენ ხალხი გარბოდა, ღიდი და პატარა ტაძრის კარს აწყდებოდა.

— რაღაც ამბავია, შერგილ ბატონო, ეკლესიას უამრავი ხალხი მოსდგომია, — თქვა შეუიქრიანებულმა ნათელამ და ცხენი წამით შეაყოვნა.

– ალბათ, მახარებელი მორჩებოდა მუშაობას, კარს გააღებდნენ და მნახველები თუ იჩქარიან ტაძრის დასათვალიერებლად, – მშვიდად თქვა უსინათლო მთავარმა.

ხალხი კი ისევ გარბოდა ტაძრისკენ.

– მოკედა? – კითხულობდა ვიღაც მარაქას ჩამორჩენილი და სულმოუთქმელად მისდევდა წინ გასწრებულებს.

– არა, არ მომკვდარა, მაგრამ აღარც სასიცოცხლო პირი აქვს. – პასუხობდა ვიღაც ეკლესიის ეზოდან.

ერთნი ტაძარში შერბოდნენ, მეორენი უკან გამოდიოდნენ, ვიღაცას უხმობდნენ, ვიღაცას ეძებდნენ და იყო ერთი წრიალი და გნიასი.

ბატონებმა დაიქვეითეს.

– რა ამბაეია? – ჰკითხა ნათელამ შემოგებებულთ.

– მხატვარი გადმოვარდნილა ხარაჩოდან, – მოახსენეს შეწუხებულებმა.

– რას ამბობ! ღმერთო კი მომკალი, – შეიცხადა ნათელამ და ტაძრისაკენ გაქანდა.

– როგორ არის? ხომ არაფერი დაშავებია? – იკითხა შეშფოთებულმა შერგილმა და ისიც ტაძრისკენ გაეშურა.

– სულს ღაფავს, ბატონო, – სლუკუნით ამოთქვა აღელვებულმა მსახურმა.

– ხუცესს თუ დაუძახეთ, ეზიარა? – იკითხა დაწინაურებულმა ნათელამ.

– ხუცესი აქ იყო, მაშინვე თავს დაადგა, მაგრამ არც აღსარება თქვა და არც ზიარება მიიღო.

გზა მისცეს და ბატონები ტაძარში შევიდნენ.

კედელთან მისვენებული მახარებელ-მაკარიოსი იმ ლეიბზე იყო გართხმული, რომელზედაც გულაღმა იწვა ხოლმე, როცა ტაძრის ჭერსა და გუმბათს ხატავდა.

მთავრისა და მისი სახლობისაკენ დამნაშაესავით გამოიხედა.

– სრულ ვყავე, მთავარო, შენი ვალი არ მიმყევება, – ამოიკვნესა მხატვარმა.

— რა დროს ვალზე ლაპარაკია, ოსტაგო! როგორ ხარ?

— ასე თქვენი მტერი იყოს! — ამოიოხრა მახარებელმა, ხელის ჩაქნევა უნდოდა, ღონე არ ეყო და თითები ძლივსღა შეარხია.

— არ შეშინდე, კარგად გახდები, — გაამხნევა შერგილმა, — მკურნალს თუ უხმეთ? — მიუბრუნდა იქ მყოფთ.

— აქა ვარ, მთავარო, — გამოეხმაურა წეროსანი მოხუცი და ბაგონებთან თავდახრით წარდგა.

ბაგონების რიდით გარეშენი ტაძრიდან გაიკრიფნენ.

მკურნალი მთავარს ჩურჩულით რაღაცას ეუბნებოდა. იმ ჩურჩულიდან კანტიკუნტად ესმოდა ცოტნეს: „წამალს რაღა შეუძლია... შიგანი ჩაქცეული აქვს“...

შეძრწუნებულმა ცოტნემ ნაბიჯი წინ წადგა, წრე გაარღვია და სულთმობრძაების პირისპირ დადგა.

— აფსუს რა ხელოვანი იყო! სმამ დაღუპა, უბედური!

— ბოლოს მაინც ძალიან დაეძალა.

— ამ სიმაღლიდან მთვრალი კი არა, უხიზელი ვერ ჩამოვა კაცი და გადმოვარდებოდა, აბა რა იქნებოდა!

მახარებელმა თვალი გაახილა.

ცოტნეს დანახვაზე ჩამქრალი სახე გაუნათდა:

— შენც მობრძანდი, ბაგონიშვილო, ჩემი სიკვდილის სანახავად? ძნელი ყოფილა სიკვდილი, როცა ღმერთი არ გწამს, — ეტყობოდა, მხატვარი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, ცდილობდა, სათქმელის თქმა როგორმე მოესწრო, — ასე მგონია, სადღაც ბნელი უფსკრულისაკენ უნდა გაექანდე, საშინელი სისწრაფით მიექრი და უკან არაფერი მრჩება. ცხოვრების საუკეთესო წლები უცხოობაში, სხვათა სამსახურში გაეატარე. სამშობლოში მაშინ მოვბრუნდი, როცა სხვას უკვე დიდად აღარად ეუღირდი. სხვათა ზღვას ჩემ მიერ შემატებული წვეთი არ დაეტყო, ჩემს ქვეყანასაც დიდი ვეღარაფერი შევძინე და ამიტომ სახელიც არ მრჩება. სხვა ხალხს თან რომ გადაჰყვე, მაინც თავისი ურჩევნია შენსას და ისევე მალე დაგივიწყებს, როგორც მალე

მიგიკედლა და გამოგიყენა. რაც მე სირიასა და საბერძნეთში ტაძრები და სასახლეები მოეხატე, ვინ მოთვლის! უულს ბლომად მიხდიდნენ და პატიესაც მცემდნენ, მაგრამ სახელი ვერსად დავიმკვიდრე და სიყვარულითაც ვერსად შემიყვარეს, რადგან მათი სისხლ-ხორცი არ ვიყავი. კაცმა თუ თავისი სიცოცხლე და შემოქმედება სამშობლოს არ ანაცვალა და მოახმარა, სხვაგან მსხვერპლი არსად დაუფასდება. მე უბედურმა გვიან გავიგე ცხოვრების ეს კანონი, სამშობლოს გვიან დავუბრუნდი და აქ უკვე ვეღარავის გამოვადექი. რაც უცხოობაში მიშრომია და მიოცნებია, ჩემთვისაც დაკარგულია და ჩემი ქვეყნისთვისაც. აქ რომ ერთი სანთლის ანთება მაინც მომესწრო, ჩემი ხალხი იმასაც არ დამიკარგავდა და ჩემს სახელს შთამომაელობას შეუნახავდა, მაგრამ ახლა სინანული გვიან არის!

ადამიანის უკეღაეება სამშობლოს სიყვარულში, მისთვის თავდადებაშია თურმე. დანარჩენი სხვა, ამაოებათა ამაოება ყოფილა მხოლოდ.

მახარებელმა თვალი მოხუჭა, ნელ-ნელა დაცხრა, ხმა მიუსუსტდა და აღგზნებაც გაუნელდა. ეტყობოდა, ტკივილმა უმატა, სახე ელმიჭებოდა და სუნთქვა გაუხშირდა.

ისევ მალე გაახილა თვალი. თითქოს ცოტნეს რაღაცას ანიშნებსო, ხელის უღონო მოძრაობით თითი კედლისკენ გაიშვირა.

ცოტნე მიხვდა, იმ კედელზე უთითებდა, სადაც ემმაკურად მზირალი ქვეყნის შემოქმედი უფალი პყავდა გამოხატული.

— მორჩა ჩემს ცამებას... ხომ ხედავ, რა არხეინად იღიმება, თითქო თვითონ არაფერ შუაში იყოს! უსამართლოა და მეც უსამართლოდ მომექცა, მის მიერვე ჩაგონებული ცოდვები არ მაპატია, სულის სიმშვიდე არ მაღირსა!

ცოტნეს გარდა, იქ მყოფებმა ნათქვამის აზრი ვერ გაიგეს, ერთიმეორეს გაკვირვებულებმა გადახედეს.

— ღმერთი ის არის, მართალი და მოწყალე, ყოელის

შემნდობი და მომტევებელია, იმას მიბაძე, ბატონიშვილო, და მისი სათნოება გაისადე სამაგალითოდ... – ამოილუღლუღა ქობალიამ და თითი გუმბათისკენ ოდნავ შემართა.

ცოტნემ მაღლა აიხედა, – მაცხოვარი კეთილი, სათნო თვალებით უყურებდა იქ მყოფთ და თითოეულ მათგანს გამოურჩეველად უგზავნიდა სულის სიმშვიდეს, ნუგეშსა და შენდობას.

– ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო! – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიჩურჩულა მხატვარმა, სახე მწარე ტკივილისაგან დაეღრიჯა, ერთი გაიზმორა და სული დალია."

ძირითადი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა მახარებელ ქვაბალიას შესახებ

1. წალენჯიხის ტაძრის სვეტის ქართულ-ბერძნული წარწერა.
2. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, 1914.
3. Ш. Амиранашвили, История грузинского искусства, М. 1963.
4. И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, Тбилиси, 1993.

ქველი ქობალია

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში, მანუჩარ დადიანის ეკედერში, მარჯვენა მხარეს გამოსახულია ადამიანი, რომელსაც ტაფა უჭირავს ხელში; ფრესკის წარწერაში იკითხება „მგზარეულთ უხუცესი ქობალია ქველი". პირველი აღწერილობა ამ ფრესკისა და წარწერისა ეკუთვნის ე. თაყაიშვილს, (არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 220).

ეს წარწერაც, ისევე როგორც ტაძრის პირველადი მოხატულობა მეთოთხმეტე საუკუნით თარიღდება და შესაბამისად წარმოადგენს კიდევ ერთ მტკიცებულებას ჩვენი გვარის სიძველისა და მათი წარმომადგენლებისადმი მთავართა ნდობით აღსავსე დამოკიდებულების შესახებ.

გვარის ისტორიით დაინტერესებულებმა უნდა ვიცოდეთ,

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი უიგურა იყო მთავრებისა და სამეუო კარის მზარეულთუხუცესი, რომელსაც სიცოცხლეს ანდობდნენ გარეშე მტერთა და ქვეგამხედვართა მძლავრობის ეპოქაში ჩვენი ქვეყნის მმართველები. დადიანების კარზე ქობალიას აღზევება ამ რანგში შეიძლება მიეიჩნიოთ აგრეთვე ერთგვარ მინიშნებად თუ, უფრო მეტიც, უშუალო დასტურად ჩვენი გვარის ეტიმოლოგიაში პურის, მეპურის დომინირებისა.

შოთა მესხიას ნაშრომში „საისტორი ძიებანი“ ეკითხულობთ: „მეპურეები ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, X-XI ს.ს. მაინც ჩანან, განსაკუთრებით მონასტერში და სამეუო კარზე, სადაც მათი მოქმედება სათანადო „გარიგებებით“ იყო განსაზღვრული. პურის მცხობელი ძველი ქართულით „მეპურელ“ იწოდებოდა. დაბაღების თარგმანში ნათქვამია „სხვანი იქმნეს მზარეულ და მეპურედ პურისა“ (მეუეთა, I, 8 /13), როგორც ჩანს იმას, ვინც პურს აცხობდა, „მეპურე“ ეწოდებოდა. მის შესაბამისად „დაბაღებაში არაერთხელ გეხვდება „მეპურეთ მოძღვარი“ (იხ. მოსე, I.40 და სხვ. ოშკის ხელნაწერი), მაგრამ მეპურე მარტო პურის მცხობელს როდი ნიშნაეღა, რადგან პურობა ძველი ქართული „ჭამის“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა, მეპურე ზოგჯერ „პურის დამგებს“, ე. წ. სუფრის გამწყობსაც ეწოდებოდა. „მეპურე წესიერად დაუგებს პურთა“. – ნათქვამია გ. მონაზონის „ხრონოგრაფში“.

მეპურეობასთან დაახლოებულ ხელობას მზარეულთა საქმე წარმოადგენდა. სურსათ-სანოვაგის შემზადების ხელობის მქონე პირს „მზარეული“ ეწოდებოდა (იხ. იოანე და ექვთ. ცხ-ბა, საბინინი, გვ. 419, 422, 424). „მზარეული“ მოხსენიებული აქვს ლეონტი მროველსაც. მროველის სიტყვით, ფარსმან ქველი, მის მიერ შეწყნარებული და სპარსთა მიერ მოსყიდული მზარეულის ხელით იქნა მოკლული. „სპარსთა გება პყუეს სიმარჯუე ესე, რამეთუ მოიყუანეს მზარეული ერთი და აღუთქეეს მას კეთილი

დიდი და პრქუეს: წარვედ და შეეწყნარე უარსმან ქუელსა და წარიტანე შენთანა წამალი სასიკუდინე მზარეული იგი და ყო ეგრეთ“ (მ. დედ. ქ. ც ხბა, 39 5-10).

მზარეულნი სამეფო სასახლის გარდა იყენენ აგრეთვე მოხელეების, უეოდალების სასახლეებშიც, მონასტრებში და სხვაგან.

როგორც „იოანე და ექვთ. ცხ.-ბიდან“ ჩანს, მზარეულნი მონასტრის წინამძღვრის კონტროლის ქვეშ მუშაობდნენ. მონასტრის წინამძღვარი, გედამხედველობდა რა მათ, უწესობის შემჩნევის შემთხვევაში სათანადოდ სჯიდა ან აფრთხილებდა მზარეულებს: „უკუეთუ უმგბარი იყვს ანუ უმარილო, ანუ მარილიანი, ოდეს ტრაპეზით აღდგის“ (ექვთიმე, შ. მ.), მზარეული დაიუბნის და პრქვს: „შიშითა ღეთისაითა იქმოდე, ძმაო, სამსახურებაისა შენსა“ (საბინინი, გვ. 419). მზარეულიც მონასტრის წინამძღვრის კონტროლის ქვეშ ასრულებდა თაეის საქმეს. „იოანე და ექვთ. ცხ.-ბაში“ ნათქვამია: „რამეთუ შეეიდის მამა სამზარეულოსა, უკუეთუ კოჭობნი იხილნის ცეცხლისა კიდესა, იკითხის ზარეულისაგან, თუ ეისნი არნ, და, უკუეთუ უძლურნი არნ, მიუშვს და, უკეთუ კულა ნაყროენებით ეინმე იქმნ, ზოგჯერ გარე განთხეა უბრძანის და ზოგჯერ საეროსა საჭმელს თანა შთასხმა“ (საბინინი, გვ. 422). როგორც ამ ამონაწერიდანაც ჩანს, მზარეულთა სამუშაოდ განკუთვნილ ნაგებობას „სამზარეულო“ (იოანე და ექვთ. ცხ-ბა, საბინინი, გვ. 422, 424; ეაჰანის ქვაბთა განგება, 64. 8) ეწოდებოდა. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში „მუხისაი სამზარეულოი“ არის მოხსენიებული (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 46). სამზარეულოს მნიშვნელობით ქართულ წერილობით ძეგლებში „საგბოლისი“-ც იხმარებოდა. XI ს. ერთ კრებულში ჩაწერილ ლექსიკურ განმარტებებში „საგბოლისი სამზარეულო“-დ არის განმარტებული (თ. ჟორდანია, ოპის, I გვ, 215).

იმ წარწერებში, სადაც მაშენებელნი არიან მოხსენიე-

ბულნი, ზოგჯერ მათ გვერდით „მზარეულებიც“ იხსენიებიან. მაგალითად, წალენჯიხის ეკლესიის XIV ს. წარწერაში ვკითხულობთ: „ეკლესიის მაშენებელთა გალატოზთა და მზარეულთა ჩ/თა შ/ს ღ/ნ, ა/ნ“ (ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. სამეგრელოში, გვ.212-213). „მზარეულნი“ უშუალო მონაწილენი როდი არიან მშენებლობისა, მაგრამ ისინი მშენებელთა გვერდით იხსენიებიან, რამდენადაც მაშენებელთათვის საჭირო სურსათ-სანოვაგეს ამზადებდნენ. ალბათ, მზარეულნი მშენებლობისას ყოველთვის არ იყვნენ საჭირო: ზოგჯერ მაშენებელნი თავიანთი საჭმლით იკვებებოდნენ. ქველი ქობალიას გამოსახულება ტაძრის კედელზე და ზემოთ, მოყვანილი წარწერები მოწმობს, რომ წალენჯიხის ეკლესია განსაკუთრებულ პირობებში შენდებოდა და შექმნილი იყო მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურა, სადაც თავისი უუნქცია ჰქონდა ქველი ქობალიასაც, რომელიც, როგორც ჩანს, მშენებლობის ერთერთი ხელისუფალი ყოფილიყო. ის ხელისუფალი, რომელთა შესახებ შოთა მესხია წერს: „მშენებლობის ხელისუფალნი წორედ ის პირნი იყვნენ, რომელთაც ადმინისტრაციული თუ სხვა უფლებები ჰქონდათ მშენებლობის პროცესში. მშენებლობის ხელისუფალნი იყვნენ ყოველთა საქმეთა მზრუნველნი და გესამდგომელნი“ (შოთა მესხია, საისტორიო ძიებანი“, ტ.I. გვ 55).

იოსებ ქობალია

ქობალიების გვარი საფუძვლიანად ამაყობს იოსებ ქობალიას ღვაწლით, ამ უკანასკნელმა დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ისტორიის, კერძოდ ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესწავლის საქმეს, იოსებ ქობალიას ნაშრომები ხშირად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ჟურნალებსა და კრებულებში, მათ შორის მისი უმნიშვნელოვანესი ეთნოგრაფიული ნაშრომი „მითიური კოლხეთიდან“ (Из мифи-

ческой Колхиды), რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში (1903 წ. გვ. 89-124), აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილი „ქართველ ერის ისტორიაში“ მრავალგზის იშველიებს იოსებ ქობალიას მოსაზრებებს და მის მიერ შეკრებილი მასალების საუუძველზე აღადგენს კოლხური და ზოგადქართული მითოლოგიური აზროვნების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, კოსმოგონიის სურათს, რომელსაც გვერდს ვერ აუქცევს სამეგრელოს ეთნოგრაფიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი.

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცულია იოსებ ქობალიას არქივი, რომელიც მეცნიერთა და მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ხელნაწერი მასალა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აქ უხვადაა მასალები სამეგრელოს ყოფაზე, ისტორიაზე, მის კუტურასა და ადათ -წესებზე.

როგორც ისტორიკოსი და მკვლევარი მარინე ქობალია წერს, იოსებ ქობალია დაიბადა 1867 წლის 17 თებერვალს, სოფელ კორცხელში, მჭედლის ტოტია ქობალიას ოჯახში. დედა ზარანდიას ქალი იყო. დედ-მამის შვილები ათნი იყვნენ, 5 და და 5 ძმა. პირველდაწყებითი განათლება იქვე, კორცხელში მიიღო. მისი მასწავლებელი კორცხელის მამასახლისის შანყვა ქობალიას შვილი ივანე იყო, რომელსაც ჯამაგირს სოფელი უხდიდა. შემდეგ სწავლობდა ზუგდიდში, მერე ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, სხვადასხვა დროს უმუშავია ცაიშის, კორცხელის, ლუხვანის (ლეჩხუმის მაზრა), ცაგერის, ბაქოს და ოჩამჩირის სკოლებში.

დღიდან სკოლის გახსნისა, 1897 წელს დარჩელის ორკლასიან სკოლაში მუშაობდა 1919 წლამდე. 22 წელი იმუშავა მან აქ და ნაყოფიერადაც. პირველ ხანებში უჭირდა. როგორც მისი ავტობიოგრაფიიდან ჩანს, ყოველი მხრიდან შეტევას უცხადებდნენ, მაგრამ ორი წლის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ერთმა შვილი მოუნათლა,

მეორემ მასთან შვილი დააყენა საცხოვრებლად. ასე რომ, „უსწაელელი“ „ნასწაელად“ იქცა და ასე აუხდა მას ხალხური სიბრძნე: „კოს კოჩი ქოჯოგუნდა, იში ირი ღირსება ნარკო აძირენია, და ქოუორსდა იში ირი ნაკლი ღირსებათ აძირენია“ (კაცს თუ კაცი სძულს, მისი ყოველი ღირსება ნაკლად ეჩვენება და თუ უყვარს, მისი ყოველი ნაკლი ღირსებად ეჩვენება).

როგორც აღვნიშნეთ, იოსებ ქობალიამ დიდი შრომა გასწია წარმართული პერიოდის რწმენა-წარმოდგენების დაუიქსირებისათვის, როგორც მისი მასალები ადასტურებს, ნადირთა და მონადირეების ღვთაებებად მიჩნეული იყო ანატორი, ოჩოპინტრე, ბოჩი. სამეგრელოში ძველად იყო ერთი ჩვეულება – დიდმარხვის წინა დღეს მეგრელები იხსენებენ ერთ ღვთაებას, რომელსაც „ქინი ანთარი“ ეწოდება. გენა, გეციური ასე ითარგმნება „ქინი“, რომლის მიმართ სამეგრელოში ყოველწლიურად სრულდებოდა კულტმომსახურება. დიდმარხვის წინა დღეს დილა ადრიან სიმინდის უქვილის ნაუუარისაგან დიდ ოთხკუთხა კერს ამზადებდნენ და ვახშმად კერაზე აცხობდნენ, რომელსაც სახლის უუროსი ოთხკუთხა ნაჭრებად ყოუდა და თანაც შემდეგ ლოცვას წარმოთქვამდა: „ქინი ანთარი, პატენი გომორძგეილი, ჩქიმი ორინჯი სი ამიშენი“ და სხვა. ე. ი. გენა ანთარო, ბატონო გამარჯვებულო, ჩემი საქონელი შენ მომიშენე-ო. ვინც ამ მოვალეობას პირნათლად აასრულებს, იმას სწამს, რომ მისი საქონელი და ყანები ზარალისაგან უზრუნველყოფილია ერთი წლის განმავლობაში. ახლა სამეგრელოში ყველას მივიწყებული ჰქონია „ანთარის“ მნიშვნელობა და აღარავინ იცის, თუ რა ღვთაებაა იგი, წერს ი. ქობალია („მითოლოგიური კოლხეთიდან“). სამეგრელოში დიდმარხვამდე 25 დღით ადრე ოთხშაბათს დღესასწაულობენ „ნერჩიში ხვამა“-ს. ნერჩი – უუძეს, იმ ნიადაგს, მიწას ნიშნავს, სადაც სახლი დგას. ნერჩიში ხვამა (ნერჩისადმი ოხვრა, ლოცვა, ვედრება). მეგრელებს სწამთ

ეს ღვთაება „ნერჩი პატენი“, რომელიც უძის ბატონს უდრის. ლოცვა სრულდებოდა მხოლოდ იმ სახლში, რომელიც მიწის პირას იდგა, რომ „ნერჩიმ“ ეედრება შეისმინოს, სახლში, რომელიც მიწაზე მაღლა, ხის ან ქვის ბოკონებზე დგას და ხის იატაკი აქვს, ლოცვა არ შეიძლება („მითოლოგიური კოლხეთიდან“). სამეგრელოში სწამთ ტყის მეუის, ანუ როგორც მეგრელები ეძახიან „ტყაში მაუას“ არსებობა. ტყის დედოფალი მათი წარმოდგენით მგეთუნახავია, გრძელთმიანი, შიშველი ქალია და მთელ ნადირთა მოდგმის მბრძანებელი „ტყაში მაუას“ გარდა, ნადირთა და ურინველთა მუარველ ღეთაებად „მესეუიც“ იყო. მისი წყალობითა და ნებაყოფლობით, თორემ ვერცერთი მონადირე ნადირს ვერ მოკლავდა, როცა „მესეუს არ ნებავს ნადირს ან ურინველს ნასროლს თავიდან ააცდენსო“. იოსებ ქობალიას აზრით, მესეუი მამრობითი სქესისაც არის და მდედრობითიც. ტყეში და მინდორში მყოუ ნადირსაც ხალხის რწმენით ჰყავს თავისი საკუთარი მუარველი ღვთაება. ნადირთ ბატონს „გალენიში ორთა“-ს სამეგრელოში პატივს სცემენ. მას უმზადებენ საგანგებო შესაწირავს, უძღვნიან საჭმელ-სასმელს და სახლის უუროსი მხურვალედ, მაგრამ საიდუმლოდ ეედრება „გალენიშ ორთა“-ს „დიდებულსა და სახელოვანს“ მისი საქონელი ნადირთა საკბილოდ არ გახადოს. იოსებ ქობალიას ნაშრომში „კოლხეთის მითოლოგიიდან“, როგორც ვნახეთ, მრავალ წესჩვეულებათა და ცრუმორწმუნეთა გადმონაშთია გადმოცემული. ასევე გადმოცემულია სალოცავი წეს-ჩვეულებები, რომლებიც გაჩენილია კერპთაყვანისმცემლობის ნიადაგზე და აქამდე შემორჩენილია სამეგრელოში. მოხუცი მეგრელი ახალი მთვარის დანახვისას პირით თურქეთისკენ დგას და ღმერთს ცოლ-შვილის გახარებას შესთხოვს. საინტერესოა საახალწლო წეს-ჩვეულებები და ლოცვები. ახალ წელსა და წმინდა სოლომონზე ასეთი მასალა აქვს ჩაწერილი იოსებ ქობალიას. მეგრელები ახალ წელს ითელიან

არა ღამის 12 საათიდან, არამედ 1 იანვრის დღის 12 საათიდან. წელიწადში 363 დღეა და წმინდა სოლომონმაც ამდენივე ხელობა მოაელინა. პირველი ხელობა მჭედლობაა. სოლომონი მუხლზე იდებდა გაჟარჟარებულ რკინას და ვითომ მუშტით ჭედავდა, ამიტომ ხალხს ვერ ასწავლა. მერე ღმერთმა მოიგონა გრდემლი და ჩაქუჩი და ასწავლა ხალხს ხელობა. ერთხელ სოლომონმა სთხოვა ღმერთს ერთი დღით მე ემართაო ქვეყანასო. ღმერთი დაეთანხმა. სოლომონმა ნახა, რომ ცხენოსანს წყაროსთან ქისა ამოუვარდა ჯიბიდან და იქვე მცხოვრებმა იპოვნა. დამკარგავმა წყაროსთან მისულ მეორე კაცს დააბრალა ქურდობა და მოკლა. სოლომონი აღშფოთდა და ღედამიწას ჩაქცევა უბრძანა. მიწამ ჩაქცევა დაიწყო. მაგრამ ღმერთმა დროზე ჩამოართვა სოლომონს მმართველობის უფლება, აუხსნა, რომ უკანონოდ არაფერი ხდებაო. მოხუცს ცხენოსნის სისხლი ემართა, ცხენოსანს კი ციხის ამღების ფული ემართაო. ღმერთი ვითომ ყველაფერს თავის რიგზე განაგებს.

საინტერესოა „ელიაობა“. ელიას ღღე იყო 20 იელისს, რომელიც დაკავშირებულია ეშმაკების განდევნასთან და განწმენდასთან. ხის ქერქისაგან დამზადებულ საყვირებს აყვირებენ. მეგრელთა წარმოდგენით ეშმაკებს კატის, მგლის და ბუს სახე აქვთ, ღამე მდინარეს აცლიან შიგნეულობას, როკაპი მათი ბატონია. ტაბაკონის მთაზე ცხოვრობს და ჭამს შიგნეულობას. ოჯახებსა და მინდვრებში დიდ ჯერებს აკეთებდნენ და მათი ეშმაკებს ეშინოდათ. მას აქვს ჩაწერილი ზოგიერთი ურისველისა ცხოველის დასწრების ჩვეულება. ახალი წლის შემდეგ პირველ სახვაზე უნდა დაასწროს ცხოველებსა და ფრინველებს ისე, რომ პირდაუბანელნი ანდა უზმოზე არ შეხედნენ.

საყურადღებოა მის მიერ ჩაწერილი სხვა მასალებიც.

ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა. ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა ეშმაკი გამოჩნდა და მანაც წილი ითხოვა. ღმერთმა ვაზი დარგო, ეშმაკმა თხები გააჩინა და ვაზს მიუსია,

ღმერთმა თხების შესაჭმელად მგელი გააჩინა. ღმერთმა ხე გააჩინა და ვინც მასზე ავა, ღმერთი უნდა ახსენოს, ასეა ახლაც სამეგრელოში.

მზე და მთვარე. მათ ადამიანური თვისებები აქვთ. შეუყვარდებათ ერთი ქერიევის ვაჟი, ამიტომ საწყალ ბიჭს სახლში არ აჩერებდნენ. ერთხელ ქერიევი ძროსას წველიდა და მზე და მთვარე მივიდნენ. ქალმა ახალი ნეხვი ესროლა. მზემ მოისაზრა, იქვე რძით ჩამოიბანა და ისე ავიდა ცაში. მთვარე კი ბღვისკენ გაიქცა. გზაში ნეხვი შეაშრა, კარგად ვერ ჩამოიბანა და ზედ ლაქები დარჩა. ამიტომ არის ახლა ნაკლებ კაშკაშა. მზე მეგრულად ბჟა (რძე) ჰქვიანო. წმინდა გიორგის ამბავი. წმინდა გიორგი კარგი მხედარი და მძლაერი მეომარი იყო. ძალიან ბევრს ჭამდა. ღმერთს ეს არ მოსწონდა, ამიტომ გამოაცალა კუჭი და ერთ მუხის წვერზე შედო. წმინდა გიორგიც შეურიგდა ხვედრს. ღმერთს სთხოვა: მინდა ხალხი ოთხივ მსარესა თაყვანს მცემდეს, სადამდეც შენი ისარი გასწედებაო. მიტომ კაეკასიაში ყველა ერთნაირად ეთაყვანება. მეორე დღეს წმინდა გიორგიმ ისევ ჩაიდგა მუცელი. ამიტომ არის, ილორის ეკლესიაში მის ხატს მოპარულ ხბოს სწირაეენ ხოლმე. სხვათაშორის, ამბობენ, ერთხელ ვითომ ილორის ეკლესიაში მოპარული ჩინელი გოგონაც შეუწირავთო. საგულისხმოა მისი გადმოცემები ულორისა და უაუნის შესახებ. — ნიორი და ხახვი. კაცმა ეშმაკი დაიჭირა და ქვეყნის სანახაეად ატარებდა. ბაზარში ეშმაკმა დაინახა ქალი, რომელიც ხახეს ნიორზე ცელიდა და გაუკვირდა — თქვენში სიკვდილს (ხახეს) სიკვდილის საწინააღმდეგო (ნიორზე) ცელიანო? — მიწის ჭია. მიწის ჭიას უთხრეს, ჩქარა ქვეყანა დაიქცეაო. მან თავი დაიბრმავა — არ დაეინახოო. — კურდღელი. დედა კურდღელმა ბაჭიას პკითხა: ერთი წელი გაწოეო თუ სამი დღე და ღამეო. შეილს მეორე უფრო გრძელი ეგონა და ის ამოირჩია. მიტომ არის, რომ კურდღელს მხოლოდ სამი დღე და ღამე აწოეებს დედა

რძეს. – გველი, მერცხალი, უუტკარი და ბაყაყი. ძველი ანგელოზი იყო. ღმერთმა გველად აქცია და დიდხანს მშიერი დადიოდა. ღმერთს უუტკარი და მერცხალი მიუგზავნია, ღმერთმა მათვე დააცალა მისთვის გემრიელი საჭმლის არჩევა. უუტკარმა ბავშვის ხორცი არჩია, მერცხალმა მას ენა ამოაგლიჯა და ბაყაყები ურჩია. ღმერთმაც ეს დაუნიშნა გველს საჭმელად. წაბლის ტყეებში ბაყაყები წაბლს აგროვებენ, კბილები ამოგვივა და შევჭამთო.

როგორც ვნახეთ, იოსებ ქობალიამ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა გადაურჩინა ქართველ ხალხს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენი უძველესი წარსულის შესასწავლად. ამოუწურაია და ფასდაუდებელი მისი ნაშრომები, რომლებიც დღესაც დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებში.

თავი II

გვარის არქიტექტონიკა

გვარში ელინდება ძველი სუბტრატი, რომელიც საერთოა მასში გაერთიანებული ადამიანებისთვის. მიუხედავად დედებიდან გადმოცემული გენების შეგავლენით განცდილი მეტამორფოზებისა, ყამთა და სხვა ფაქტორთა ზემოქმედებისა და ცვალებადობისა, გვარში რჩება ის საერთო, რაც მის მატარებელ ადამიანებს ახასიათებს. ამას ხელს უწყობს ტრადიციები, წნეობრივი ნორმები, ნათესაობის, ერთობის განცდა. ამ სუბტრატის მედეგობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთობის განცდა შენარჩუნებულია იმ ადამიანების თვითშეგნებასა და შეგრძნებებში, რომელნიც ერთ გვარს ან მცირე ფოსეტიკური ცელილებებით განსხვაეებულ გვარებს ატარებენ, მაგრამ თავს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუუებს მიაკუთვნებენ. ასეთ მოელენას აქვს ადგილი ქობალიების გვარის შემთხვევაშიც, რამდენადაც, როგორც გემოთ აღენიშნეთ, ქობალიები გვხედებიან აფხაგებშიც, რომელთა ნაწილი უარყოფს თავის ქართულ წარმომაელობას, მეგრელთა ეთნიკური ჯგუუისადმი კუთვნილებას, თავს მიიჩნეეს არა აფხაგებთან ასიმილირებულ ქართეელად, არამედ ეთნიკურ აფხაგად, მაგრამ, მათი ნაწილი, საბედნიეროდ არ გაურბის და, უფრო მეტიც, აღიარებს თავის სისხლისმიერ ნათესაობას მეგრელ და სვან ქობალიებთან. ტკიეილები, რომელიც ასიმილაციის პროცესს ახლაეს, მით უფრო, როცა ასიმილირებული ადამიანი გარკეეულწილად უპირისპირდება თავის წარმომაელობას, ბუნებრიეია, ბადებს ხინჯს ამ გვარის მატარებელთა შორის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს არ უნდა იქცეს გვარის ერთიანი სხეულიდან გააყსაგებული ქობალიების მოკეეთის, გაუცსოების მიზგად, პირიქით, გვარისკაცობა, სახლიკაცობა და გვაროენული ერთობის არააყიშირებული

განცდა, რომელსაც ყველა აუხაზი ატარებს გულის სიღრმეში, უნდა განეიხილოთ როგორც რესურსი აუხაზთა და ქართველთა შორის ურთიერთობების აღდგენა-დარეგულირებისთვის. ალბათ, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს მეტი ინფორმაცია როგორც თავისი გენეალოგიური შტოსა და წარმომაელობის, ისე იმის შესახებაც, რომ საბოგადოდ ეთნიკური ჯგუუების ჩამოყალიბების რეკონსტრუქცია ხდება ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური, ეთნოგრაუიული, ლინგვისტური, ისტორიული წყაროების მიხედვით და კიდეე ერთ ასეთ წყაროდ გეეელინება თანამეღროეე გვარები, როგორც შესაძლო ინდიკატორები ეთნიკური ჯგუუის განსაზღერისათვის.

სწორედ ამიტომ არის, რომ თანამეღროეე ანთროპოლოგიურ კელეეებში სშირად მიმართაეენ გვარების გაერცელების არეალის ანალიზს, რადგან დადგენილია გარკეეული პარალელები პოპულაციების ისტორიულ და გენეტიკურ მსგავსებას შორის. ამ მხრიე, გვარების შესწაელა პოპულაციებში განაწილებისა და გენეტიკური მარკერების მიხედვით თანაბარი მნიშენელობას იძენს, როგორც თაად ამ გვარის ერთობის, ისე ამათუ იმ ეთნიკური ჯგუუისადმი კუთენილების გაცნობიერებისა და განცდისთვის.

გვარის შესწაელისას ყურადღება უნდა დაეთმოს ქორწინებით სისტემას, ნათესაური გაერთიანებები ამ მხრიე დღესაც მკაცრად მისდეეენ ერთი გვარის ადამიანებს შორის ქორწინების ტაბუირებას, რადგან სისხლით თუ სხეა ბიოლოგიური ნიშნით ნათესაობა დღესაც ძალზე მნიშენელოანია, საბედნიეროდ, დღესაც უმთავრესია საერთო წარმომაელობა, ოჯახი და ერთი დიდი მამიდან მომდინარე თაობა. ქორწინებისას გვარი მკაცრად იცავს ეკზოგამიას, რომელიც ძირითადად მოიცავს მამის გვარს. ქორწინებები ადრეც და დღესაც აკრძალულია დედის, ბებიისა და დიდი ბებიის გვარის წარმომადგენელ ქალიშეილზე. გარდა ამისა, ქორწინების შეზღუდეა ხდება ცალკეულ,

უონეტიკურად მსგავსი გვარის წარმომადგენლებს შორის, რადგან ისინიც და-ძმებად ითვლებიან, ქორწინებები აკრძალული იყო ზოგიერთ, თითქოს, სრულიად განსხვავებულ გვარებს შორისაც, რადგან არცთუ იშვიათად ერთი გვარი გარკვეული უაქტორების გამო დროთა განმავლობაში ითიშებოდა და მის წიაღში წარმოიქმნებოდა ორი და მეტი სხვადასხვა გვარი, მაგრამ მათ ხსოვნაში ცოცხლობდა ოდინდელი ერთობის განცდა და ინუორმაცია საერთო უესვების შესახებ.

ზოგიერთ გვარს შორის ქორწინება ტაბუირებული იყო (ვაშინერდ) შვილობილობის, ე. წ. ჩაუილობის, მანგიორობის (იხ. ქვეთავში „გვართან და გვაროვნულ კავშირებთან დაკავშირებული სალექსიკონო მასალა“) ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი ადათების გამო, მაგრამ ამის საუძველი იყო არა გენეტიკური სიახლოვის განცდა, არამედ მორალური უასეულობები, ამაზე ნაკლებ ცოდეად, მაგრამ მაინც არამიზანშეწონილად ითვლებოდა ქორწინება ერთ პოპულაციაში გაერთიანებულ გვარმეტისა და გვარჭიჭეს, ძვალგვარისა და მინანდეების (იხ. ქვეთავში „გვართან და გვაროენულ კავშირებთან დაკავშირებული სალექსიკონო მასალა“) შთამომაელებს შორის, რამაც განერცობა ჰპოვა ერთი სოულის მცხოერებლებს, მეზობლებს შორის ქორწინებებზეც, მაგრამ ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში გასქარდა და საესებით ბუნებრივად და სამართლიანადაც, რამდენადაც ამ შემთხვეევაში ადგილი არა აქვს სისხლის აღრეას, ახლონათესაურ ქორწინებას, რაც ინცესტის, ინბრიდინგის სახელით არის ცნობილი. (ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. სალექსიკონო მასალები)

სახელები ნათესაობის, ახლობლობის საზომის ფუნქციით

„ნათესაი სამ სახედ ითქმის – ერთისა უკეე სახისაებრ მშობელისაგან, ეითარ-იგი ისრაელისაგანნი ისრაეთელად იწოდებიან, ხოლო მეორისა სახისაებრ მამ-ულისაგან, ეითარ-იგი იერუსალიმისანი იერუსალიმელად ითქმიან, ხოლო მესამისა სახისაებრ ნათესაედ ითქმის განწეალებული სახეთა მიმართ, რომლისათეის არს სიტყეა უილასოფოსთა, რომლისა განმსაზღერებელნი იტყეიან, ნათესაი უმრაელესად სახითა განყოფილთაღ, რაარსობით შესმენილი". სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი

როგორც ცნობილია, გვარი იგება ნათესაობის, საერთო წარმომაელობის პრინციპით. ნათესაობის არსი და ნათესაური კავშირების საფუძველი, ბუნებრივია, სათანადოდ არის ასახული ქართველური ენების ლექსიკაშიც, რომლის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო ლინგვისტური, არამედ საზოგადოების განვითარების, მისი სოციალური სტრუქტურისა და, ჩვენს შემთხვევაში, გვარის არქიტექტონიკის შესწავლის თვალსაზრისითაც, რამდენადაც წარმოაჩენს ადამიანის აზროვნების უძველეს შრეებს და გვიჩვენებს, რაში ეძებდა ქართველი კაცი ერთი გვარით გაერთიანებული ადამიანების გენეტიკური სიახლოვის ნიშნებს.

ქართული ნათესაობის ტერმინოლოგიის შესწავლა მოწმობს, რომ სომატური სახელები გვეელინებიან არა მარტო ადამიანთა ნათესაური სიახლოვის, გვარეობრივი კავშირის მსაზღვრელებად, არამედ ამ სიახლოვის ხარისხის (ახლო ნათესაი, შორეული ნათესაი, გვარის-კაცი, სახლიკაცი, მოდგმა, შთამომაეალი, სისხლ-ხორცი) საზომის ფუნქციითაც.

ქართველურ ენებში მეგვარტომობის საფუძვლის აღსანიშნავად, ძირითადად, გამოიყენება სისხლი, სისხლისმიერი ნათესაობა, მაგრამ ამავე დროს, ხორცი, ღვიძლი, გული, თესლი და სხვა სომატური სიტყვები და მათგან ნაწარმოები წყვილები. მეგრულში ზოგადქართულ ახლობლობის საზომებთან ერთად გამოიყენება, აგრეთვე, ტყავის/კანის, ძელის, ძარღვის, მუხლისა და მსგავს სიტყვათაგან მომდინარე უუძეებიც. გვაროვნული სიახლოვის აღმნიშვნელი სომატური სახელების ანალიზი ქმნის ნათელ წარმოდგენას გვარის წარმოშობის საფუძვლებსა და კავშირებზე, რომელიც ერთ ორგანიზმად აქცევს მას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს სახელები არ ნიშნავს, რომ გვარი წარმოადგენს მხოლოდ ბიოლოგიური ნიშნით მსგავსი ადამიანების ერთობას, გვარი მეტწილად უფრო ფართო კონტექსტში მოიაზრება, ვიდრე ეს სისხლით ნათესაობაა...

თესლი

სხვადასხვა ლექსიკონების მიხედვით სათესურია, მარცვალი; „ნათესავი", „წარმართი", „მკეჯდრი", ტომი, მოდგმა, ნაშობი/მემკვიდრე, ტომი, ჯიში – ერთი თესლის (ნაყოფის) შთამომავალნი.

„თესლია" ამოსავალი, რომელიც გვხვდება „ნათესავის" უუძეში: სიტყვა „ნათესავის" განმარტება ასეთია: „თესლი", „ნათესვობა", „ტომი"; „თჯსი", „თჯსთაგანი", „წარმართი", „სასუმელი", ჩამომავალი, მოდგმა – გვარი, მახლობელი; „ერადი". „ნათესვობისაგანი".

ნათესავი ძვ. ქართულში, გარდა სისხლით ნათესავისა, აღნიშნავს აგრეთვე ზოგადად ხალხს, ერს ანუ ეთნოსს, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა კრებულს: „აღდგეს ნაიესავი ნათესავსა მეღა" (მ. 24,7).

თესლისა და ნათესავის სინონიმურობაზე მიანიშნებს პარალელური უორმების არსებობა: იესლ-ტომი || ნათესავ-

ტომი. უცხო თესლი || უცხონათესაეი || უცხოტომი

ნათესავ-ტომი – ერთი ეროვნების ხალხი. „მეცნიერ ხარ ნათესავ-ტომისა ჩემისა წინანდელისა“ ანდგ.-აანაგ. 218, 5.

თესლ-ტომი – ჩამომავლობა, ხალხი (აბულაძე 1973); ნათესაობა (სარჯველაძე 2001) – (აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა (შ.შ. VI, 22).

თესლისა და ტომის სინონიმურობას კი კომპოზიტი **უცხო-თესლი** აღასტურებს: **უცხო-თესლი** – „უცხო-ტომი“, „სხუა ნათესაეი“, ბარბაროსი (აბულაძე 1973); უცხოელი (სარჯველაძე 2001).

ნათესაობის სემანტიკის შესწავლის თვალსაზრისით ნიშანდობლივია ღიალექტების მონაცემები. საყურადღებოა, რომ დიალექტების მიხედვით, თესლი მხოლოდ შთამომავლობის კი არა, წინამორბედის, წინაპრის სემანტიკის მატარებელიცაა: თესლი ერთი მნიშვნელობით არის წინაპარი, მეორე მნიშვნელობით – შთამომავლობა, მოდგმა.

ჯიშის, მოდგმის მნიშვნელობით თესლი გეხვდება ხევსურულ დიალექტში. კომპოზიტში „თესლ-ჯილაეი“ – ჯიში, მოდგმა, შთამომავლობა, წინაპრის მნიშვნელობით მეგრულში: თას-მამბუ – თესლ-მომყოლიმ სადაც თასი თესლია, წინაპარი, მამბუ – მისი მომყოლი, მისგან აღმონაცენი.

ამას ადასტურებს წყევლის ფორმულებიც, რომელიც შთამომავლებს უქადიან განადგურებას: თას ვეგესქილადირი, თასეშალაფირი (თესლამოვარღნილი, მოდგმაგადაშენებული).

სისხლი

სისხლი ქართულშიც ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, გენის მატარებლის და შესაბამისად გენეტიკური, ახლო ნათესაობის აღმნიშნელი ფუნქციით გვეელინება. სისხლით ნათესაობა – ერთი და იმავე მშობლების შთამომავალთა ნათესაობაც არის და გვარით, ტომით ნათესაობაც.

ნათესაობის სემანტიკაზე მიგვანიშნებს გამოთქმა:

სისხლში აქეს – მოსდგამს, თანდაყოლილი აქვს, ხასიათში აქვს. ასეევა მეგრულში „ბისხირს უღუ, ბისხირო მოძენს. ბისხირიშ გინი“ – სისხლის გრძნობა, ნათესაობის განცდა (ბისხირქ ქუგინ – სისხლმა უგრძნო, ნათესაობა იგრძნო).

სისხლ-ხორცი/სისხლი და ხორცი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ღვიძლი, მკვიდრი ნათესავია (ჩვეულებრივ, შვილი, ძმა ან და), ილ. აბულაძის ლექსიკონშიც სისხლი და ხორცი გადატანითი მნიშვნელობით, წარმომავლობად, წარმოშობად არის განმარტებული.

ეს კომპოზიტი გეხვდება როგორც პირდაპირი, ორცნებიანი (სისხლი და ხორცი), ასევე გადატანითი, ერთცნებიანი მნიშვნელობით – ღვიძლი, ახლო ნათესავი || ჯიში, გვარი, შთამომავლობა.

ნიშანდობლივია, რომ ეს კომპოზიტი ერთიანობის, მთლიანობის სემანტიკასაც ატარებს. სისხლით და ხორცით – გადატ. მთელი არსებით, მთლიანად (შდრ.: სისხლ-ხორცი, სისხლხორცეული...): ასევე გვაქვს პარალელური ფორმები: სისხლში გაუჯდება და სისხლსა და ხორცში გაუჯდება – განუმტკიცდება, შეუსისხლხორცდება.

სისხლი და ხორცი ნათესაობის სემანტიკას აფიქსირებს მეგრულშიც, ჩქიმ ბისხირი დო ხორცი რე – ჩემი სისხლი და ხორცია, ძალიან ახლო (სისხლით) ნათესავები ვართ.

ნათესაობის მნიშვნელობით გეხვდება კომპოზიტები: **სისხლი და ძვალი** (ჩქიმ ბისხირ დო ძვალიშ კორი რე – ჩემი სისხლისა და ძვლის კაცია, ჩემი ნათესავია; **სისხლი და ძარღვი** „ჯერღვით დო ბისხირით ვაფუთ ართიანს“ – ძარღვით და სისხლთ ვართ ერთურთისანი, ძარღვით და სისხლთ ვენათესავებით ერთმანეთს. ძართვისმიეტოი ერთობის განცდის კვალი ჩანს გამოთქმაში „გურიშ ჯერღვი მეფსოფუ“ – გულის ძარღი ჩამწყვიტა, სისხლით და ძარღვით ნათესავებს შორის ტკივილამდე მისული სიყვარულია. ჯერღვი ცალირ მაფუ – ძარღვები დასერილ – დასხსნილი მაქეს, იტყვის ახლობლის დამკარგავი კაცი.

ხორცი

ჯორცი, ჯორციელი, ჯორციელება, ჯორციელობა აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია როგორც – „ჯორცით, სისხლით ნათესაობა“, თუმცა იგი, ცალკე აღებული, იშვიათად გვეელინება ნათესაობის აღმნიშვნელად და უპირატესად მონაწილეობს ნათესაობის აღმნიშვნელ შესიტყვებებსა და კომპოზიტებში სისხლ-ხორცი, ერთი სისხლისა და ხორცის, სისხლითა და ხორცით, სისხლსა და ხორცში გაუჯდება, ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, სისხლხორცეული...

ასევე გვაქვს მეგრულში – ხორც ღო გისხირი – ახლო, სისხლხორცეული ნათესაობა. „ჩქიმ ხორც ღო გისხირ რექ“ – ჩემი ხორცი და სისხლი ხარ.

მეგრულში „ხორცის“ პარალელურად გვაქვს „ძელი“ (კუნთი; რბილი, რბილობი; თეორი ხორცი), შესაბამისად იგი აწარმოებს ნათესაობის აღმნიშვნელ კომპოზიტებსა და ფრაგეოლოგიზმებს – ძელ დო ძვალ დოციმილ ბაფუ – ხორცი და ძვალი დაერღომილი ბაქვს, ძელ ღო ძვალქ ქუდომცუ – ხორცი და ძვალი დამერღვა – იტყეიან განცდებზე, რომელიც ახლობლის სიკვდილს მოსდევს.

ძვალი

ძვალი ძველ ქართულში სანგრძლივობის, სიცოცხლის, ნიშნის, ფესვის, საფუძვლის სემანტიკასაც ატარებს. ძვალი ნათესაობის მნიშვნელობით შემონახულია შესიტყვებაში: ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან. ეს იგივეა, რაც ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი.

ძვალი ხორცთან ერთად მეგრულშიც ორგანულ კუთვნილებას გამოხატავს „ძუალი და ჯორცი“ – ძვალ ღო ძელი. – ძვალ-რბილი ძელ დო ძვალ ღოციმილი სხეულში გარღვეული, სახსრებში დაშლილი, ნათესაურ კავშირებ დარღვეული.

ძვალი, როგორც ძირითადი მშენებელი გვარისა, გვაქვს

ქართულშიც (ძალ-გვარი შთამომავლობა, მოდგმა) და მეგრულშიც (გვარიშ ძვალი – გვარის თავდაპირველი სამყოფლოდან გამოსული კაცი, ძირითადი მშენებელი, შემაღგენელი გვარისა, ანტონიმი **ხინჩუას, ხიაჩარის** გვარს შემოკედლებულისა (იხ. ძვალი, გვარდიდი, გვარჭიჭე, ხიჩუა, ხიაჩარი). ეს არის ძლით ნათესაობით დაკავშირებული გვარი, რომელიც სისხლით ნათესავთა გვარისაგან განსხვავებით, არის უცხოთა შემრეველიც, რომელთაც მაინც ნაკლები უფლებები აქვთ (**ართ ძვალიში** ერთი ძვალისა, ერთი გვარისა; **შხვანერ ძვალიში** სხვა ძელისა, მიუღებელი, დაუუასებელი); ეს პრონციპი გვაქვს ცნებებში გვარმეტი და გვარჭიჭე.

ამ მხრივ საინტერესოა ძელის სხვა მიშენელობებიც - კარკასი, ჩონჩხი შენობისა, ძარღვი ფოთლისა;

შინაგანი ორგანოები

როგორც აღენიშნეთ ასლობლობის (ნათესაობის) სემანტიკით გამოიყენება შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი სახელები – ღვიძლი, ხორცი, გული – ყველა ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით ძალიან ასლობელს, განსაკუთრებით ძვირფას ადამიანს ნიშნავს.

გული

გული ადამიანის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილია და ზოგჯერ მეხსიერებიდან წაშლილი ინფორმაციის მატარებელი (გულმა უგრძნო – გურქ ქუგინ). ბუნებრივია, რომ იგი გადატანითი მიშვნელობით მკვიდრის, ნამდვილის, ღვიძლი ნათესაეის აღმნიშვნელია.. ეს სახელი გენეტიკური სიახლოეის აღსანიშნავად სხვადასხვა ენებში ფართოდ გამოიყენება როგორც ცალკე, ისე კომპოზიტში. გურიშ მოჯგირე – გულის მოკეთე იტყვიან მეგრელები.

ღვიძლი

ღვიძლი 1. სისხლით მონათესავე, 2. მშობლიური, საკუთარი, თავისიანი... ნათესაობის სემანტიკის თვალსაზრისით საგულისხმოა კომპოზიტი გულ-ღვიძლი. 3. გადატ. ყველაზე ახლობელი, საყვარელი ადამიანი (ჩვეულებრივ, შვილი) – სისხლი და ხორცი.

ტანი

მთელი უიზიკური სხეულით ნათესაობის აღმნიშვნელია, ერთი ტანიდან, ერთი სხეულიდან გამოსული ადამიანების ნათესაობისა ანუ ერთი დედ-მამის შვილებისა... (მუშ ტანიშ სქუა – მისი სხეულის შვილი – იგყვიან სამეგრელოში თავისი ბიოლოგიური შვილის გასარჩევად გაზრდილ – ნაშვილებისაგან, საინტერესოა, რომ სისხლისმიერი გრძნობის ანალოგიით აქაც გვაქვს ტანის გრძნობა – ტანიშ გინი, ტანქ უყინ – ტანმა უგრძნო, ე. ი. ნათესაობა იგრძნო

მუხლი

გენი ბევრ ენაში მათ შორის ლათინურშიც პირდაპირ უკავშირდება მუხლს, როგორც ერთი წარმომაელობის, ნათესაობის ნიშანს. თავად ეს სიტყვახ სხვა არაფერია, თუ არა ლათინური გენ-უსს – მუხლი. საქართველოში უახლოეს ადამიანს მუხლმოყრით ტირიან, ბირგულქ ქათმაკცათ, ბირგულქ ქათმოცუ – იგყვიან სამეგრელოში, ახლობლის სიკვდილის შეტყობისას და მუხლმოდგომით დატირებაც იმ წარმოდგენის ანარეკლია, რომ ახლობლს სიკვდილი მუხლის ძალის დაკარგვას ნიშნავს.

კიდურები/ ხელმხარი

დაახლოებით მუხლის მსგავსად იხსნება კიდურების, ხელ-მხრის სომატური მნიშვნელობაც. კილე გეგლაფსოფუ, ხუჯ გეგლაფსოფუ – მკლავი მომაგლიჯა, მხარი გამომაცალა იგყვიან გარდაცვლილ ახლობებზე. შესაძლოა აქედან

მოდიოდეს მოკლული მტრისთვის კიდურების მოჭრისა და შენახვის ტრადიცია. არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა, მათ შორის ცაიშის გათხრებიც, გვაჩვენებს, რომ ეს ნაწილები მსხვერპლად მიჰქონდათ და მკაცრი წესრიგით ალაგებდნენ სალოცავის კარზე.

ნათესაობასთან, გვართან, გვაროვნულ კავშირებთან დაკავშირებული ლექსემები მეგრულში

გვარისქუა გვარიშვილი

გვარისქუალობა გვარიშვილობა.

გვარიში საგვარეულო, გვარისა; გვაროვანი, გვაროვნული.

გვარიშ მაღალარი მემკვიდრე, ძე, გვარის გამგრძელებელი, გვარის მატარებელი.

გვარიშ ოხვამერი საგვარეულო, გვარის სალოცაო, მასზე შესახელებული ქვევრი.

გვარმაღალი დიდგვაროვანი.

გვარმეტი გვარდიდი, ძირძველი და მრავალრიცხოვანი გვარი; დასახლებაში რაოდენობრივად სხვაზე მეტი გვარი, რომელიც ქმნის დასახლების გვაროვნულ კარკასს და დამოუკიდებლად ცხოვრობს.

გვარობა გვარეობა, სახეობა; გამრავლება (გვარენს - მრავლდება, აღგილს შეგუებულია, გვარობს).

გვარჭიჭე ახალწარმოშობილი და მცირერიცხოვანი გვარი, რომელსაც დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლია და გვარმეტს ეკედლება (იხ. საგვარმეტიო).

გვარიშ ელნაფალა გვარის განშტოება, ერთი გვარის წიაღში წარმოშობილი ახალი გვარი ან ამონაყარი.

საგვარმეტიო ერთგვარი გაღასახადი ძველ სამეგრელოში. თუ მცირერიცხოვანი გვარი **გვარჭიჭე**, რომელიც დამოუკიდებელ გვარად ვერ ცხოვრობდა, შეეკედლებოდა დიდ გვარს **გვარმეტს**, ამ უკანასკნელს შეეძლო მისგან

მოეთხოვა **საგვარმეტიო** გამოსაღები.

გვარიშ ძვალი ძვალგვარი გვარის თავდაპირველი სამყოფლოდან გამოსული კაცი, ძირითადი მშენებელი, შემადგენელი გვარისა, ანტონიმი **ხინჩუას, ხიაჩარის** გვარს შემოკედლებულისა (იხ. ძვალი, გვარდიდი, გვარჭიჭე, ხიჩუა, ხიაჩარი).

ძვალი ძვალი; ძელით ნათესაობა; ძვალ-გვარი ანუ ძირითადი მშენებელი გვარისა, ბუნებრივი გზით განვითარებული, მაგრამ სისხლით ნათესავთა გვარისაგან განსხვავებით, უცხოთა შემრეველიც, რომელთაც მაინც ნაკლები უფლებები აქვთ (**ართ ძვალიში** ერთი ძვალისა, ერთი გვარისა; **შხვანერ ძვალიში** სხვა ძელისა, მიუღებელი, დაუშვებელი); კარკასი, ჩონჩხი შენობისა, ძარღვი ფოთლისა; ძვალივით გამაგრებული სიმსივნე ცხენის ფეხზე.

ხიაჩარი/ხილაჩარი ძვალგვარს შემოკედლებული სხვა გვარის ხალხი; **გურ ქობალია** (ძირძველი ქობალია) – **ხიაჩარ ქობალია** (ქობალიების გვარს შემოკედლებული, ქობალიად გვარნაცვალი კაცი); მღაბიორი, **უგვარტომო**, გვარნაცვალი

ხიაჩარეფი ყარტა-ყურტა (ხალხი).

ხინჩუა ძვალგვარს შემოკედლებული სხვა გვარის კაცი: **გურ ქობალია** (ძირძველი ქობალია) – **ხინჩუა ქობალია** გვარნაცვალი ქობალია).

დიდგვარიში დიდგვაროვანი.

დაბალ გვარიში მდაბიორი.

გური გვარის ბუდე, ძვალგვარი (იხ. გუდა; გვარდიდი, გვარჭიჭე, ძვალგვარი) *გვარის თავდაპირველი სამყოფლოდან გამოსული კაცი*, (**გურმარგალი** ნამდვილი, ძირძველი მეგრელი (ცულქართლი კაცის ანალოგიით), ხინჩუას, ხიაჩარის – გვარს შეკედლებულის ანტონიმი: **გურ ქობალია** (ძირძველი ქობალია) – ხინჩუა, ხიაჩარ ქობალია (ქობალიების გვარს შემოკედლებული, ქობალიად გვარნაცვალი კაცი) ღებანი (ნაყოფისა), ყეითრი (კვერცხისა).

თარგუდა სიტყვა სიტყვით „მთაერი გუდა“, უართო მნიშვნელობით, ღვთის უბე, წიაღი; სულის სამშობლო, სულის ჭურჭელი, პირველსაცხოვრისი გვარისა თაყდაპირველი სამყოფლო, სამო.

სამცხვარებელი საცხოვნებელი, სარჯულავი, სალოცავთა, წეს-აღათთა ერთობლიობა, საჭირისუფლო (იზმა იშ სამცხვარებელს იმდენი იმის საცხოვნებელს, მკედარცოცხლებსო).

სამოხიო საძმო, სამახლობლო, საჭირისუფლო, ასაბია.

მოხვიე ახლობელი, თანამოტანჯე.

საოშო ასაბია, საახლობლო; უახლოესი აღამიანების, უპირატესად, მეზობლების „ასეული“; გაჭირვების დროს მათ მიპქონდათ საჭმელი ჭირისუფალთან და წყვეტდნენ დატირება-დაკრძალვის ცერემონიალთან დაკავშირებულ საკითხებს.

სარჯულო სარჯულო, საგვარეულო, სანათესაო.

სამოჯგირო სამოკეთეო.

საჯიმალო საძმო; ძმებს შორის გაუყოფელი მიწა, რომელსაც მონათესავე პატარა ოჯახები კოლექტიურად ამუშავებდნენ და მოსავალს იყოფდნენ, ისდიდნენ საჯიმალო ხვამას, რაც წარმოადგენდა საძმო ღღესასწაულს, ერთობლივ ლოცვას სახლიკაცებისა, ბიძაშვილებისა (მეგრულში ჯიმაკოჩის საწყისი მნიშვნელობა ბიძაშვილია, სახლიკაცი).

საჯინჯო ძირითადი სამკვიდრო; უუძემდებლური, საბაზისო; ნადელის სახეობაც იყო.

დგუმა მოდგმა, ერთი თაობა; დგმა, ნაკალი, წყება; შეერთება, შესახსრება, შეკოწიწება; დატერასება.

დგუმა-დგუმათ წყება-წყება, ნაბიჯ-ნაბიჯ, რიგრიგობით.

დგუმუ მდგმელი, მღგომი; შემდგენელი.

თასმაბრუო მერვე მოდგმა, საწყისი ჯიშის განეითარების ახალი, შვიდმოდგმიანი ციკლისა.

შქვით დგუმა შვიდი მოდგმა. ძველად იკვლევდნენ ქალ-

ეაჟის წინაპართა შეიდ თაობას, რადგან თუნდაც მეშვიდე მოდგმის ნათესავთა შეუღლება სისხლის აღრევად ითვლებოდა და არ ეგებოდა ვაშინერდ (მუმა, ბაბუ, პაპუ, შამა, ჩამა, ჯამა, იმპუ).

თემი გვარების გაერთიანება, საერთო საცხოვრისი.

ერი ერი; დიდი სიმრავლე, მრავალრიცხოვნება, იერი (იხ. ერები).

ერები ერობა, ერი, დედაბუდე, თესლ-ჯილაგი; საბადისი, დიდი რაოდენობა ხალხისა; ე. წ. ერიანი ოჯახი, დიდი, გაუყრელი ოჯახი დედმამიშვილებისა ან ბაბუიშვილებისა; დიდი ოჯახი მთელი თავისი ქონებით და საქონლით.

დინო სახლეული; შიდა განშტოება ერთი ჯურისა – ერთი თურისა.

თური ერთი დიდი პაპის შთამომაელობა, ერთი გვარის ხალხი (სი უთური! შე უჯიშო, უკუღმართო, შე ურჯულო!

ნოყო

გამნარყი შთამომაელობა; ნაყარი, გვარის, ერთი შტოს ხალხი, ორი-სამი თაობა; სისხლით ნათესავი, გვარისკაცი, სახლიკაცი; სანათესაო მამის ხაზით.

გამნაყოფი განაყოფი, მოდგმა, შთამომაელობა, განაყარი.

გამნაჭყანი მოდგმა, შთამომაელობა, ერთი წინაპრის მიერ სიცოცხლემინიჭებული თაობები (ჭყანადან სიცოცხლის ნიშატიდან).

ჭყანა სიცხოველე, სიცოცხლის ნიშატი, სასიცოცხლო ღონე, შინაგანი ძალა; ბოსტნეულიცაა ერთგვარი.

ჭყანაფა სიცოცხლის მინიჭება, დასაბამება, დანერგვა (ოჭყანუანს სიცოცხლეს ანიჭებს, აფუძნებს).

ჭყანაშ გიშაღალა სასიცოცხლო ძალის გამოცლა.

ჭყანერი იხ. ჭყანიერი.

ჭყანი იხ. ჭყანა.

ჭყანიერი ცხოველი, ცხოველმყოფელი; ღონიერი,

ძალოვანი; გაცხოველებული (მუშაობა).

ჭანია კვამლი; კომლი, ოჯახი, სახლეული (ცოლზეც იტყვიან); ამალა; ამხანაგობა (მეჯოგეებისა); სანათესაო კუთხის საზოგადო სახელი.

ჭანიაშ მაკათური ოჯახის წევრი.

ჭანიასკური წყალთა შესაკრებელი, საბიარო, საგვარეული წყარო.

ჭანიაში იხ. ჭანილი.

ჭანა წმინდა, სალოცავი ადგილი; კომლი, კერა.

ერიან ჭანია დიდი, მრავალრიცხოვანი (ოჯახი).

უდე სახლი, საყუდარი, ნაგებობა (საზოგ.); წნული, უბუხრო, უფანჯრო, უბანო, ერთთელიანი სახლაკი, სენაკი; კომლი, სახლეული (**უჩა მეურს შინ მიდის; უდეს ვარე შინ არ არის**).

უდე-კარი სახლ-კარი.

უდე-კუნთხუ კარ-მიდამო.

უდელი იხ. უდერი.

უდე-ოზე-მასარეფი სახლ-კარი.

უდერი დაყუდებული, დასახლებული.

უდერობა ყუდეა; სახლკარიანობა, სახლის ფლობა, სახლობა (მომთაბარეობის ანტონიმი).

უდეშარეფი სახლეული.

უდეშარი სახლიკაცი; თანამოსაყდრე.

უდეშ ბაბუ სახლის ბაბუა, ეისთანაც იზრდება ბაეშვი, უპირატესად, მამის მამა.

უდეშ ბები სახლის ბებია; ეისთანაც იზრდება ბაეშვი, უპირატესად, მამის დედა.

უდეშ დია დიასახლისი.

უდეშ დიდა დიასახლისი.

უდეშ კარი სახლის კარი, წინკარი, პარმაღი, მღურბლი.

უდეშ კოჩი სახლიკაცი.

უდეშ მუმა მამასახლისი, ოჯახის პატრონი.

უდეშ ოსური დიასახლისი.

უდეშ როხუ საძირკელის ქვა, ბალავარი.

უდეშ უნჩაში მამასახლისი, ოჯახის უფროსი; სახლთუხუცესი.

უდეშ ფანია სახლეული, მინაურები; სასახლის კარი, ამალა.

უდია სახლაკი.

უდუა დაყუდება, დასახლება; ყუდება, სახლობა.

თასი თესლი.

თას-კვიკვილი თესლ-კვირტი, ნაგრამი.

თასკოჩი მამამთავარი; კაცი წამლად, კაცის თესლი, კაცთაგანი.

თასმამალი თესლი და მომავალი.

თასმამბუ ჯიშ-ჯილაგი, თესლ-მომყოლი, გამრავლების უნარის მქონე.

თასმამბული იხ. თასმამბუ.

თასმაჰამბი ძველთამთხრობი; თესლი და მომგონებელი.

თასბოში გვარის გამგრძელებელი, ერთადერთი ძე, მემკვიდრე.

თასმაბუო ეშალაფირი მოდგმის მოღგმაგაწყვეტილი, გადაშენებული.

თასმამალო ეშაჭყვიდუა თესლიან-შთამომავლიანად ამოწყვეტა.

თასმამბუო თესლ-მომყოლიანად.

თი სახლობა, ოჯახი.

სქი დო კვეთი ძე და დერიტა, მემკვიდრე, შთამომავალი.

სქილა შვილიკო.

სქილშესქილი შვილთაშვილი, შთამომავლობა, დიდპატარა, ნაგრამი.

სქილშე სქილშო საშვილიშვილოდ.

სქუა ვაჟიშვილი, ძე (ძველად ქალიშვილი შვილად არ იხსენიებოდა), შვილი.

სქუაბოში ვაჟიშვილი.

ძეშიძე ძისძე, მოდგმა (საზოგ.), შვილიშვილი, შთამომა-

ვალი, მემკვიდრე.

ძეშიძეშა საშვილიშვილოდ.

ძეძეშა ძირისძირამდე.

ძე ძე; კვეთი.

ძე დო კვეთი ჯიშ-ჯილაგი, ძე და დვრიტა; მემკვიდრე, შთამომავალი.

მამბუ უმცირესი ერთეული თესლ-ჯილაგისა, დასაბამი სიცოცხლისა (ადამიანის, ცხოველის მიმართ), გამრავლების უნარის მქონე ერთეული (იხ. თას-მამბუ).

მეკვირდე მემკვიდრე, მეღვიძლე, მონათესავე.

მეკვირდიე იხ. მეკვირდე.

მეკვირდობა მემკვიდრეობა, მეღვიძლეობა, მონათესავეობა.

მედგუმუ მოდგმა; შემოკედლებული; მომიჯნავე, (მწყემსთა) გაერთიანებაში შემოსული.

მედგამი მრევლი; თანამღგომი, მომხრე, კვალზე შემდგომი; მიკედლებული, მიერთებული.

მედგამუ იხ. მედგამი.

მახორობა სახლობა, სახლეული; სახლ-კარი, დასახლება.

სამორინე გამზრდელისათვის გაზრდილის ოჯახი, სამშობლო.

სანარდო სანარდო; სანავარდო; სანარდო შრომის ადგილი; გამზრდელის სახლი გაზრდილისათვის, გაძიძავებული თავადიშვილისთვის.

მა ალე ერთი შტოსი; მეტობარი; მხლებელი; მეუღლე.

მა ალობა მეტობრობა; მხლებლობა; მეუღლეობა.

მა ალუა მეტობრობა (უმა ალუანს ემეტობრება, მეტობრობას უწევს)

მახორო მოსახლე.

მანჯიორი მაგიერი, ნაცვალი; სანაცვლო, სამაგიერო; გარღაცვლილი ახლობლის სანაცვლოდ გლოვის გასრულების დროისთვის, უპირატესად წლისთავზე სხვას, გულით

ახლობელს, შეასახელებდნენ, მას მოაკვეცინებდნენ მოშვებულ თმა-წვერს და ამიერიდან ისიც მოვალე იყო გარდაცვლილის პატივრობა გაეწია სახელმღებლისთვის, თავის მხრივ, მას მიეკებოდა მთელი პატივი და სიყვარული, რომელიც გარდაცვლილს დააკლდა. გარდაცვლილი მეულლის სანაცვლოს ვერ ირჩევდნენ ქვრივები.

მახორუ / მახორო მოსახლე.

მახორობა სახლეული, ოჯახი.

მაჰამბი / მაჰამბუ მოამბე, მომხსენიებელი.

მებედია ბედიანი, დამბედებელი; კაცი, რომელსაც ვაჟები ებედება.

საშელო საზიარო, ამხანაგობისა; ყოველივე ის, რაც საზიაროდ რჩებოდათ ძმებს გაყოფის შემდეგ ანუ ის, რასაც ცალკე აღებული ოჯახი მხოლოდ თავისი შრომით ვერ მოერეოდა ან სხვა რამ მიზეზით არ თუ ვერ იგვირთებდა (სახნავი, წისქვილი, ფუტკარი და სხვ.), **საზიარო რჩებოდა სალოცავიც, ძმები ამ ლოცვისთვის იკრიბებოდნენ შემოდგომაზე მამისეულ სახლში დარჩენილი ძმის ოჯახში, იხ. მეუნჩაშე.**

მამანძელი მემკვიდრეობითი; ხელსაყრელი ნიადაგი, პირობები რაიმესათვის; თანდაყოლილი, თვითრჯულობით მომდებარე (სენი); ძველი, უსვეგადგმული ავადმყოფობა.

მაკუჩხურ სქუა პირველი შვილი.

მაკათური შენაკადი, შემდინარე; წვერი, მოზიარე, მოწილე; ე. წ. მონარევე მწყემსი, **ოკათურის** მწყემსების სეზონური გაერთიანების წევრი (იხ. კათუა); ოჯახის სრულწლოვანი წევრი (იხ. უანიაშ მაკათური).

თაკუდელი თავ-ბოლო.

ჩხვიჩხვ დო ბოლო თავი და ბოლო; კატარ-ძირი; უსვი და უსვაკი.

მერსხილი კოწიწ-კოწიწი; შესახსრებული, შეკოწიწებული, მიერთებული, მიდგმული; მოდგმა, შთამოსავალი.

მერსხილიშ მერსხილი მოდგმის მოდგმა. (ლრობი)

შორეული წინაპრის შთამომაეალი (იხ. მისხიშ მისხი.)

ნანა! შორისდ. ნატერისა, გაოცებისა.

ნანაგე დედა გენაცვალოს (საუბრ.).

ნანადიდი დიდედა.

ნანა დო ბაბა დედ-მამა.

ნანაია დედა (კნ.).

ნანაია! შორისდ.

ნანაია შური! შორისდ.

ნანა მარია დედა მარიამი (ღვთისმშობლის ეპითეტი)

ნანა მარიამი იხ. ნანა მარია

ნანაუფალი დედაღმერთი, ღვთისმშობელი

ნანაშ ნინა დედაენა

დია დედა; გვარის უფროსი ქალი; დიასახლისი; იუპიტერი, რომელსაც თექვსმეტი წერილ-წერილი თანამგზავრი ჰყავს, მუარველობს გეოგრაფიულ ზონას, რომელსაც სამეცრელო მიეკუთვნება.

დიდაშ ართი (სქუა) დედისერთა (შვილი).

დიდაშ ბჟა დედის რძე.

დიდაშე ართი დედით ერთი, ერთი დედის ნაშობი (მამით სხვადასხვა).

დიდაშ თი დედულეთი.

დიდაშიანეფი დედულნი, სანათესაო დედის ხაზით.

დიდაშიანი დედისმიერი ნათესავი.

დიდაშ მანგიორი დედობილი, დედის მაგიერი, გარდაცვლილი დედის სანაცვლოდ არჩეული (იხ. მანგიორი).

მესქუალაფა მიშვილება, შვილად აყვანა; გაცუდებული დედა პირუტყვისთვის, სხვისი მონაგები ტყუპისცალის მიჩენა საწოვებლად.

მესქუალაფირი ნაშვილები, გაშვილებული; შვილობილი.

მენჯირაფა მიწვენა, მირქმა (გულზე), მიწოლა (ბალღს); მიყოლებით მიწვენა, გაგორება (მტრისა); გვერდიგვერდ დაკრძალვის სახე (თუ ერთ საფლაეში ორია დასაფლავებული, ერთი პირაღმაა, მეორე — გვერდულად).

სქუაფუჩაფილი შვილად შეუიცული, გარდაცვლილ შვილთან მსგავსების ნიშნით შვარჩევდნენ ვინმეს და შვილად შეიფიცებდნენ (იგივეა, რაც სქუაჩაუილი, სქუაშმანგიორი).

სქუაშ მანგიორი შვილის მაგიერი.

მანგიორი მაგიერი, ნაცვალი; სანაცვლო, სამაგიერო; გარდაცვლილი ახლობლის სანაცვლოდ გლოვის გასრულების დროისთვის, უპირატესად წლისთავზე სხვას, გულით ახლობელს, შეასახელებდნენ, მას მოაკვეცინებდნენ მოშვებულ თმა-წვერს და ამიერიდან ისიც მოვალე იყო გარდაცვლილის მაგიერობა გაეწია სახელმდებლისთვის, თავის მხრივ, მას მიეგებოდა მთელი პატივი და სიყვარული, რომელიც გარდაცვლილს დააკლდა. გარდაცვლილი მეუღლის სანაცვლოს ვერ ირჩევდნენ ქვრივები.

სქუაჩაფილი შვილის მაგიერი (იხ. ჩაფილი, ჩაფილობა).

სქუაძღაბი ქალიშვილი, ასული.

სქუაჯონერი გერი.

ჩაფა გატოლება; მიცვალებულის ნაცვლად ვისიმე ძედ ან ძმად ჩაყენება მგლოვიარე მშობლების ან დის მიერ და გამოცხადება გარდაცვლილის ტოლუფლებიან მემკვიდრედ; შესახელება გარდაცვლილი ახლობლის მონაცვლედ (საბოჯ.).

ჩაფილი გატოლებული. ბადალი (სიტყვასიტყვით); გარდაცვლილი ახლობლის სანაცვლოდ მიღებული, შეძენილი მოყვარე (იხ. ჩაფა, ჩაფილობა).

ჩაფილობა ვინმესთან დამოყვრება გარდაცვლილი ახლობლის სანაცვლოდ.

ჩაფილსკუა შვილის მაგიერი, ბადალი, შვილად მიღებული (გარდაცვლილის სანაცვლოდ).

და დო ჯიმა და-ძმა.

და დო ჯიმალობა და-ძმობა.

და დო ჯიმალობით და-ძმურად, და-ძმობას (საუბ.).

დადრა უფროსის მიმართვა უმცროსისადმი სამურზაყანოში.

დადუა უმცროსი და-ძმა დისათვის.

მენარდუეფი მკერდზე მიბრდილი; ერთმანეთს მიბრდილი, ერთად გამოზრდილი (შვილები).

მენარდი თანშეზრდილი; შეზრდილი.

ძუძნაჩემი ძუძუნაწოვები, გაზრდილი.

ძუძნაწუა ძუძუნაწოვი, გაზრდილი.

ძუძუშა კიბირიშ გედგუმა ძუძუზე კბილის დადგმა (დედაშვილობის შეუიცვის რიტუალიდან).

ძუძუშა მეხუნაფა მკერდზე მირქმა; ძუძუს წოვება.

ძუძუშ ნარდი გაზრდილი ძიძისთვის (ჩქიმ დიდაშ ძუძუშ ნარდი დედაჩემოს რძით გაზრდილი, ძუძუმტე).

ძუძუშ ნაწუა ძუძუნაწოვები, გაზრდილი.

ძუძუშ ფარა ე. წ. ძუძუს საუასური, რომელსაც პატარძლის დედას მიართმეედა სიძე.

ძუძუშ ჩამა ძუძუს ჭმევა.

ძუძუშ ჯიმა ძუძუმტე ვაჟი.

ძეძვებუა ძმაღშეუიცვის (სამუდამოდ, ძიდან-ძემდე) დაძმობილების რიტუალი (კრავი იკვლებოდა).

მენარჯი მენაკი, მონაკლები; უუროს-უმცროსობის, მეტნაკლებობის ხარისხი, სხვაზე ნაკლები, უმცროსი.

სინჯა სიძე.

სინჯა დო მოჭყუდუ სიძე-პატარძალი.

სინჯალობა სიძეობა, სიძის პირველი სტუმრობა ცოლოურში (სინჯალენს სასიძოდ მიდის, მორცხვობს, თავაგიანობს).

სინჯა ა ქვისლი.

ჩილდოსქუა ცოლ-შვილი.

ჩილი ცოლი.

ჩილორთი ცოლოური.

მამდა მამიდა (იხ. ბაბადია).

მამდასქუა მამიდაშვილი (იხ. ბაბადიში).

მამი მამიდა.

შამა ბაბუას ბაბუა, წინაპარი მამაკაცი მეექვსე თაობისთვის.

შამათი წინაპრის მამული, შთამომავლობა მეექვსე თაობისათვის.

შამათური შამათი ნათესავი, მეექვსე თაობის ნათესაობა.

შამარა შავი, ჩირქნარევი ან ვენური სისხლი.

შამარი ბაბუას ბებია, წინაპარი ქალი მეექვსე თაობისთვის.

შამახი ერთი წინაპრის შთამომავლობა, შამას ხალხი, ექვსი თაობის ნათესაობა.

საუნჩაშო საუფროსო, სამბრძანებლო.

სანთილო სამთილო, ქმარეული.

ჩინებული შეცნობილი; ნაცნობი; ცნობილი.

ჩინელი დაბარებული, შეთელილი; კითხული, ცნობილი, გაცნობიერებული.

მერჭულე მეჭურჭლე, ხატის მეგანძური.

მერჯულე მერჯულე, მერჩულე, საეკლესიო კანონების მცოდნე, ადათ-წესების მცოდნე, რჯულის მსახური.

მერჩქინელი მიჩენილი, შესახელებული (ზვარაკი); მონიშნული, მინიშნებული, მიჩნეული, შერაცხული; მიმაგრებული, მეთვალყურე; შესახელებული, საწესო, სახელდებული.

მერჩქინელეფი მონიშნულები; ცნობილები, (მერჩქინელეფი ბრელ რენანია დო სხუნურეფი – მორჩილო მრავალ არიან ცნობილნი და რჩეულ – მცირედნი).

მერჩქინა მიჩენა, შესახელება (ზვარაკისა); მონიშვნა, შენიშვნა; მიჩნევა, შერაცხვა გარდაცვლილი ახლობლის სანაცვლოდ; დანიშვნა, დაწინდვა.

მეუნჩაშე უხუცესი; უფროსი; მოდგმის, გვარის დიდი სალოცავი, რომელიც ემართა გაყრილ ძმათაგან უფროსსა და მის შთამომავლობას და საამისოდ შესახელებული ქვეყრი; უფროსი ძმა, ვინც იხდიდა განაყარი ოჯახების საბიარო სალოცავს; მესეფე, განმკარგულებელი ქელეხში.

მეხატული ხატის მსახური, ხატის ხელისმომკიდე,

შუამავალი ხატსა და ხალხს შორის; ხატის მომელელი ან მისი მუარეელი აბნაური.

მეწესე მოწესე, გამრიგე.

მაკათური შენაკადი, შემდინარე; წევრი, მოზიარე, მოწილე; ე. წ. მონარევე მწყემსი, **ოკათურის** მწყემსების სეზონური გაერთიანების წევრი (იხ. კათუა); ოკახის სრულწლოვანი წევრი (იხ. უანიაშ მაკათური).

მალთე მეზობელი მემთეურე მეკოგეებში, წილის დამდები მომიკნავეთა საერთო ხარკებში.

მალთენობა მომიკნავე მეკოგეთა გაერთიანება გარკვეულ ხარკებსა და საქმიანობაში (იხ. მედგუმუ **მანათალი** ნათლია; მომნათლავი).

მეკარილი მიკარეებული, სამწყემსურში დამეზობლებული; (დაღიას) კარს შეკედლებული; მიბმული (ნავი).

მეკარუა მიკარევება, სამწყემსურში დამეზობლება; (დაღიას) კარს შეკედლება; მიბმა (ნავისა).

მანძგერი გვერდითი, მომიკნავე მეზობელი, ვისაც შეიძლება ბალღი გაუგზავნო საციქველზე; გულამოსკვნით (მგირალი); მძგერი (გული).

მექართუა ერთმანეთს მიბმა, მიხლართვა.

მენძელი მასპინძელი; მკეიდრი, ადგილზე უესეგადგმული, ძირის მქონე; მემკვიდრეობით მფლობელი მიწისა, საცხოვრისისა.

მენძელობა მასპინძლობა.

მენძელუა მემკვიდრეობით ფლობა მიწისა, საცხოვრისისა.

მეფუჩელი შეუიცული, თან შეუიცული, თანამუიცავი.

მეფუჩუა შეუიცვა, თან შეუიცვა, ვინმესთან ფიცით შეუიცვა.

მენდებული მინდობილი, ნანდობი; საქსოეიცაა ერთგვარი.

მანათალი ნათლია; მომნათლავი.

მანათალი მორდია მიმრქმელი ნათლია, მომნათლავი

(ასე განასხვაევებენ ნათლიას მეგურგინე მორდია მეჯვარი-საგან).

მანძელი ღონიერი ფესვი ნერგისა; ასაკოვანი, დავაკაცებული; სრული, გამწევი ძალის ხარი; მოღონიერებული ნერგი, ჩითილი.

მაცალე ერთი შგოსი; მეგობარი; მხლებელი; მეუღლე.

მაცი მორჩი; ნამხრევი, წანაზარდი სიმინდის ღეროზე; ბავშვის სარცხვინელი (კნ.); ხბო (კნ.).

მელახი ცალკეული, ეული (მელახ მაკათური ცალკეული წევრი).

მელახ-მელახო ცალ-ცალკე, თავ-თავისთვის, განცალკევებით.

მელახო იხ. მელახ.

მელახონი განცალკევებული; გაღმელი.

მელე-მოლე გაღმა-გამოღმა, აქეთ-იქით, იმერ-ამერ.

მენდული მოიმედე, პატრონი (ოჯახისა).

მენთხაფუ მისაერდომელი, უძლურთა მისაყრდნობელი; ერთგვარი ღობე ხარიხისა, იგივე გარახა (ჩვეულებრივი ხარიხის ნახევრად ამოყვანილ ღობეში მანებს ჩაასობდნენ, მიწაში ნახევარი მეტრის სიღრმემდე ჩაჯენჯაველნენ, აქეთ-იქით, გვერდის სარებისკენ გადადრეკდნენ და ბოლომდე ჩახირხლაველნენ. ასეთ ღობეს კამეჩიც ვერ წააქცევდა).

მერსხუაფა შესახსრება, შეკოწიწება, მიერთება, მიდგმა.

მეხვალახე მარტოობის, განმარტოების მოსურნე; დაყუღებით მცხოერები, მწირი.

ჩქინ ხე (კოჩი) ჩვენნაირი, ჩვენებური (კაცი).

გუმოჭყუდური – გათხოელი, მამის ოჯახს მოწყვეტილი ქალი.

სურდილ ხოჯი შესუდრული ხარი, საშვარაკო, მიცვალებულის სულისთვის შესაწირი, ზვარა (უპირატესად გუმოჭყუდურებს გათხოვილ ქალიშვილებს ან დებს მიპყავდათ ტირილის ღღეს, შავი ლენტით შუბლწაკრული, და იკლებოდა მკლაყის გახსნის ღღეს ან ორმოცზე).

საწესო საწესო, ადათის მოთხოვნა.

სანაშინო სანაშენო, ჯიშიანი; ნაკეთი კარგია ენახის, ბაღის გასაშენებლად.

გვარისა და უფრო დიდ თუ მცირე გაერთიანებათა სალოცავები

გვარიშ ოხვამერი საგვარეულო, გვარის სალოცავი, მასზე შესახელებული ქვევრი.

სოფელიშ ხვამა სოფლის სალოცავი, ერთობლივი ლოცვა. იცოდნენ გაზაფხულზე, ხვნა-თესვის მოლევის შემდეგ. სოფელი საერთო ხარჯით ყიდულობდა საკლავს (თხას, ცხვარს ან კურატს), შეიკრიბებოდნენ ოჯახების უფროსები, უხუცესი ილოცებდა კარგი ამინდისთვის, უხვი მოსავლისთვის, შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და გაინაწილებდნენ.

საჯიმალო ხვამა საძმო დღესასწაული, ერთობლივი ლოცვა.

სამუმო ოჯახის მამის სალოცავი ქვევრი; მამათა (ლავრა).

სანძღოშ მეზობელიშ ხვამა კარის მეზობლების ლოცვა.

საჯინჯხატო უუძის მუარველი ხატის სალოცავი.

თემიშ ხვამა სათემო, საგვარეულო ლოცვა; იმართებოდა განსაკუთრებულ შემთხვევებში – სტიქიური უბედურებებისას, ეპიდემიებისას და ამიტომ საკუთრივი დღე და რიცხვი არ იყო განსაზღერული. სალოცავად იკრიბებოდა მთელი თემი, საგანგებოდ შერჩეული მლოცველი მახვამერი, უპირატესად, მოხუცი, თავბრუდამსვევი სიგრძის ჭოკზე დამაგრებულ ანთებულ სანთელს წაღმა გადაატარებდა ირგვლივ დაჩოქილ ბღვა ხალხზე და ლოცულობდა – ასე წაღმა ატარე ჩვენი თემის მოსახლენი და იხსენი ყოველი გასაჭირისგანო. ამის შემდეგ შესაწირავს გამოიტანდნენ, ყოველი სარჯულო განცალკევებით დაჯდებოდა მინდვრად და თავის ულუფას შეექცეოდა.

საღთო-საოხორო დედა-ფუძის, სახლისა და მისი მფარველი ღმერთისთვის ლოცვა და საწირი. *ლოცვას განაყარი ძმები* საერთო ხარჯით იხდიდნენ ძირეულ ოჯახში, წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს. სხვა შემთხვევაში – ფუძეზე დარჩენილი ოჯახის უფროსი. მლოცველი დილით დაკლავდა გოჭს ან ბატკანს, შუადღისთვის საკლავის გულღვიძლს, მამლის თავს, რიტუალურ ყველიან და კვერცხიან კერებთან ერთად დააწყობდა ხონჩაზე და მარანში დადგამდა ამ ლოცვისთვის შესახელებული ქვევრის თავზე. გარშემო დააჩოქებდა ვაჟიშვილებს და ღმერთს ოჯახის მფარველობას შესთხოვდა, **ჩქიმ საოხოროს ქიგმორჩინევა** – ჩემს სამოსახლოზე დამაბერეო. საღთო-საოხორო კვერის გულსა და ყველს დასორსლაედნენ და პატარა გუნდებს ზურგსუკან მოისროდნენ, ღმერთო, ამას გააყოლე ჩემი ოჯახის საფრთხე და უათერაკი და, სანამ არ მოვიძიო, ამაშორე სიაველო (იხ. საღთო-საოხორო ლაგვანი, საღთო-საოხორო კვარი); საღმრთო ტაბლისთვისაც და ყოფითი, სადაგი სუფრისთვისაც სახმარი ღვინო; დოქიცაა ერთგვარი.

საღთო-საოხორო ლაგვანი ფუძისა და მისი მფარველი ღვთაებისადმი ლოცვისთვის შესახელებული საგედაშე ქვევრი, რომელიც საერთო იყო ძმებისა და ძმათა შვილებისთვის ფუძე ოჯახის გაყრის შემდეგაც. თუ ოჯახის გაყრის შემდეგ მარანში ან სალოცავი ხეების ქვეშ დამარხული, სხვადასხვა სალოცავებზე შესახელებული ქვევრები ოხვამერები ძმებს შორის იყოფოდა, **საღთო-საოხორო** უცილობლად რჩებოდა ძველ ფუძეზე, სადაც განაყარი ძმები და ძმათა შვილები წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს საერთო ხარჯით ერთობლივად იხდიდნენ საღმრთო ლოცვას, სხვა შემთხვევაში ამ ქვევრის თავზე ლოცულობდა ფუძეზე დარჩენილი ოჯახის უფროსი ვაჟიშვილებთან ერთად.

საღთო-საოხორო კვარი ფუძისა და მისი მფარველი ღვთაებისადმი ლოცვისთვის განკუთვნილი რიტუალური

ყველიანი და კვერცხიანი კვერი, რომლის გულს ლოცვის დასასრულ დასორსლაედნენ და ზურგსუკან მოისროდნენ, ამას გააყოლე ჩვენი ოჯახის უათერაკიო.

საღორონთო საღვთო; გასაღმერთებელი; საუფლო, სადღესასწაულო, რელიგიური; ღვთიესაყვარელი, ღვთისმიერი.

საღორონთო ხვამა საღმრთო ლოცვა, იგივეა, რაც ქინიში. იხდიან სულით ავადმყოფის, ქინიშით შეპყრობილის შესაევედრებლად. სამხვეწროდ კლავენ თიკანს, სახლის რომელიმე მყუდრო კუთხეში ჭამენ მამრობითი სქესის წევრები ოჯახისა. შესაძლოა, ხორცი იგემოს შემოსწრებულმაც, მაგრამ ეს ეკრძალება ოჯახის წევრ ქალებსაც კი, თუნდაც ქინიშით შეპყრობილი ქალი იყოს. ხორცს ხარშაენ სპილენძის საგანგებო ქვაბში, რომელსაც მარანშიც კი არ შეიტანენ, კიდებენ გარეთ, სასიმინდეში. თიკნის ტყავს კიდებენ ხეზე, სანამ არ დალპება.

სადაბადო ქალების ლოცვა ქმარ-შვილის, განსაკუთრებით, გოგონას მფარველობისთვის და სადაბადოზე შესახელებული საწირი, სალოცავი ქვევრი. ეს უკანასკნელი ცალკე ემარხა, ოჯახის სალოცავი ქვევრისგან მოშორებით, სადაბადოს იხდიდა ოჯახის დიასახლისი. სადაბადოსთვის შეასახელებდა ძროხას და, როცა ივი სახარე ხბოს მოიგებდა, დააკელევინებდა, თუ სადაბადო ძროხა არ ეყენა, დაკლავდა შესახელებულ ქათამს, დააცხობდა კვერებს და ღმერთს ქმარ-შვილის ბედნიერებას და ჯანმრთელობას შესთხოვდა და სადაბადოს ნალოცის ნაწილი ქალს მამისეულ სახლში მიპქონდა; სამშობლოზე, დაბადების აღილზეც იტყვიან.

სადაბადო ლაგვანი სადაბადო ლოცვისთვის შესახელებული ქვევრი (იგივეა, რაც სადაბადო ოხვამერი); სადიდებულო, დადიანის საკაღრისი, მეფურივით (სადადიოდთ მონწყილი მეფურად გამოწყობილი)

საარდგილო სააღგილო, ქალების ლოცვა, რამდენი

ქალიც ცხოვრობდა ოჯახში, იმდენ ქათამს დაკლაედნენ, ხის შამფურზე (წკირზე) შემწვარს, წკირებითვე დაამაგრებდნენ კედლის ნახერეტებში და იმდენივე სანთელს დაწვაედნენ. ლოცვაში ოჯახის წევრი ქალების კეთილდღეობას შესთხოვდნენ ღმერთს

საანგელოზო საანგელოზო, ბავშვის კეთილდღეობისთვის ლოცვა; მუარველი ანგელოზებისთვის განკუთვნილი, ბავშვის თაებე შემოსაელები ყვინჩილა ან სხვა რამ შესაწირავი.

საანგელოზო მუმული სამსხვერპლო მამალი, რომელსაც სწირაედნენ **ჟინიშ ორთას**. ლოცვა აღეელინებოდა ზაფხულში, ოჯახის უფროსი მალულად ილოცებდა ტყეში, ხის ქვეშ და ლოცვის შემდეგ სამსხვერპლო მამალს ხეზე ჰკიდებდა. ასეევე სწირაედნენ მამალს **გალენიშ ორთას** (იხ.).

სხვა ღვთაებათათვის, ფეტიშიზმისთვის

(ძირითადი ნაწილი ჩაწერილია მეოცე საუკუნის 40 –იან წლებში, ლექობალეში, სოფლის უხუცესებისაგან. მათ ჯერ კიდევ ახსოვდათ წინაპართა რწმენა-წარმოდგენები და თაეადაც ასრულებდნენ ზოგიერთ ამ ლოცვას და რიტუალს)

დღარი დღეობა, წმინდანის სახელობის დღე; სიტყვა-სიტყვით: დღეევანდელი (**დღარ მირსობა** დღეევანდელი მირსობა), დღიური; სადღეობო, დღისა.

დღარ მახვამერი მლოცველი.

დღარ ხვამა სადღეობო ლოცვა.

დღარ ხუება დღეობა, დღესასწაული, უქმობა.

დღახვამაში საწეს-ჩვეულებო დღე, კრძალული დღე (ყველა გვარს ჰქონდა კრძალული დღე, რაც ნიშნავდა იმას, რომ ოდესღაც რომელიღაც წინაპარს იმ დღეს გაუმარჯედა და პატიეისცემის ნიშნად უქმობდნენ).

დღახუ უქმე, დღესასწაული, დღეუქმი, საწეს-ჩვეულებო, ლოცვის დღე.

დღახუობა უქმობა.

ოხვამერეფი სალოცავები (იხ. ხეხუნჯობა, ახალ თუთაშ მუკორჩქინა, ნეძიშ ტახუა, კუჩხა, წინანდღე, პიჩვანი, ნერჩიშ ხვამა, ოჯუმაშხური, მირსობა, სამიქამგარიო, ოდუდია, ოდაბადემ ობადიშო, ბორსობა, ბოსლობა, კაპუნობა, ქინი ანთარი, თუთაშხა ბედინერი, წყითკვარიშ დო ხოშოკვარიშ ჭკომუა, თერდობა, აიობა, ბაიობა, გოხარჭალაფა, ცაშხა-დიდი, ქირსე, თანაფა, ამაღლება, სკაშ ხვამა, (ოწინდანე) ზანჭიშ ხვამა, ღუმუშ ხვამა, ხვამაიანობა, ბორიაშ ხვამა, ზვანაშ ხვამა, თემიშ ხვამა, კვირიკე, ელიობა, იბლიშ ხვამა, ნაფრა, მარაშინა, ჭეჭეთობა, გაძღიკობა, ძივავობა, ოდუდია, ბარბალობა...); პატარა სალოცავი კვერები; სალოცავი ქვევრები.

ნახვამერი ნალოცი, ნაწირი, საღეთო ტაბლაზე ნადები. სხვადასხვა ლოცვისთვის განკუთვნილი საწირი ლოცვის გასრულების შემდეგ სხვადასხვაგვარად ნაწილდებოდა. მაგ. დოდგიმირიშ ნახვამერი (იხ.) მხოლოდ ოჯახის წევრებს უნდა ეჭამათ, მას ვერ იგემებდა გათხოვილი და ოჯახიდან წასული ქალიშვილიც კი. გამონაკლისი იყო შემოსწრებული სიძე. რძლებს არ აჭმევდნენ საურჩქინჯოდ უნებლიედ, უმეცრებით ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდი ლოცვის ნაწირს. ნაფრას კვერის ნარჩენებს მიწაში ჩაულაგდნენ, სხვამ არ ჭამოსო, რადგან, თუ სხვა შეჭამდა, ნაფრა უნდა ელოცა, თორემ ავადმყოფობა მასზე გადავიდოდა. თუ რომელიმე საოჯახო ან ვიწრო წრის ლოცვისთვის განკუთვნილი ნაწირი სურსათ-სანოვაგე მეტად დიდი იყო და ბოლომდე ვერ შეიჭმებოდა, ხოლო სხვისთვის გაზიარება არ ეგებოდა ვაშინერდ, ნაწირს ხონჩაზე დაალაგებდნენ და ტყეში დატოვებდნენ. მეზობლები, რომელთაც იცოდნენ ეს, იცავდნენ „თამაშის წესებს“ და „შემთხვევით“ პოულობდნენ ნაწირს. ეს უკვე ცოდვად არ

ითელებოდა.

ოხვამერი სალოცავი, საწირი; ლოცვა, სადღეგრძელო.

ოხვამერიშ ბენება სალოცავის განთავისუფლება სახელდებისგან, ტაბუსგან.

ოხვამერ კვარი სალოცავი კერი.

ოხვამერ ლაგვანი სალოცავი ქვევრი (ყველა ოჯახს ემარხა).

ოხვამერ მარანი პატარა ჩარდახული ტიპის ოთხ სვეტზე მდგარი ნაგებობა, რომლის ქვეშაც მარხია სალოცავი ქვევრები.

ოხვამერ ღვინი სალოცავი, საზეო ღვინო, ზედაშე, ხატის ღვინო.

ოხვამერ ჭირქა სადღეგრძელო.

ოხვამერ ჯა სალოცავი ხე, რიტუალური ხე, რომლის ძირას იმარხებოდა სალოცავი ქვევრები და აღევლინებოდა ლოცვები, უპირატესად, ბლის ხე და მუხა (იხ. ბული, ჭყონი).

ოხვამეშ მართუ საყდრის, სალოცავის გარშემო ჩოქვა-ჩოქვით მოარული მლოცველი; მემეტანიე.

ოხვამეშ რეკუა წირვის ზარი.

ბაიობა წარმართულ ხანაში მინდვრის ყვავილთა დედოფლის დღეობა, ქრისტიანულში – ბზობა. ამ დღეს გოგო-ბიჭები მინდვრად ბაიასა და გვირილებს კრეფდნენ, გვირგვინებს იწნავდნენ, ჯარგვლის მიწურ იატაკზე, კერის გარშემო მოუენდნენ, კერისპირ კვერცხებს დააწყობდნენ, თევზს შეწვაედნენ და გაინაწილებდნენ.

ბაიონი ბზის ნარგაობა **ბაია** ბაია (ველის ყვავილი); ბზა (ბერძნ.); ბზობის კვირა; თვალის გუგა.

ბაიაშ მოლია ბაიის მოლევის დრო, აღრიანი გაზაფხულის გადასელა.

ბაია ჟაშხა ბზობის კვირა.

ბარბალობა წმ. ბარბალეს სახელობის დღესასწაული, აღინიშნებოდა 4 (17) დეკემბერს (ძვ. სტ.) ქრისტიანული კალენდრით ითელება წმინდა ბარბალეს დღედ, ბარბალო-

ბას კლაედნენ საგანგებოდ ნასუქ ობარბალე ნეზეს, განსაკუთრებით ოჯახებში, სადაც ქალიშვილს სულით დაავადების ნიშნები გამოაჩნდებოდა, რადგან წმინდა ბარბალე სულით დაავადებულთა მფარველად ითელებოდა. ბარბალეს სწირავდნენ მრავალ სხვა შესაწირსაც. წარმართული კალენდრით ეს დღესასწაული დაკავშირებულია მზის მოქცევასთან (ბარბალი მზის სიმბოლოა) და იგივე ბარობა უნდა იყოს. ბარბალობის შემდეგ დღე მატულობდა. (ბარბალობას თუნთი ინჯირუ მუშ ფოთქვის დო ირულუანს გაზარხულშა – ბარბალობას დათვი წვება ბუნაგში და გაზაფხულამდე იძინებს (იხ. ობარბალე ღვჯი, ობარბალე ჩხოუ, ობარბალე უღუ, ობარბალე ბეჭილია, ობარბალე ჩინთი).

ერგე ტაროსისა და აედრის გამრიგე, წყლის ღმერთი, წყალღვთაება, რომელსაც ექვემდებარებიან ცის მნათობები – ტაროსისა და აედრის გამრიგენი.

ერგეში ერგესი, წყლის ღმერთისა, ტაროსისა და აედრის გამრიგე ღვთაებისა (ერგესთვის ლოცვის დღეს, უერხობას ენგურზე მიიტანდნენ დიდ ჭურას ძირუართო ხაპს, გაწერილებულ ყელზე დატანებულ ნახერეტებში გაურჭობდნენ ანთებულ სანთლებს, უსუცესი მამაკაცი ხაპით ხელში ლოცვით მიმართაედა ერგე ღმერთს და შესთხოვდა მზიან დარს, ყველა სიავის წყალს გატანებას, ამის შემდეგ ხაპს მდინარეში ჩაუშვებდნენ, რომ გღვისკენ წაეღო).

ელიობა ელიაობა (აღინიშნება 20 ივლისს ძვ. სტილით, ჭეჭეთობა ჭიაკოკონობის ღამის შემდეგ, ითელება უწმინდური სულების მოუენის დღედ. ამ დროს ბოროტი სულები დაძრწიან სოფელ-სოფელ მელის, კატის, ბუს სახით, მძინარეებს ართმევენ გულს, ფილტვს, ღვიძლს და მიაქვთ როკაპთან, რომელიც ტაბაკონაზე ცხოვრობს. ამის თავიდან ასაცილებლად ხალხი ათევს ღამეს, უკრავენ ბუკს, საყვირს, ისვრიან თოფს, რომ ავსულები დააფრთხონ და

თავს ირთობენ ცეკვა-სიმღერით, ამ დღეს დიასახლისები მსხვერპლს სწირავენ ელიას, სთხოვენ, დაიფაროს ოლე ღომის საშრობი აალებისგან, ელიობისთვის აცხობენ შელებურს მოზრდილ ხაჭაპურს, დადებენ ხონჩაზე, რომელსაც მიაკრავენ ანთებულ სანთლებს. დიასახლისი ხონჩას კერიის ცეცხლთან მიიტანს, ქვეშ სამჯერ გამოუტარებს ნამგალს და წმინდა ელიას შესთხოვს, ამის გემოთ ნუ მისცემ ცეცხლს ძალას და ცეცხლის მარცხისგან დაიფარე ჩემი ფანია ოჯახიო. სახლეულის მამები ხის, უპირატესად, იელის ჯვარს დგამენ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას სახლის წინ და ყანებში (იხ. ჭეჭეთობა, იბლიშ ხვამა).

ბენდიდა სიცოცხლის დამსაბამებელი, პირველი დედა.

ბენდიდებული პირუტყვის მფარველი ღვთაება.

ბენე ვაზი, ვენახი, ღვინო.

ბენება დასაბამება; დაგზნება, დაბინაღრება ცეცხლისა; გამოლღობა, რაიმე სახელდებისგან, ტაბუსაგან განთავისუფლება (იხ. ბენუა).

ბენებული დასაბამებული; დაგზნებული, გამოლღობილი; თავისუფალი რაიმე სახელდებისგან, ტაბუსგან.

ბენეხი იხ. ბინესი.

ბენი გამოთავისუფლებული სალოცავი ქვევრი; ლოცვა ვაჟიშვილისთვის და ამ ლოცვისთვის სახელდებული ქვევრი, სახმარი ღვინო; საწყისი, დასაბამი, მბეჭდავი ცეცხლი; რაიმე სახელდებისგან ან ტაბუსგან თავისუფალი.

ბენუა გამოთავისუფლება ტაბუსაგან, სახელდებისგან (საბოტ.); ანთარის ლოცვამდე ახალმონაგები ძროხის რძისა და მისი ნაწარმის გემება აღკვეთილი იყო, არც ყველი ამოჰყავდათ, კვეთს ვერ ხმარობდნენ. ანთარის ლოცვის შემდეგ ეს ყოველივე ბენებული ტაბუახსნილი იყო.

ბენღვინი ზედაშე, ახალმოხდილი ქვევრიდან ამოღებული სალოცავი ღვინო.

ბორზალგენთხაფილი წმ. გიორგის სატგამწყრალი, დამესხილი.

ბორწალი ბოძალი, ბოლოგაყოფილი ისარი, შუბი, წმინდა გიორგის ატრიბუტი; მეხი; ნებოძირი; ქარბორბალაცაა ერთგვარი; ეისაც ხატი გაუწყრებოდა ან დაამიზეზებდა, მოვალე იყო მონანიების ნიშნად ან მეოხების თხოვნით შესაწირი ბოძალი აეტანა ხატთან. ბოძალი სხვადასხვა სიმძიმისა იყო (იხ. ადამიაშ ბორწალი).

ბორწალია მრისხანე კერპი, ქვისგან გამოკვეთილი რიტუალური უიგურა; მებოძალე (ჭედდა ბოძალს ჭექა-ქუხილის ღეთაებისთვის შესაწირად; წმინდა გიორგის ხატისთვის შესაწირად).

ბორიაშ ოხვამერი ქარის ლოცვისთვის განკუთნილი რიტუალური კვერი (იხ. ბორიაშ ხვამა).

ბორიაშ ხვამა ქარის ლოცვა. ლოცულობდნენ მექარობას, გაზაფხულზე. დამტვერვის პერიოდში დიდ ყველიან მჭადს გამოაცხობდნენ, ბავშვებს შემოატარებინებდნენ ეზოში და ქაქამინჯეს ქარების ღმერთს ან ჩიჩას თმაგაწეწილ ქალღმერთს, მოსაელის დანდობას, ყანის, ნარგავების დამტვერვას შესთხოვდნენ. ქარის ლოცვას მიმართავდნენ სიმინდის დატაროების დროსაც, დააცხობდნენ რიტუალურ კვერებს, ოჯახის უფროსი თავად დაკლავდა და შეწვაედა მამალს ან ყვინჩილას და ყანაშივე ილოცებდა, რომ ქარს არ დაემტვრია დატაროებული სიმინდი, არ გაეთელა ჯეჯილი, მამალსაც და კვერებსაც მარტო შეჭამდა იქვე. ქარის გულის მოგებას სხვა გზითაც ცდილობდნენ – თესვისას ყანაში ქარზე შესახელებულ სიმინდის მარცვლებს მიმოაბნევდნენ, მისი წილი იყოსო; თუ ქარი მაინც არ დაიშლიდა თავისას, სკამს უხებს დაუბორკავდნენ, ასე შეიკრას ქარიო.

ბორსი ღეთაება რომელიც მუარველობს მეჯოგეებს, საქონელს, ამასთან თვალისჩინის მომნიჭებელი ძალიცაა სინათლისა და ცეცხლის ღეთაების **მირსას** მსგავსად, ამიგომ ხშირად მასთანაც აიგივებენ (იხ. ბორსობა).

ბორსობა საქონლის გამრავლებისთვის ლოცულობდნენ

დიდმარხვამდე 17 დღით ადრე, მირსობის მომდევნო ხუთშაბათს. ხშირად აიგიეებენ მირსობასთან, ბოსლობასთან. ბორსობას, მირსობის მსგავსად, თეალისჩინისთვისაც ლოცულობდნენ.

ბოსლობა საქონლის გამრაელებისთვის ლოცვა, სრულდებოდა ნააღდგომევის პირველ კვირას, ხუთშაბათს ან ყველიერის წინა შაბათს. ამ დღეს აცხობდნენ ორ-ორ კვერს თითოეული შინაური საქონლისათვის და ზედ ამა თუ იმ ცხოველის რაიმე ნიშანს გამოსახავდნენ, იქნებოდა ეს რქა, ჩლიქი, ყური თუ სხვა. ოჯახის უფროსი სალოცავ ხონჩაზე დაწყობილ კვერებს ბოსელში მიიტანდა, ილოცებდა, შემდეგ სათითაოდ მიეალერსებოდა ყველა პირუტყვს და თავისი ხელით შეაჭმევდა კვერს (იხ. საქონელიშ კვარი).

ანჭიშ ხვამა ყაჭის ლოცვა (წმინდა გიორგის არ უყვარს აბრეშუმის ჭია. ყაჭის დასმის წინ ილორში ილოცებდნენ მიტევებისთვის და აბრეშუმის ძაფის კონას შესწირავდნენ მის ხატს.

ოჯუმაშხური საოთხშაბათო ლოცვა, აღელენილი ნერჩი პატონისადმი, აღაელენენ დიდმარხვის პირველ ნახევარში და მოსაელის სიუხვეს შესთხოვენ სალოცავს; საოთხშაბათოს სახელზე შეთქმული და შესაწირი (იხ. ნერჩიშ ხვამა, ჯუმაშხური).

აგუნა მწიფობის, მოსაელის, ნაყოფიერების, ღეთაება; ღვინის ღეთაება, ღვინის ხატი (იხ. აგუნაშ ძახი, გუნაფა).

აგუნაფილი ხეზე დამწიფებული, ჩაყურჭებული.

აგუნაფა ხეზე დამწიფება, ჩაყურჭება.

აგუნაშ ლაკვი აგუნას, ღვინის ხატის ლეკვი, რომელიც თან სდევს მას.

აგუნაშ ძახი აგუნას, ღვინის ხატის დღეობა (ახალი წლის საღამოს, რომელიც ძვ. სამეგრელოში სექტემბერში დგებოდა, იმართებოდა აგუნას გაძახება სიმღერით: **ჯუჯელია, ჯუჯელია, ჩქიმ მაშული ხარგელია, შხვაშ მამულს ფურცელია, ჩქიმ ბინეხის ტიანია, შხვაშ ბინეხის ფურცე-**

ლია ჯუჯელია, ჯუჯელია, ჩემი მამული დახუნძლულიო, სხვის მამულში უოთოლიო, ჩემს ვაშს მტევანიო, სხვის ვაშს უოთოლიო.

გალანინი ხატის წყრომა და მისი ნიშნები: სეზე მეხის დაცემა, ცეცხლით ენება, გალანინით შეპყრობა, გამოხატული დაშიშებით, კრთომით, ბორგვით, კოშმარული სიზმრებით.

გალანინიში გალანინით შეპყრობილი, ხატის მიერ დაშინებული; ბორგნეული, კოშმარული სიზმრებით გატანჯული, მკრთომარე (გითმალუ, **გალუ** კრთის).

გალანინიშ ხვამა გალანინის გამოლოცვა, ემართა ხატგამწყრალ ოჯახს. გალანინს ლოცულობდნენ ბატკნით ან ციკნით, საკლავს სხვა საწირთან ერთად ხატს აახლებდნენ წმინდა გიორგის ეკლესიაში, უპირატესად, ილორში და ალობას, ცეცხლისა და მეხისგან დაფარეას შესთხოვდნენ, ლოცვის შემდეგ გალანინით შეპყრობილი აღარ კრთოდა

გალაფა შეკრთომა, შეთრთოლება, შეღრკომა (გუთმალ კრთის, **გალ** შეკრთა).

გალებული გაგარეულებული, გახელებული, ეელად გაჭრილი; გალენიშით შეპყრობილი, გადარეული; თავისუფალი, ალობამიცემული, დახსნილი

გალეიანი გარეშე, გარეგანი, გარეული; საგარეო (სამოსი); გარეკაბა, ზემოდან ჩასაცმელი რაიმეგე.

გალენი გარეთა, გარეშე, გარეგანი; მეოთხე განზომილება, მიღმა სამყარო; ე.წ. შინაით გასული, მიცვალებული შინაურებისათეის; მიცვალებულ სულთა ძალი, რომელსაც ძალუძს ნადირისგან დაიცვას საქონელი; გარეული (ნადირი); საგარეო (ტანსაცმელი); ზედა ტანსაცმელი; უცხოეთი, გარექვეყანა.

გალენიში არაცოცხალთა ბუნება, გარე, მიღმიერი სამყაროს, მიცვალებულთა და მათი მეუფის კულტი და მათთან დაკავშირებული რიტუალი, ლოცვა გალენიშ ორთას მოსამადლიერებლად (იხ. გალენიშიშ ხვამა);

გარეშესი; ცხოერების ხესთან დაკაეშირებული სამყაროს პორიზონტალური კეეთი მარჯვენა და მარცხენა, წინა და უკანა სკნელების სახით.

გალენიშიშ ხვამა არაცოცხალთა სალოცაეი; ლოცვა გარე, მიღმიერი სამყაროს მბრძანებლის, მიცვალებულთა და მათი მეუფის გალენიშ ორთას მოსამადლიერებლად. გალენიშს ლოცულობდნენ მიცვალებულთა სულების დასაშოშმინებლად, უფრორე ოჯახის გარდაცვლილ წევრთათეის; ასევე, გალენიშით დამიზეზებული ავადმყოფისთეის. ეინაიდან გალენიში შინაური საქონლის მფარველად და ნადირთა დამაფრთხობლად, აგრეთვე მოარული სენისგან დამცველადაც ითელებოდა, დროდადრო ამ მიზნითაც აღუელენდნენ ლოცვას. გალენიშ ორთას სალოცაეი ტაბლისთეის შეასახელებდნენ კურატს ან ციკანს, ყურს ჩაუსერაედნენ და ერთ-ორ წელიწადში დაკლაედნენ. დააცხობდნენ რიტუალურ კვერებს, გააკეთებდნენ ელარჯს, საწირს დააწყობდნენ ხონჩაზე და ბედინერს ხატის მსახურს, უხუცესს, განბრძნობილს ალოცვინებდნენ, მეოხებას შესთხოვდნენ გალენიშ ორთას. დასასრულ, ღეინოს მაღლა აასხამდნენ, რამდენი წვეთიც იყოს, იმდენით გაგეიმრაელე საქონელიო; სალოცაეი მწყემსისა, რომელიც ემართა საქონლის მთაში გარეკვის წინ; მშობიარობის ერთი თეის თაეზე გალენიში მელოგინესაც უნდა გადაესადა ეაეისთეის – მამალი ციკნით, გოგონასთეის – მდედრით.

გალენიშ ორთა გარე, მიღმიერი სამყარო, უხილავი ბუნება, მეოთხე განზომილება, მიცვალებულ სულთა სამყოფელო; სულეთის მეუფე, მიცვალებულ სულთა ძალი, რომელსაც ძალუძს ნადირისგან დაიცვას საქონელი.

გალენიშ ტაბაჯი ტაბლა გალენიშისათეის.

სანწკელო სამეოხო, მაცხოვარ-მეოხისათეის, წკნელღმერთისთეის ლოცვა და საწირი. სანწკელოს აღავლენდნენ შემოდგომით. ამ დღეს და აცხობდნენ სანწკელო კვერს

– ლავაშის ფორმის პურს, აანთებდნენ სანთლებს, მოხდიდნენ წკნელღმერთზე შესახელებულ სალოცავ ქვევრს და წყალობას შესთხოვდნენ ოჯახისა და შთამომაელობისთვის; საღვთო-საოხი, სულის სახსარი, ხელშეწყობისთვის, ხელის გამართვისთვის ლოცვა.

საიანიშო ლოცვა ლატალის იონა წინასწარმეტყველის ეკლესიის ხატ-ჯვრებისათვის. იცოდნენ ჯვარში, წელიწადში ერთხელ, უპირატესად ლოცულობდა რამღესიმე მონათესავე ოჯახი ერთად, ე. წ. საჯიმალო (საძმო), ხანაც ცალკეული ოჯახი, რომელიც თავად მოამზადებდა რიტუალურ საწირს და მოძმეებს მოიწვევდა. ამ დღეს კლავდნენ ღორს, ხარშავდნენ ორ ყველიან კვერს და **იანა (იენა) ლატარიშის** ლატალის იონას მათი საძმოსა და ოჯახების მფარველობას შესთხოვდნენ. ვინაიდან იონა წინასწარმეტყველის ეკლესიის ხატ-ჯვრებს მტკიცანი თვალების განკურნების ძალი შესწევდათ, ქალები, თუ თვალები ასტკიოდებოდათ, **იანა ლატარიშის** სწირავდნენ უეტვის მჭადს.

ნაფრა ქალ-ღვთაება, რომელიც ადამიანს თვალის, თავის, ძელის და სხვა ტკივილებისგან იცავს (იგივეა, რაც ნაფურ-ნახა, ნაფურნახე) და მისთვის ლოცვა. ლოცულობდნენ იყლისის შაბათ დღეს ტყეში. **ნაფრას** ლოცვისთვის მოგან დაკლავდნენ ბატკანს და რძეში მოხარშავდნენ, რძეშივე მოხარშავდნენ სუთ ყველიან კვერს ან ერთ დიდ შელებურს (განსაკუთრებით უხვყველიანს), რომელსაც **ნაფრაში** ერქვა. ყველისთვის არამც და არამც არ იხმარდნენ ღორის კეთს, რძე უსათუოდ ციკნის ღერიტით ქვეცელეთი უნდა ყოფილიყო დაკეთილი. ნაფრასთვის გამზადებულ საწირს თან წაიღებდნენ. ავადმყოფს ტყეტყე ატარებდნენ, რომ არაყის ესახა, და სადმე განმარტოებით ილოცებდნენ უცხო თვალისგან განრიდებულნი. განსაკუთრებით უფრთხოდნენ ღორს და ღორის ნაჭალს. ავადმყოფს პირით დასაწელეთისკენ დააწოქებდნენ და ისე

ილოცებდნენ. ნაურას შესთხოვდნენ უეხის ტკიეილი, ძელის ტკეერა (კუჩხიშ ჭუა, ძვალიშ ტახა) მოეშორებინა მისთვის. ლოცვაში ნაფურნახეს იხსენიებდნენ ეპითეტებით: ნაფურნახე დიდებული, ნაფურნახე ბზაფუარი, ნაფურნახე ქვეცელეში (იხ. ნაურაში, ნაფურნახე).

ნაფრაში ნაურას, ნაფურ-ნახას სახელობის რიტუალური კეერი, ცხეებოდა ჭვაეის ან ხორბლის უქეილისაგან, ყველი უცილობლად ქვეცელეთი ანუ ციკნის კეეთით დაკეეთილი რძისა უნდა ყოუილიყო და არაეითარ შემთხვეევაში ღორისა. ნაფრას კეერები იქვე ტყეში, ლოცვის ადგილზე უნდა შეეჭამათ, ხოლო ნარჩენები მიწაში ჩაეფლათ, რომ სხვას არ შეეჭამა, რადგან თუ გარეშე იგემებდა, ნაურა მასაც უნდა გაღაეხაღა, თორემ აეადმყოფობა მასზე გადაეიღოდა. არამც და არამც არ უნდა ჩაეარდნოღა ეს ნარჩენები ღორს (იხ. ნაურა).

ნაფურ-ნახა იხ. ნაურა.

ნაფურნახე იხ. ნაურა.

მიქამგარია მიქელ-გაბრიელი; მიქელ-გაბრიელის სახელობის სალოცაეი ქვეერი, შვარა და სხვ. (იგიეეა, რაც მიქაში, სამგარიო).

მიქამგარიოშ გითოხვამა ლოცვა მიქელ-გაბრიელისადმი, იმართებოდა კეირაცხოელობის მეორე დღეს, ორშაბათს (იგიეეა, რაც თუთაშხა გიოხვამა).

მიქაში მიქელ-გაბრიელისა, მასზე სალოცაეად შესახელებული; მიქას კულტის მსახური, ლოცვის აღმელეხი.

მიქელგარიო მიქელ-გაბრიელისადმი ლოცვა.

მიქელგარიო ქიაჩი ქიაჩის სატი, რომელზეღაც გამოსახულია მიქელ-გაბრიელი და გასსაკუთრებული ძალისად ითელება, მასზე აუიცებდნენ ქურდ-ავაზაკებს; მიქელგარიო ქიაჩზე გადაცემა და წყეელა უმძიმესია

სამგარიო სამიქელ-გაბრიელო ლოცვა და საწირი. მიქელ-გაბრიელისადმი ლოცვას აღაელენდნენ, თუ ოჯახში აეადმყოფი ეაჟი პყაედათ, უპირატესად კი, თაეად ოჯახის

უროსის ჯანმრთელობისთვის, რის გამოც ამ ლოცვას სათაისოს, ოდუდია სამგარიოსაც ეძახდნენ. ლოცვას ასრულებდა ოჯახის მამა, გამთარში, დეკემბერში ან იანვარში, დაკლავდნენ ცოცხს, მამალს, დააცხობდნენ ოთხ ყველიან კვერს, საკლავ-საწირს დააწყობდნენ ხონჩაზე, მიაკრავდნენ სანთელს და ოჯახის უფროსი მამაკაცი უროსი ვაჟის თანხლებით ოდუდია სამგარიოს ქვევრთან დაიჩოქებდა, ხონჩას სამჯერ დააგრიალებდა ქვევრის თავზე და ყოველგვარი სენისა და უბედური შემთხვევისგან დაცვას შესთხოვდა მიქელ-გაბრიელს. საკმეველს თავზე შემოიელებდნენ, ნაკვერჩხლებზე დადებდნენ, საწირს იგემებდნენ და ხონჩიანად ბრუნდებოდნენ სახლში, სადაც ტაბლას უკვე მთელი ოჯახი შემოუსხდებოდა და ოჯახის უფროსი ყველას ერთად დალოცავდა; სამგარიოს მლოცველ ოჯახში უსათუოდ უნდა მდგარიყო მიქამგარიოზე შესახელებული ძროხა.

სამგარიო ოხვამერი შესახელებული ქვევრი ან ძროხა მიქელ-გაბრიელისა.

სამგარიოშ ლაგვანი სამგარიოზე შესახელებული ქვევრი, იგივე ოდუდია სამგარიო, სამგარიო ოხვამერი. ოჯახის უფროსის სათაისო ან უფროსი ვაჟის ჯანმრთელობისთვის სალოცავად დამარხული ქვევრი. **სამგარიო** ქვევრს იმთავითვე მიუჩენდნენ ვაჟსაც, თუკი პატარაობიდან ავი ზნე ან სხვა რამ სენი დაპყვებოდა. **სამგარიოს** ქვევრთან სრულდებოდა სამგარიოს ლოცვა (იხ. სამგარიო).

სამგარიოშ ტიბინი სამგარიოს წყალობა, თბე, მიქელ-გაბრიელის მფარველობა (**სამგარიო უტიბუ** სამგარიო სწყალობს, იტყვიან ოჯახზე, რომელსაც მეწველი საქონელი ჰყავს).

სამგარიოშ ჩხოუ სამგარიოზე შესახელებული ძროხა, მისი არც გაყიდვა, არც გასხვისება არ შეიძლებოდა. სამგარიოს ლოცვამდე არც მისი რძის დალევა შეიძლება

და არც ყველის ამოღება (რაც კვეთის ხმარებასთან არის დაკავშირებული), ზოგან მას არც კი წველიან.

საალერტო ალერტის წმინდა გიორგის ხატისთვის დაწესებული ლოცვა და საწირი. ამ ლოცვას ოჯახებში იხდიდნენ ნოემბრის პირველ ხუთშაბათს. ითვლებოდა, რომ ეს სურდოსა და სხვა მოარული სენისაგან იფარავდა მლოცველებს. საალერტოსთვის წლის დასაწყისში შეასახელებდნენ ვარიას, რომლის ნამატი უკლებლივ ალერტის წმ. გიორგისთვის უნდა შეეწირათ, მათ ალერტობას დაკლავდნენ, დააცხობდნენ კვერებს და დიასახლისი სალოცავი ხონჩით ილოცებდა კერასთან. ვისაც დათქმული ჰქონდა, საწირით მიდიოდა ალერტში და ღამეს უთევდა ხატს.

სათერდობო სათევდორო, სათერდობო; სათერდობო ლოცვისთვის განკუთვნილი ქვევრი; თევდორობას მოკეთეებზე ტრადიციულად გასაჩუქებელი ცხენი (იხ. თერდობა).

საისკიოდო ისკიოდასთვის შესაწირი, ისკიოდაზე შესახელებული (იხ. ისკიოდა).

საჯეგო ჯეგესთვის, წმინდა გიორგისათვის ლოცვა და საწირი. ლოცვას აღაელენდნენ შემოდგომაზე, ჯეგეზე შეასახელებდნენ ძროხას და მის მიერ მოგებულ პირველ სახარე ხბოს ლოცვის დღეს შესწირავდნენ ოჯახის მფარველობას, ფათერაკისგან დაცვას და გამრავლებას შესთხოვდნენ ჯეგეს.

საურჩქინჯო /საურჩქენჯო საუცოდინარო (სიტყვასიტყვით); უნებლიე, უვიცობით ჩადენილი შეცოდების გამოსასყიდი ლოცვა და მასზე შესახელებული ქვევრი, ლოცულობდნენ ნააღდგომევს, ოჯახის უფროსის მიერ შერჩეულ დღეს. ერთ წელიწადს იხდიდნენ ცოჭით ან ბატკნით, მეორე წელს – თევზით. ყოველი ლოცვისას საურჩქინჯო ქვევრის თაებე კლაედნენ მამალს ისე, რომ სისხლი ღვინოში ჩადენილიყო. დიასახლისი და ოჯახის მამა ცალ-ცალკე

ლოცულობდნენ. ქალი საგანგებოდ გამოცხობილ ყველიან კვერებს წაიღებდა დილით მუსის ხესთან და დაჩოქილი ილოცებდა, ღმერთო, მაპატიე, თუ რამ უვიცობით შეგცოდეო. ლოცვის დასასრულს კვერს იქვე მარტოკა შეჭამდა და შინ მობრუნდებოდა. შუადღისას ოჯახის უფროსი საურჩქინჯოს ქვევრთან სალოცავი ხონჩით მიიტანდა საწირს, საკმეველს, ქვევრის თავს ანთებულ სანთლებს მიაკრავდა, ხონჩას წაღმა დაატრიალებდა და უვიცობით ჩადენილისთვის შენდობას შესთხოვდა ღმერთს. იგემებდა ზედაშეს, თითო-თითო ლუკმას – საწირიდან და ხონჩიანად ბრუნდებოდა შინ, სადაც სადილად ჯდებოდა მთელი ოჯახი რძლების გარდა. რძალს, ანუ მას, ვინც ამ ოჯახში არ დაბადებულა, საწირის გემება ეკრძალებოდა. ლოცვა სრულდებოდა ქართულად, ამიტომ უპირატესად „საუცოდინარო“ ერქვა (იგივეა, რაც საორჩქინჯო, საოცოდინარო ანუ საცოდნელი ლოცვა).

საწაჩხურო წაჩხურის მთავარანგელოზის სატძე ლოცვა და საწირი. საწაჩხურო სრულდებოდა მაისში ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს. წაჩხურის ხატს ვაჟიანობას, ძეს შესთხოვდნენ, ითელებოდა, რომ იგი არამარტო შვილიანობის, ვაჟის მომცემი (მოსქე) იყო, არამედ მუცლისა და წელის ტკივილისგან, უბედური შემთხვევისაგან, მეხისგან (უბადო გოლაფაშე) იფარავდა მლოცველს. ლოცულობდნენ, აგრეთვე, ბავშვს რომ რამე ბადი აღმოაჩნდებოდა, უპირატესად შარდის შეუკავებლობა. ოჯახის დიასახლისი და მამა მრგვალი კვერებით, გოჭით ან ბატკნით და უსათუოდ, მამლით **საწაჩხურო** ქვევრის თავზე ან რაღოლად დახვეულ ყაბზე (თუკი **საწაჩხურო** ქვევრი არ პქონდათ შესახელებული) ილოცებდნენ. ვისაც დათქმული პქონდა, საკლავ-საწირით მიდიოდა **წაჩხურის** ეკლესიაში და ლოცულობდა (იხ. მოსქე წაჩხურა).

სალამოსო ხვამა საიღუმლო, ფარული, სანამუსო ლოცვა (ამ რიგს მიეკუთვნება **ნერჩიშ ხვამა** უუძის ლოცვა

და ცანჭიშ ხვამა ყაჭის ლოცვა, რომელსაც ასრულებენ ქალები მამაკაცებისგან მალულად).

სამირსო – მირსობა დუმილის აღთქმა, მღუმარება, ხსენებაზე ტაბუს დადება. ღეთაება მირსას სახელობის დღე. აღინიშნება დიდმარხვამდე 24 დღით ადრე, ზოგან ნააღდგომევს, ახალი კვირის სამშაბათს ან ხუთშაბათს... მირსობას ასე ლოცულობდნენ: **დღარი მირსობაში მოზოჯუა, მა დო ჩქიმ ჩილი დო სქუას ბედი მეჩი, ბედინერო დარინე, ირი ალიანი დო ჩალიანი ქუგაფართხი, ირი უბადო შარას, წყარს დოთხილე, სქან სახელი ხვამელი**... მირსობის მობრძანებავე, მეცა და ჩემს ცოლ-შვილს ბედი მოუვეცი, ბედნიერად გვამყოფე, ყველა სიავე და მოარული სენი გვაშორე, ბოროტება განგვეიურთხე, ყველა ავბედით გზაზე, წყალში დაგვიცავ, დაილოცოს შენი სახელი... მირსობას ზოგან მისარონობაღ, ზოგან ნირსობაღ ისსენიებენ, ისევე, როგორც მირსას – მისარონად; სხვა თვალსაზრისით მისარონობა იგივე მეისარნობაა, წმინდა გიორგი მოისარის დღე. მირსას სწირავდნენ მასზე შესახელებულ და საგანგებოდ ნასუქ ღორს **ომირსეს**. მირსობის ღღეს ბავშვებს სათითაოდ შეულოცავდნენ, მირსაზე შესახელებულ კვერებს მიადებდნენ ან ჩვრით ამოუწმენდნენ თვალებს და იტყოღნენ, მირსა, აშორე ამის თვალს ყველანაირი ავადმყოფობაო (იხ. მისარონობა, ომირსე კერი, ომირსე კვარი).

ლათუა ლათუო ლოცვაა ერთგვარი, იმართებოდა ივლისში, მალათირები ყანის მოზიარენი კარგ მოსავალს შესთხოვდნენ ღეთაებას.

ლატარიში ლათალის წმ. იონას სალოცავი და მისი მრევლი (იხ. იესა ლატარიში).

მისარონობა მისარონის, მირსას ხატის დღეობა; მისარონს თვალის განკურნებაცა და დაკლებაც შეუძლია (ვადმოცემით, მისარონკარის ხატმა – მისარონმა თვალები დაუესო მის ვამტაცებელ თურქებს, რამაც ისე დააურთხო

ისინი, რომ თავადვე მოაბრძანეს უკან), ამიტომ ამ დღეს თვალისჩინისთვის ლოცვაც აღეელინება. მისარონობა დღეს ორ სამირსო (ომირსე) კერს ჩინდაკარგულს თვალებზე მიადებდნენ და მისარონის ხატს შესთხოვდნენ, განკურნეო (იხ. მირსობა).

მირსა სინათლისა და ცეცხლის მბრძანებელი ღვთაება. მზის, მთვარისა და ვარსკელავების მეშვეობით ებრძვის ბნელეთის ძალებს, ამიტომ თვალის ჩინის მომნიჭებლადაც ითვლება.

მისარონი საქონლის მფარველი წარმართული ღვთაება, რომელსაც მოგვიანებით დაემატა ჯვარე წმინდა; უპირატესად, აიგივებენ მირსასთან (მითრასთან), ასევე წმინდა გიორგი მოისართან (იხ. მირსა).

ბორსობა, ბოსლობა — /საქონელიშ კვარი საქონლის კვერი, რიტუალური კვერი, რომელსაც ბოსლობის დღეს აცხობდნენ შინაური საქონლისთვის. კვერზე გამოსახული იყო რაიმე ნიშანი, რქა, ჩლიქი და სხვ. თითოეულისათვის ცხვებოდა ორ-ორი კვერი, მლოცველი საქონლის გამრავლებისთვის ლოცვის შემდეგ ყველა პირუტყვს სათითაოდ ხელს გადაუსვამდა და კვერს შეაჭმევდა (იხ. ბოსლობა).

ობარბალე ბარბალეზე შესახელებული; საბორბლე (საურმე, სამანქანო) გზა.

ობარბალე ბეჭილია წმ. ბარბალეს სახელზე სალოცავში მისატანი ყვავილწნული, შემკული წითელი, თეთრი, ჭრელი ლენტებით.

ობარბალე საწირი წმ. ბარბალესათვის შესაწირი, ბარბარობისთვის განკუთვნილი; წმინდა ბარბალე ითვლება ბატონების რჩეული ბავშვების მფარველად, ამიტომაც დღები ბავშვის ბატონებისგან განთავისუფლების ვედრებით სხვადასხვა შესაწირს აღუთქვამდნენ მას — საკლავს (უფრორე ღორს, ძროხას), ყვავილწნულს, უღელს, საალაბო ჩითს, თავსაფარს, დაფარნას.

ობარბალე უღუ წმინდა ბარბალესათვის შესაწირი

უღელი, შემკული ყვავილებითა და თეთრ-წითელი ღენტებით; წმინდა ბარბალეს ხატგე შეთქმის თანახმად ყელზე შებმული უღელი, მაეთული, რგოლი ან სხვა რამ.

ობარბალე ღეჯი ბარბარობას დასაკლავი, შესაწირი ღორი. უპირატესად იკელებოდა სულით დაავადებული და ზოგჯერ სხვა სენით შეპყრობილი გოგონას ოჯახში.

ობარბალე ჩინთი წმინდა ბარბალესათეის შესაწირი ქსოვილი, უერადი, უპირატესად წითელი და თეთრი ორ არშინამდე ზომის ჩითის ნაჭრები ან საალაბო თავსაურები, რომელთაც ტოვებდნენ საკრალური, წმინდა ხეების ტოტებზე ან მიჰქონდათ სალოცავში, საღაც ეკლესიის მსახურები **საფორებად** დაფარნებად იყენებდნენ.

ობარბალე ჩხოუ წმინდა ბარბალეზე შესახელებული საფურე ხბო ან ფური, რომელსაც დიდი პატივით გრდიდნენ. მისი გაყიდვა ან გაცელა არ შეიძლებოდა. შეწირვის უმალ ასალ შესაწირავს დააყენებდნენ, წაღმა შეაბრუნებდნენ ბარბალეს სახელზე.

ობასილე ღეჯი საბასილედ შესახელებული ღორი, რომელსაც უცილობლად კლაედნენ კალანდას, რადგან ითვლებოდა, რომ მისი ხორცის ჭამა სწორედ წმინდა ბასილიმ დააკანონა. ბასილი ჯვრით სღევნიდა ღორში ჩასახლებულ ეშმაკს და განაგდო იგი, რის შემდეგაც „განწმენდილი“ ღორი ქრისტიანების საჭმელად აკურთხა.

ობასილე ჭკიდი ბასილა, საბასილე რიტუალური ქონიანი მჭადი (ის. ბასილა).

საგალენიშო „გალენიშის“ შესაწირი, „გალენიშის“ ლოცვისათეის განკუთნილი.

სქიბუშ ოხვამერი ღოლაბის, ხელსაფქვაეის სალოცავი და მოსაელის სიუხეისათეის სალოცავად შესახელებული. აღაელენდნენ შობა-კალანდას შორის. გამოაცხობდნენ ყველიან ან ქონიან მჭადს **ჭვიშთარს**, მიიგანდნენ ხელსაფქვავთან და ოჯახის უფროსი ილოცებდა, ამის დაფქული ხვაერიელი და გემრიელი პყავ, ოჯახს ნუ მოაკლებ მის

ნაუქვაეს, ღმერთოო.

ჩანაშ ხვამა ნაყოუის, მოსაელის სიუხვისთვის ლოცვა ახალ წელს, რომელიც პირველ სექტემბერს შემოდიოდა. საწნახელს ჯოხებს ურაკუნებდნენ და ამბობდნენ: **ჩანა, ჩანა, ჩქიმ მამულს ზურზენი დო შხვაშ მამულს** – ფურცელია ჩემს მამულში ყურძენი და სხვის მამულში – ფოთოლიო. ამაეე ლოცვის ნაწილი იყო **აგუნაშ ძახი** აგუნას გადაძახილი (იხ. აგუნაშ ძახი).

ჩიჩა პატარა, უმცროსი, უბირი (ყრმა); თმაგაჩეჩილი (ქარის ეპითეტი: **ბორია ჩიჩა** თმაგაწეწილი ქარი; მტევრია ქარი ქარით დამტვერვაში.

ჟინიშ ხვამა ზეციერისთვის ლოცვა, ჟინი ანთარის ლოცვა. სრულდებოდა დიდმარხვის პირველ დღეს. მლოცველი ღვთაებას ეევედრებოდა საქონლის გამრაელებას. სამხვეწროდ დაკლავდა თიკანს ან მამალს, თიკნის ტყავსაც და მამალსაც ხეზე დაკიდებდა, სამსხვერპლოს ნაწილებს და რიტუალურ კვერებს ლოცვის შემდეგ ტაბლას შემომსხდარ მთელ ოჯახს გაუნაწილებდა, ხოლო **ჟინი ანთარის** რიტუალური მჭადის ნამუსრევებს ყეავსა და ბუს გადაუყრიდა (იხ. კვარიაშ თია, ღუშ თია); **ჟინი ანთარზე** ასევე უსათუოდ ილოცებდნენ, თუკი ოჯახში ჟინიშით შეპყრობილი, სულით ავადმყოფი პყავდათ. ზოგან ლოცვას ატარებდნენ გაფხულში, ოჯახის უფროსი მალულად ილოცებდა ტყეში, საკრალური ხის ძირას (იხ. საღორონთო ხვამა).

კაპუნია კერპი, წარმართული ღვთაება ცეცხლისა და სინათლის მბრძანებელი. წარმოდგენილია ფრინველის ან სპილენძის კაცის სახით. ფრინველში გასხეულებული კაპუნია გრიფონის მსგავსი არწივისთავიანი არსებაა, ზესკნელში ცხოვრობს, ამიტომ სრულდება კაპუნობა **ცაშხას** ცის ღღეს, ხუთშაბათს, ყველიერში. სპილენძის კაცის სახით წარმოდგენილ კაპუნიას დიდი პირი აქვს და ყბებს აკაპუნებს. მისი გულის მოსაგებად იკვლება საკაპუნო ღორი, აღრე სწირავდნენ ბაეშვებს; მომჟაეო ყურძნის ჯიში.

კაპუნიაშ ბრალი კაპუნიასგან დამიზეზებული, დასჯილი (შერისხულს ხმა უვარდება და მუნჯდება, სანამ საგანგებოდ არ გამოულოცავენ და კაპუნიას გულს არ მოუბრუნებენ).

კაპუნიაშ კერი კაპუნიას კერატი, საკაპუნე შესაწირი.

კაპუნობა წარმართული ღღესასწაული კაპუნიას სახელობისა. აღინიშნება დიდმარხვამდე 16 ღღით ადრე, ყველიერის წინა კვირას, ბორსობის მომდევნო ხუთშაბათს. სწირავდნენ ოკაპუნე კაპუნიაზე შესახელებულ ღორს, სისხლს მიწაზე აქცევდნენ (იხ. კაპუნია).

ქინიში ზემორე, ზეციური, ზეცით მომავალი; ზეციერისაგან, ქინი ანთარისგან დამიზეზება, უპირატესად, სულიერი წონასწორობის დაკარგვა (იგივეა, რაც ქინბრალი); ლოცვა ანთარის გულის მოგებისთვის და სნეულებისგან განკურნებისთვის (იხ. ხაგიშ ათონჯირაუა, ქინიშ ხვამა).

ურზენ ოხვამერი ყურძნისთვის ლოცვა, სრულღებოდა გაბაუხულზე, მტევნის გამონასკვისას.

წყარიშ გოჭოფუა წყლის შესახელება წმინდანზე, ხელშეუხებლობის აღთქმა (იხ. წყარიშ ხატგოჭყორელი).

წყარიშ დამიზეზებული წყლისგან, წყლის სულისგან, წყლის ბატონისგან დამიზეზებული. წყლისგან გასენილს აციებს, ფერი ეკარგება, ხშირად ციღლება. ასე ისჯება იგი წყალში ჩასვლისათვის საღამოხანს ან იმ დროს, როცა ცისარტყელა ისებებს წყლის დალევას. სჯის იმისათვის, თუ ორშაბათს, მთვარის ღღეს ღედა ან ძიძა, საერთოდ, ოჯახში უფროსი ქალი თავს დაიბანს; აგრეთვე, იმისთვის, თუ მთვარის ღღეს მღინარიღან წყალი დალიეს (ამ ღღეს მთვარეც გააეებულია და წყლებს აწამელინებს ეეშაპებს, გველებს, ჯოჯოებსა და ხელიკებს), სჯის ქვეწარმავალთა ხსენებისაითვის, წყალში ბაყაყის ჩაკვლისთვის.

წყარიშ დამიზეზებულიში წყლისგან დამიზეზებულისთვის ლოცვა (მღინარის, ღელის, ნაკადულის გაღმა-გამოღმა ვერცხლის ნაკეთობებს, უპირატესად, ქამარ-სანჯალს

დადებდნენ და მათ შორის აბრეშუმის ძაფს ან ეერცხლის მავთულს გააბამდნენ. წყლისგან გასენილს თავს შემოავლებდნენ ყვერულს, რიტუალურ კვერებს, თაფლის სანთლებს აანთებდნენ, წყლის სულს პატიებას შესთხოვდნენ, კვერებს გასტეხდნენ, გაინაწილებდნენ, ნამუსრევებს წყალში გადააგდებდნენ. თავწაჭრილ მწარე ხაპში საგანგებოდ შეკერილ ან ხისგან გამოთლილ თოჯინას ჩადებდნენ, ირგვლივ თაფლის სანთლებს შემოუნთებდნენ და წყალში შეაცურებდნენ, წყლის ბატონს ეეედრებოდნენ, ავადმყოფის სანაცვლოდ, ამას ეთამაშეო).

წყარიშ ხატგეტახილი წყლის ხატის, წყლის ღმერთის რისსვადატეხილი, წყლის დამიზეზებული.

წყარიშ ხატგოჭყორელი წყლის ხატგამწყრალი (წყლის რისხვა თაეს ატყდება უპირატესად წმინდანზე შესახელებული წყლის წამბილწველს, თუ მასში მოკედაეი იბანავებს, ხატი მერეხს მოაელესს და წყალს ააზეირთებს, მობანავეს დაახრჩობს ან სესს დამართებს).

წყარიშ ხატი წყლის ღეთაება.

წყარიშ ხვამა წყლის ლოცვა. გვალვისას წყლის პირას სამსხვერპლო ხარს მიიყვანდნენ და მუხლებზე დაჩოქილნი შესთხოვდნენ წვიმისა და თოელის გამგებელს წვიმის მოელინებას, შემდეგ დაკლავდნენ ხარს, იქვე მოხარშავდნენ და ნალოც ხორცს გედაშეს მიაყოლებდნენ ტაროსის ღმერთის **თახას** (ლაკადაში) ან **აფის** (აფსაგეთში) სადიდებლად.

წყარშა მეცონაფა წყალთან მიყვანება (პატარძლისა), ქორწინებასთან დაკავშირებული რიტუალი. ამ დღისთვის სოფელში საგანგებო ნადიმი იმართებოდა, სუფრას მხოლოდ ქმრიანი ქალები უსხდნენ, ნასადილევს პატარძალს ახალ რიდეს დაპსურავდნენ, შუბლსა და მკერდს ყვაყილებით შეუმკობდნენ და მდინარისკენ წაიყვანდნენ. აქ ქალთაგან უხუცესი **წყარპატონეფიშის** წყლის სულების ლოცვას წარმოსთქვამდა, შესთხოვდა მათ, მწედ პყოლოდ-

ნენ რძალს მშობიარობისას, გარჯაში, აბრეშუმის მოყვანის საქმეში. შემდეგ წყალს მიასხურებდა პატარძლის კაბას (შვილიერება, ნაყოფიერება რომ დაბედებოდა), ხოლო თანმხლები ქალები კვერცხებს გადაისროდნენ წყალში.

წყითკვარი მლაშე კვერი, რომელსაც ჭამენ ყველიერში ბედობის ღამეს (ითელებოდა, რომ მოწყურებულს სიზმარში საბედო მიაწვდიდა წყალს).

წყითკვარობა მლაშე კვერის ჭამა ბედობის ღამეს, იციან ორგზის, ყველიერის ხუთშაბათს და თუთაშხაბედინერს აღდგომის პირველ ორშაბათს. მლაშე კვერს აცხობინებენ ქვრივ, ბედნაცვალ ქალს, გელენ სამი სხვადასხვა წყაროდან აღებულ წყალში, უპირატესად ჭამენ გზაჯვარედინზე, რის შემდეგაც დილამდე ინახავენ დუმილს. ითელება, რომ ძლიერი წყურვილით გაწამებულს, ღამით ესიზმრება საბედო, რომელიც წყალს ასმევს ან აწვდის მას. წყითკვარობის მეორე დღეს, რომელსაც **ხოზოკვარიშ ჭკომუა** ხოზოკერის ჭამა ჰქვია, აცხობენ და ხარშავენ რიტუალურ კვერებს, რომელთაგან ერთი ნიშნიანია, წკირჩართული და, ვისაც იგი შეხვდება, სუფრას უშლის წყითკვარობის მონაწილეებს.

წითელე პატონეფი წითელა ბატონები; ბატონებიანი ბაეშვის ოთახს რთავენ ფერადი ლენტებით, საწოლქვეშ დგამენ იისა და ვარდის წყლებს, იქვე უჭირავთ მტრედი, ბოცვერი ან თეთრი წიწილა, უმღერიან საბოდიშოს, მთელი ოჯახი უქმობს, აკრძალულია სმა, აყალმაყალი, ბაეშვის სიტყვა და სურვილი ითელება ბატონების ნებად, მათი გულის მოსაგებად მღერიან საგანგებო სიმღერებს (ია პატონეფი). ბატონების განაწყენების შემთხვევაში, რაც ბაეშვის მდგომარეობის გაუარესებით გამოიხატება, მწყენინებელს თეთრი ძაფით გაბაწრავენ და ბაეშვის საწოლთან იატაკზე დააგდებენ, როგორც ხატის წინაშე შეცოდების დროს სდება. ბაეშვს თავს შემოაელებენ სანთელს, მტრედს, მამალს, ცხვარს, უპირატესად, ბატკანს,

საკუთარ თავს, დანაპირის შესრულებამდე ბატონებზე შეასახელებენ ზვარაკს ან რაიმე საოჯახო ნივთს, რომელსაც არ ისმარენ სანამ დანაპირს არ შეასრულებენ. თუ ბავშვი გარდაიცვალა, მისი სახელობის მტრედს წაიყვანენ საფლავზე და იქ გაუშვებენ, დაკრძალვიდან მეცხრე დღეს საფლავზე გააფრენენ კიდევ ერთ მტრედს. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში შეზღუდულია, რადგან ითვლება, რომ ანგელოზი ბატონებმა წაიყვანეს და მეტისმეტი ტირილი მათ კიდევ უფრო გაანაწყენებს.

წინანდღე წინაღე, აღინიშნება შობის წინ, ხუთ იანვარს. ამ დღეს იცავენ უმძიმეს მარხვას, არ ჭამენ არაფერს ან თუ ჭამენ, მხოლოდ სხვისას, საჭმელს წინასწარ არჩევენ მეზობელს და ჭამენ მხოლოდ ერთხელ, ისიც ძალიან ცოტას, სადილად ან ვახშმად, ეკრძალვიან თალგამურას და კომბოსტოსაც კი, რადგან თელიან, რომ მის ფოთლებში ქრისტე იმალებოდა.

ნწკელი ხელგანპყრობილი, ხელის გამმართველი, მეოხი (იხ. წკელი).

ნწკელ-მანცხვარი მეოხ-მაცხოვარი.

საშელო ხვამა *საზიარო რჩებოდა სალოცავიც, ძმები ამ ლოცვისთვის იკრიბებოდნენ შემოდგომაზე მამისეულ სახლში დარჩენილი ძმის ოჯახში, იხ. მეუნჩაშე* საზიარო, ამხანაგობისა; ყოველივე ის, რაც საზიაროდ რჩებოდათ ძმებს გაყოფის შემდეგ ანუ ის, რასაც ცალკე აღებული ოჯახი მხოლოდ თავისი შრომით ვერ მოერეოდა ან სხვა რამ მიზეზით არ თუ ვერ იტვირთებდა (სახნავი, წისქვილი, უუტკარი და სხვ.).

მესეფალა იხ. მესეფობა.

მესეფე სეფის გამრიგე, რომელიც სტუმრებს თავის წილსა და აღკილს მიუჩენს.

მესეფი ზებუნებრივი არსებები, რომელნიც მუარველობენ წყლისა და ტყის ბინადართ. თავიანთი სამკვიდროდან — ზღვიდან ამოსულნი მთებისკენ მიემართებიან და ცხად

ნიშანს აღებენ გარეულ ცხოველებსა და თევზებს, როგორც მონადირისა და მეთევზის არჩივს. წყეილი ღვთაებაა (იხ. მესეფობა); ასე იხსენიებენ მესეფეთა კრებულის თითოეულ ცალკე აღებულ წევრსაც.

მობენება გამოლოცვა, სახელდებისგან განთავისუფლება, აკრძალვის, ტაბუს ახსნა. ძროხა რომ ხბოს მოიგებდა, პირველი კვირის მანძილზე მის რძესა და რძის ნაწარმს აღიკვეთდნენ, არ ჭამდნენ, მაგრამ მობენების რიტუალისთვის შეინახავდნენ პირველი ნაწველიდან ამოღებულ ყველს. ერთი კვირის თავზე ამ ყველს და მისგან დამზადებულ კვერებს ხონჩაზე დააწყობდნენ, ძროხას რქებზე ანთებულ სანთელს მიაკრავდნენ და ილოცებდნენ, ღმერთო გამიმრავლე პირუტყვი და ცური გაულონიერეო. მოგან რიტუალურ კვერებს შესწირავდნენ ისკიოდაზე შესახელებულ ხეს, რის შემდეგაც გოჭოფუა აღკვეთა იხსნებოდა და წველაც მობენებული იყო (იხ. ისკიოდობა, გოჭოფუა).

მობენებული გამოლოცვილი; შესახელებისგან, ტაბუსგან, აკრძალვისგან განთავისუფლებული.

ნერჩგოჭყორელი ფუძეგამწყრალი; უშვილო ქალი; თუ ერთი წლის შემდეგ ქალი არ დაორსულდებოდა, იტყოდნენ, ფუძეა გამწყრალი და შვილს არ აძლევსო. ფუძის ანგელოზის გულის მოსაგებად, ოჯახის წევრი ქალები მამაკაცებისგან მალულად ასრულებდნენ ნერჩიშ ხვამას (იხ. ნერჩიშ ხვამა).

ნერჩი ფუძე, ძირი, ადგილი, რომელზედაც სახლი დგას; ფსკერი (ნავისა); ღელამიწა; მორჩი, შთამომავალი; ახალშობილი ბავშვისთვის ლოცვა; მიწის ღვთაება, ფუძის ანგელოზი; ზოგჯერ ისმარება მშობლიური კერის მნიშვნელობითაც.

ნერჩი პატენი ფუძის ანგელოზი, მიწის ღვთაება, ადამიანის მოსარჩლე ძალა, რომელიც მას ბოროტისაგან იცავს და ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ბრალეულია. ამიტომ სიმართლის ფიცით დაღუნისას მფიცავს ქვაბს

შეაყენებდნენ, რომ ნერჩი მიწა, საყრდენი გამოსცლოდა.

ნერჩიშ გითოხვამა ფუძის გამოლოცვა (ის. ნერჩიშ ხვამა).

ნერჩიში იხ. ნერჩიშ ხვამა.

ნერჩიშ მარდი ფუძის ღეთაების მადლი.

ნერჩიშ ოხვამერი ფუძის სალოცავი; სრულდებოდა დიდმარხვამდე 24 დღით ადრე, ოთხშაბათობით, ამიტომაც, სხვაგვარად ოჯუმაშხურიც ერქვა. ლოცვა სრულდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მიწურში, უიატაკო სახლში, რადგანაც მიწის, ფუძის ლოცვას წარმოადგენდა. მლოცველი ოჯახის მფარველობას შესთხოვდა ფუძის ანგელოზს; ზოგან დოდგიმირის სალოცავს უწოდებენ ასე.

ნერჩიშ ხვამა ფუძის ლოცვა, ახალნამშობიარევი მელოგინე ქალის ლოცვა; ფუძეგამწყრალი, უშვილო ქალისათვის ლოცვა; თუ ქალს გათხოვებიდან ერთი წლის მანძილზე შვილი არ მიეცემოდა, იტყოდნენ, ფუძეა გამწყრალიო და ოჯახის წევრი ქალები მამაკაცებისგან მალულად ასრულებდნენ ლოცვას ფუძის მფარველი ღეთაების გულის მოსაგებად; საგანგებოდ აცხობდნენ სამ რიტუალურ კერს, რომელთაგან ერთი შქაში დედო სხვათაგან სიგრძით გამოირჩეოდა. მელოგინე თუ უშვილო ქალს აჭმევდნენ სამივეს და მამათა სქესის სიმძლავრეს შესთხოვდნენ ღეთაებას.

მალანურობა მალვა პირისა; სახიობა, ალილობის მსგავსად კარდაკარ სიარული ნიღბოსნებისა და ტყაპუჭოსნებისა; იმართებოდა მარიამობის წინა ღამეს, მთვარის გავსებისას. მალანურობას ახლდა სხვადასხვა ასპარეზობანიც.

ვანაშ ხვამა ყანის ლოცვა. უურო ღომის ყანისთვის აღაელენდნენ, რადგან უპირატესობას ანიჭებდნენ არატრაღიციულ სიმინდთან შედარებით. ამ ლოცვას სხვაგვარად ივანობაშ ხვამას ივნისის ლოცვასაც ეძახდნენ, რადგან 25 ივნისს სრულდებოდა. ამ დღისთვის შუა ყანაში ჩაასობდნენ ხის (უპირატესად იელის) ჯვარს, რომელსაც

მხრებზე გადააცვამდნენ ეკლის (კაკლარის) სალტეს (ორდოხუს), მლოცველი ხონჩით ან ხის ჯობით, რომელიც მოსავლიანობის სიმბოლოს წარმოადგენს, ჭვილ კვარეფს გამომცხვარ კვერებს წაიღებდა, თან წაიყვანდა შვილებსა და შვილიშვილებს, დააჩოქებდა ჯვრის გარშემო და ელიას შეავედრებდა ყანას, სანთლის ჩამოღვენთვას დაელოდებოდნენ, კვერებს იქვე, ყანაში შეჭამდნენ და ლოცვაც მთავრდებოდა.

ცვანთიშ მიოხვამუ მგბაერის სალოცავი ხე, შესასვენებელი, ღამის გასათევი ადგილი გზაზე, ხის ძირას. დაძინებამდე უუღუროში კენჭს ჩააგდებდნენ და ხის სულს მშვიდობის ღამეს, შინ მშვიდობით დაბრუნებას შესთხოვდნენ, ანთებულ სანთელს ხეზე მიაკრავდნენ, ძირს დააწყობდნენ საწირ-საგზლად წაღებულ ხორცს, კვარს, ღვინოს და, სანთელი რომ ჩაიღვენთებოდა, შეექცეოდნენ.

ცვაჯიშ ოხვამერი უკანასკნელი, ნაბოლარა ვაჟიშვილი (როგორც მემკვიდრეს, ოჯახში სხვაზე მეტი უფლება და პატივი ეკუთვნოდა, აქედან გამოთქმა: **ცვაჯიშ ოხვამერი რენო?** ქართული შესატყვისით, „წითელი კოჭია?“); ფალოსისადმი მიძღვნილი ძველი რიტუალი, რომელიც დღეს ტრანსფორმირებულია უმცროსი ძისთვის ლოცვად, საწირსაც უმცროს შვილს ჩამოარიგებინებდნენ საახლობლოში).

მიზეზიან ხატი გამწყრალი ხატი, რომელიც დაავადებას მოუვლენდა ადამიანს, ამიტომ მავედრებელს შესაწირავით უნდა მოეკო მისი გული. თუ იგი მაინც არ დაეხსნებოდა, იტყოდნენ, ხატი მიზეზობსო და ეძებდნენ მისი გულის მოკვების სხვადასხვა გზას; ადამიანი, რომლის წყრომის მიზეზი გაურკვეველია (გადატ.).

საშურწიმდო სულიწმინდის სახელზე აღვლენილი ლოცვა და დანაპირები, აღთქმული

მისარონი საქონლის მფარველი წარმართული ღვთაება, რომელსაც მოკვიანებით დაემატა ჯუგე წმინდა; უპირატესად,

აიგივებენ მირსასთან (მითრასთან), ასევე წმინდა გიორგი მოისართან (იხ. მირსა).

მისარონკარი მისარონის სალოცავი.

მისარონობა მისარონის, მირსას ხატის ღღეობა; მისარონს თვალის განკურნებაცა და დაგესებაც შეუძლია (გადმოცემით, მისარონკარის ხატმა – მისარონმა თვალები დაუვსო მის გამტაცებელ თურქებს, რამაც ისე დააურთხო ისინი, რომ თავადვე მოაბრძანეს უკან), ამიტომ ამ დღეს თვალისჩინისთვის ლოცვაც აღეელინება. მისარონობა დღეს ორ სამირსო (ომირსე) კვერს ჩინდაკარგულს თვალებზე მიადებდნენ და მისარონის ხატს შესთხოვდნენ, განკურნეო (იხ. მირსობა) სინათლისა და ცეცხლის მბრძანებელი ღვთაება. მზის, მთვარისა და ეარსკვლავების მეშვეობით ებრძვის ბნელეთის ძალებს, ამიტომ თვალის ჩინის მომნიჭებლადაც ითელება.

მირსათუთა მირსას თევე, მირკანი.

მირსალი გალურსული, განაბული, გატრუნული.

მირსაშ ბრალი მირსას რისხვით, მირსას წინაშე შეცოდებით გამოწვეული უბედურება: დამწვრობა, დამდუღრა, დაბრმავება.

მირსაშ ბრალიში მირსასგან დასჯილის გამოლოცვა.

მირსობა ღუმილის აღთქმა, მდუმარება, ხსენებაზე ტაბუს დადება. ღვთაება მირსას სახელობის დღე. აღინიშნება დიდმარხვამდე 24 ღღით ადრე, ზოგან ნააღდგომევს, ახალი კვირის სამშაბათს ან ხუთშაბათს.. მირსობას ასე ლოცულობდნენ: **დღარი მირსობაში მოზოჯუა, მა დო ჩქიმ ჩილი დო სქუას ბედი მეჩი, ბედინერო დარინე, ირი ალიანი დო ჩალიანი ქუგაფართხი, ირი უბადო შარას, წყარს დოთხილე, სქან სახელი ხვამელი**... მირსობის მობრძანებავ, მეცა და ჩემს ცოლ-შვილს ბედი მოგვეცი, ბედნიერად გვამყოფე, ყველა სიავე და მოარული სენი გვაშორე, ბოროტება განგვიფრთხე, ყველა აებედით გზაზე, წყალში დაგვიცავ, დაილოცოს შენი სახელი... მირსობას ზოგან მისარონობად,

ზოგან ნირსობად იხსენიებენ, ისევე, როგორც მირსას – მისარონად; სხვა თვალსაზრისით მისარონობა იგივე მეისარნობაა, წმინდა გიორგი მოისარის დღე. მირსას სწირავდნენ მასზე შესახელებულ და საგანგებოდ ნასუქ ღორს **ომირსეს**. მირსობის დღეს ბავშვებს სათითაოდ შეულოცავდნენ, მირსაზე შესახელებულ კვერებს მიადებდნენ ან ჩერით ამოუწმენდნენ თვალებს და იტყოდნენ, მირსა, აშორე ამის თვალს ყველანაირი ავადმყოფობაო (იხ. მისარონობა, ომირსე კერი, ომირსე კვარი).

მიქამგარია მიქელ-გაბრიელი; მიქელ-გაბრიელის სახელობის სალოცავი ქვევრი, ზვარა და სხვ. (იგივეა, რაც მიქაში, სამგარიო).

მიქამგარიო იხ. მიქამგარია.

მიქამგარიო ერგე ერგეტის მიქელ-გაბრიელი; მთის პატრონი, მეუფე.

მიქამგარიოშ გითოხვამა ლოცვა მიქელ-გაბრიელისადმი, იმართებოდა კვირაცხოველობის მეორე დღეს, ორშაბათს (იგივეა, რაც თუთაშხა გითოხვამა).

მიქანგარიო იხ. მიქამგარიო.

მიქაში მიქელ-გაბრიელისა, მასზე სალოცავად შესახელებული; მიქას კულტის მსახური, ლოცვის აღმვლენი.

მიქელგარიო მიქელ-გაბრიელისადმი ლოცვა.

მიქელგარიო ქიაჩი ქიაჩის ხატი, რომელზედაც გამოსახულია მიქელ-გაბრიელი და განსაკუთრებული ძალისად ითვლება, მასზე აუიცებდნენ ქურდ-ავაზაკებს; მიქელგარიო ქიაჩზე გადაცემა და წყევლა უმძიმესია.

ომირსე სამირსო, მირსასთვის შესაწირი (იხ. მირსობა, ომირსე კერი, ომირსე კვარი).

ომირსე კერი მირსობას დასაკლავი ღორი, დიდი პატივით ასუქებდნენ. მირსობა დღეს ოჯახის უფროსი დაკლულ კერატს უკანა ფეხებზე წააცლებდა ხელს, რამდენჯერმე შემოაცლებდა კერიას, სისხლს მოანთხევდა მიწის იატაკზე და მირსას შეაცდრებდა ცოლ-შვილს.

ომირსე კვარი მირსობის რიტუალური კვერი, შიგ ჩადებული მრგვალად მოხარშული კვერცხით, კვერს თავის სახელზე აცხობდა ოჯახის ღედა, თუ მჭადის გატეხვისას კვერცხი მთელი **ორინჯი** საყოლი, სულადი; საარსებო, არსობის საფუძველი.

ორინჯიშ ორთა საქონლის მფარველი ძალა, ღეთაება (იხ. მიქამგარიო).

ორინჯიშ ოხვამერი საქონლისთვის ლოცვა (იხ. მიქამგარიო).

ალერტი ბნელეთის, ქვესკნელის ღმერთი, გამანეძღებელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი ძალა; სოფელ ალერტის წმინდა გიორგის ხატი (მარტვილის რაიონი), ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე და ძალმოსილი სალოცავი ხატი სამეგრელოში, რომელიც ილორის წმინდა გიორგის ხატის ძმად არის მიჩნეული.

ალერტიშ ჭიჭკეფი ქვესკნელის ჭინკები (**ალერტიშ ჭიჭკეფცალო ქუგომცის** ალერტის ჭინკებიეით პირში მეცნენ, მოულოდნელად შემომესივნენ).

ალერტობა დღესასწაული, ალერტის წმინდა გიორგის ხატის დღეობა (იხ. საალერტო, ალერტი).

ალერტ-ხარჩილი ალერტის წმინდა გიორგის ხატის ნიში წალენჯიხაში, რიყის ქვის სამლოცველო, რომლის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ნიშთან მიჰქონდათ შესაწირი (უპირატესად სანთლები, ლამაზი თეთრი ქვები, თეთრი უული) ავადმყოფის განკურნების, შორ გზაზე წასულის მშვიდობით დაბრუნების, ოჯახის გამრავლება – ჯანმრთელობის ვედრებით.

ბულიშ ჯა ბლის ხე. სალოცავი საკრალური ხეა, ხეღვთაება, რომლის ძირში სრულდება არაერთი წარმართულ-ქრისტიანული რიტუალი, იმარხება სალოცავი ქვევრები, ბლის ხისგან არ თლიან აკვანს, არ იყენებენ საშენ მასალად, რადგან შორეულ წარსულში კუბოდ გამოიყენებოდა და უფრო სიკვდილს, მიღმიერს უკავშირდება. გაურ-

ბის ფუტკარიც, იგი ფუტკრის კვდომის აღგილად ითვლება. ერიდებიან ბლის შეშად გამოყენებასაც და, საერთოდ, ცდილობენ სახლის წინ არ დარგონ იგი, ბლის აღგილი, უპირატესად, ეზოს უკანა ყურეა, თვალმოუხვედრი, მოფარებული აღგილი.

ოსეობა იხ. ოსეოფა.

ოსეოფა სერობა, ღამის სერი, ვახშმობა; შეღამების, სერობის ჟამი, როცა აესულები გამოდიან სათარეშოდ; ღამის ნადიმი, ორგია კუდიანებისა; დავახშმება მთვარისა (მთვარე რომ ვახშმის შემდეგ ამოვა).

ოსეოფა სერი მთვარის დავახშმების, სერობის ღამე, აესულების ორგიის ჟამი; ნესტიანი, ჟამიანი ღამე (იხ. ოსეოფა).

ოსეოფაშ მუნახვამილეფი ოსეოფას შემთხვეული, ოსეოფაზე შეხვედრილი, მირქმული (ნესტი რომ აპყვება ან ორგიაზე მიმავალი აესული დაამიზეებს).

ოსეოფაშ მუნახვამილეფიში ოსეოფაზე შეხვედრილისთვის გამოლოცვა.

ოთუთაშხურე საორშაბათო, მთვარის დღის, ფუძის სალოცავი (იხ. ოთუთაშხურე ხვამა).

ოთუთაშხურე კოდი იხ. ოთუთაშხურე ხვამა.

ოთუთაშხურე საწირი საორშაბათო, მთვარის დღეზე, ფუძის ანგელოზზე შესახელებული, შესაწირი, ამ ლოცვისთვის შესახელებული კოდი, ქვევრი, ცხვარი და სხვ. (იხ. ოთუთაშხურე ხვამა).

ოთუთაშხურე ხვამა საორშაბათო, მთვარის დღეს აღსაელენი ფუძის სალოცავი, სრულდებოდა დეკემბერში, თუთაშხა ბედინერს საღვთო ორშაბათს, რომელიც ყველა საქმის დაწყებისთვის სასიკეთო დღედ ითვლება. ოჯახის ყოველ წევრზე ცხვებოდა ორ-ორი საოთხაშურო (იხ.) კვერი, ერთი მრგვალი, მეორე განზიდული, ან თორმეტი აკვაკვარი რიტუალური კვერკვერა. კერიაზე აცხობდნენ უეტვის დიდ მჭადსაც ყებურიშ ჭკიდს, რომელსაც კვერებ-

თან ერთად საღამოს კალათით კერიასთან დგამდნენ. ახალი მთვარე რომ ამოვიდოდა, ოჯახის წევრები გარეთ გავიდოდნენ, დიასახლისი კი კალათს წაღმა დააბრიალებდა და ილოცებდა, შემდეგ კარს გააღებდა და ოჯახს შინ შეიხმობდა. თითოეული ბალახიან ბელტს შემოიტანდა, კედელს ესროდა და დაილოცებოდა, თუთაშსა ბედინერო, ამ ბალახივით გაგვიმრავლე კაცის სული და საქონელიო (იხ. ბერთიშ ზოთამა).

ოთუთაშხური საორშაბათო, მთვარის დღის ლოცვა (იგივეა, რაც ოთუთაშხურე სვამა); თუთაშსა ბედინერისთვის შესახელებული ზვარაკი, რიტუალური კვერი ხოშო და სხვა შესაწირი. ამ დღეს ემთხვევა წყითკვარობაც მლაშე კვერის ჭამა (იხ. წყითკვარობა).

თერდობა თეღორობა; წმინდა თეოდორეს სახელზე საოჯახო ლოცვის დღე; ლოცვას ასრულებდნენ, სადაც ცხენი ჰყავდათ. ლოცულობდნენ დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს. ამ დღისთვის დიასახლისი დააცხობდა თაფლში მოზელილი სიმინდის ქუმელს ქუმურს ცხენისა და მისი სხეულის ნაწილებისა და აღკაზმულობის: ნალის, უზანგის, დეზების ფორმის კვერებს, დააწყობდა გობზე და დადებდა კერიასთან, აღმოსავლეთით. ოჯახის უფროსი სანთლებს შემოუნთებდა და სათერდობო ხონჩას და წმინდა თეოდორეს ცხენების გამრავლებასა და მფარველობას შეეოდრებოდა. შემდეგ დაოთხილი მოაკბეჩდა ცხენის კვერს რომელიმე ნაწილს და ჭიხვინით გამობრუნდებოდა უკან. ოჯახის სხვა წევრი მამაკაცებიც, ასევე დაოთხილნი, უსმოდ მიდიოდნენ ხონჩასთან და ცდილობდნენ პირით აეღოთ კვერები. მოჯერ ცეცხლთან სიახლოვის გამო იწვავდნენ პირს, იტრუსაედნენ თმა-წვერს, იყო სიცილი და მხიარულება, შემდეგ ყველანი ერთად სხდებოდნენ საჯახშოდ, ცხენის კვერებს ჩამოირიგებდნენ. გამთენიისას კი სანთელ-საკმეველს გადაავლებდნენ ცხენებს და გადანაველებს წმინდა თეოდორეს სახელობის

ეკლესიას შესწირავდნენ

თერდობაში სათერდობო რიტუალური კვერები (იხ. თერდობა).

ბადიდჭკიდი რიტუალური მჭადი, ცხვებოდა ტიანობა ღამეს და თეეღორობას, ჰქონდა კაცის უორმა ან იყო დიდი და ოთხკუთხა. ტიანობის მლოცველი კერიასთან აბრუნებდა ბადიდჭკიდს და ისე ილოცებოდა (იხ. ტიანობა).

ბერთიშ ოთამა ბელტის სროლა, თუთაშხაბედინერის მთავარის დღის ლოცვის რიტუალის შემადგენელი ნაწილი. ოჯახის ყველა წევრი ბალახიანი ბელტით ხელში შედიოდა, სადაც ლოცვა ტარდებოდა (შინ ან ბოსელში), და კედელს ესროდა ვედრებით, ღმერთო, ამ ბელტის ბალახივით გაგვიმრავლე ოჯახში ადამიანი და საქონელიო.

ზისხირიშ ოწიმუ ბვარაკი; სამსხვერპლო; საგანგებო ლოცვა, რომელსაც ასრულებდა მაწყევარი ხატზე გადაცემულის ოჯახში ვისიმე გარდაცვალების, ენების შემღეგ, რომ წყევლა უკან არ მობრუნებოდა. ამასვე ილოცვიდნენ იმ შემთხვევაშიც, როცა ხატი სასჯელს უგეიანებდა დაწყევლილს, ყოველ მესამე, მეოთხე წელიწადს (იხ. განალინი).

ობენე სალოცავი ადგილი, უპირატესად, მარანი; საკრალური ხე, რომლის ძირას სალოცავი ქვევრები მარხია და ლოცვა აღესრულება; ვენახი, ზვარი.

ოდი წარმართული ღვთაება; პურეულის ნათესის ღაჭნობა მარცვლის დამწიფებამდე (იწვევს მცხუნვარე მზე, ცხელი ქარი).

ოდაბადე დაბაღების ადგილი, სამშობლო; დედულეთი; ფუძის სალოცავი და მასზე შესახელებული ქვევრი (იხ. ოდაბადეშ ხვამა, სადაბადო); სამშობიარო სახლი, ქოხი მელოგინესათვის; აღთქმა და ლოცვა მარიამ ღვთისმშობლისადმი, სრულდებოდა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქალს მშობიარობა გაუჭირდებოდა.

ოდაბადეშ ხვამა ფუძის სალოცავი, მელოგინესათვის ლოცვა. ლოცულობდნენ ქალები, ქათმითა და სანთლით.

ოდაბადე გუმოჭყუდურებს გათხოვილ ქალებს ემართათ მამისეულ სახლში გადასახდელად. მშობიარობის შემდეგ ქმრის სახლიდან მიჰქონდათ მამისეულ სახლში ოდაბადე საწირი და თან მიჰყავდათ ბაეშეიც (იხ. სადაბაღო).

ოდუდია მამაკაცების, სახელდობრ, ოჯახის უფროსის ლოცვა საკუთარი თავისთვის ან მემკვიდრე ვაჟისთვის, ლოცულობდნენ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს; ოდუდიასთვის შესახელებული, საზედაშე ქვევრი; მთავარი ლოცვა დუდოღორონთისათვის მამაღმერთისთვის, უზენაესისთვის ღვთაებათა იერარქიაში.

ოდუდია სამგარიო თავ-სამიქელ-გაბრიელო ლოცვა, შესახელებული ქვევრი.

ოკაპუე საკერპე, კაპუნიას სალოცავი, ადგილი, მოღრეცილი მუხის ქვეშ, სადაც იდგა სპილენძის კერპი, უერხთით გართხმული გველეშაპითურთ, რომელიც, თუ მლოცველი დროზე არ მიუყვანდა შესაწირს, მთელ ოჯახს შეუჭამდა (იხ. კაპუნია, კაპუნობა).

ოკაპუნე საკაპუნე შესაწირი, საკაპუნე კერატი (იხ. კაპუნობა).

ოკაპუნე კერი იხ. ოკაპუნე ღეჯი.

ოკაპუნე ღეჯი საკაპუნე ღორი, კაპუნიასთვის შესაწირი კერატი

აღმოჩნდებოდა, წელი სასიკეთო იქნებოდა

ესქედა შეილიერების მომნიჭებელი ღვთაება (იხ. ისკიოღა).

ესქედა ხორციელი ესქედას ეპითეტი (იხ. ისკიოდა).

ესქედობა შეილიერების მომნიჭებელი ღვთაებისათვის ესქედასათვის ლოცვა. ქალები ლოცულობდნენ დიდი მუხის ქვეშ მარტვილში, უას-უღანში. ესქედა ემართა მშეიდობიანად მოლოგინებულ ქალსაც (იხ. ისკიოდობა).

ელიაშ შელებური ელიობის რიტუალური კერი (იხ. ელიობა).

სამოჭყუდუო გინოხვამა საპატარძლოს გადანახულება-

მოყვანის წინა, საქორწინო ლოცვა ვაჟისა.

არსხა იხ. არსხება.

არსხება ახსნა, დახსნა, აწყვეტა (დაბმულისა); ერთგვარი რიტუალი, რომელიც ხატზე გადამცემს ემართა. როცა ხატზე გადაცემული და დაწყევლილი ოჯახი ამოწყდებოდა, წყევლის მობრუნების თავიდან ასაცილებლად მაწყევარი საკლავ-საწირით უნდა ხლებოდა ხატს, რათა შებრალება და წყევლის გაბათილება ეთხოვა. ნაწილობრივ **არსხებას** ახდენდნენ ყოველთვის, როცა გადაცემული ოჯახის რომელიმე წევრი მოკვდებოდა, უპირატესად სწირავდნენ ციკანს.

არსხებული ახსნილი, დახსნილი, აწყვეტილი; გამოლოცვილი, გამოსყიდული ცოდვა მაწყევარისა (იხ. არსხება).

ალანურობა-მალანურობა მალანურობა, მალანურობაზე სიარული, კარდაკარ, აქეთ-იქეთ სიარული.

ალანი-მალანი აქეთური-იქეთური.

ალანური ალანური, ეაქკაცური.

ალანური-მალანური აქეთური-იქეთური; მაგიური სიტყვებიცაა.

ათონჯირაფა ამოწვენა, დაწვენა (ფერხთით); დაწვენა (ხატქვეშ).

განალენი განაელენი, წყევლის გაჭრის საბღაური. ერთგვარი განსაწმენდი, ცოდვის გამოსასყიდი რიტუალი, ლოცვა ხატზე გადაცემული ოჯახის ამოწყევეტის შემდეგ ასრულებდა ხატზე გადამცემი, რათა თავიდან აეცილებინა ხატის რისხვის მობრუნება. განალენს ასრულებდნენ მაშინაც, როცა წყევლის ახდენა ყოვნდებოდა. ასეთ შემთხვევაში მაწყევარი განალენს ასრულებდა ხატზე გადაცემის ყოველ მესამე, მეოთხე წელს, „შესახსენებლად“ ისევ საკლავს სწირავდა ხატს, საკლავის თავი და გულ-ღვიძლი საზედაშე ღვინოსთან ერთად მიჰქონდა ხატთან და მეხატულის დახმარებით კიდევ ერთხელ შესთხოვდა, დაეჩქარებინა წყევლის ახდენა (იხ. არსხება).

განალინი იხ. განალენი.

გაძღი ბალახეულის, ფსალეულის, ბოსტნეულის მფარველი, მოსაელიანობის განმსაზღვრელი (იგივეა, რაც გაძი, გარძღი); ღორმუცელა.

გაძღიკობა ბალახეულის, უხალეულის დღე, აღინიშნებოდა დიდმარხვის 24-ე დღეს, სუთშაბათს ყველანაირ უხალეულს – ჭინჭარს, ბურცხალეს, მაჭარხელიას, სოკოლიას, ლობიოს შეკაზმაედნენ, დააცხობდნენ რიტუალურ კერს უხალეულის საჭესით და გაძის, **გაძღიკიას** აუსთებდნენ სანთელს, რომ მისი გული მოეკოთ. ითელებოდა, რომ იგი ბალახეულის, უხალეულის მომყვანი და მფარველი ღვთაება იყო და. თუ ოჯახი **გაძღიკობას** დახვედრებული უხალეულის სიუხვით მოინადირებდა მის გულს, ასე დაილოცებოდა, ვისაც აქვს, მისცემოდესო.

გაძღიშ თია გაძღის კერძი. გაძღიკობას დიასახლისი ოთხი კედლისკენ აისროდა პურის ან მჭადის პატარა ნაგეხზე დადებულ უხალს, გაძღის, გაძღიკიას კერძი, წილი იყოსო (იხ. გაძღიკობა).

გაძღიშ კვარი რიტუალური კერი **გაძღიკობისთვის**, უპირატესად უხალეულის გულით (იხ. გაძღიკობა).

გეკულა უქმეძალი, სსნილი; კენტი; (სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი), შემოკლებული დღე (მისი საღამო უკვე მომდევნო უქმედღის წილად ითელება); არასაკრალური დღე (ამ დღეს არ შეიძლება შელოცვა, ვერ გაჭრი); სამსხვერპლო, გვარაკის დაკელის დღე; ნაკვეთი დღე (ამ დღეს ქალები საციქველს არ გასცემღნენ, მამაკაცები მძიმე სამუშაოს ხელს არ მოკიდებდნენ და უქმობდნენ. ნაკვეთი დღის რაოდენობა თითოეულ საგვარეულოს ან ცალკე აღებულ ოჯახს სხვადასხვა ჰქონდა, ერთიდან სამ დღემდეც კი კვირაში); ამოსელა მთვარისა; გაბაუხული.

გეკულა სერი უქმეძალის ღამე (სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი ღამე). გეკულა სერი უქმე იყო, რადგან ითელებოდა, რომ უკვე მეორე დღის კუთვნილებას წარმოადგენდა. საღამოს სხვა სამუშაოებთან ერთად აკრძალული იყო ქსოვა, კერვა, ჭრა, ნებისმიერი ხელსაქმე, სტუმრისთვის ფეხის დაბანა და ა. შ. (იხ. საბატონ სერი).

გეკულა სერიშ სიზმარი იხ. საბატონ სერიშ სიზმარი.

გეკულა სერიშ ტახუა უქმეძალის ღამისტეხა (ღამისთევით შეხვედრა დღესასწაულისა)

გეუკუმელაფა ბნელობა; მთვარის რევა; მზის დაბნელება; პერიოდი, რომელიც დგებოდა შემოდგომის ბუნიაობის

შემდეგ, როცა მატებადი ღამე უსწორდებოდა და ჯაბნიდა დღეს (გეთანაფას ანტონიმი); გეუკუმელუაზე, იანვარში, როცა დაწღება და დაიღექება, ღეინოს ახალ ჭურჭელში გადაასხამენ და მიწაში ჩაფლავენ, სხეაგან ამ დროს ჭაჭიდან გამოიღებენ ღეინოს; გეუკუმელუაზე იმართებოდა ნოთობა, ნოთუა ღამის თეეზაობა ჩირაღდნებით.

გეუკუმელუა იხ. გეუკუმელაფა.

გეუკუმელუა სერი მთეარის დაბნელების ღამე, იანვარშია (ამ დროს გამოაქვეთ ღეინო ჭაჭიდან).

გუნალუეფი გამონაელები (წყალი); შემონაელები (სანთელი), საწინდარი, რაიმე ნიეთი, რომელსაც ხატზე გადამცემი იღებდა გინოჩამილისაგან გადაცემულისგან გითოხვამუას გამოლოცვის წინ და შემდეგ უკან უბრუნებდა.

გუნია აგუნა, მწიფობა; ლოცვაც იყო ასეთი, სრულდებოდა ბაეშვის დაბადებისთანაეე (გუნია, დიდებულო, შენ დაიფარე ბაეშვი ალიან-ჩალიანისგანო); პირყეითელა, გეინი; მწიფობისა, მოწიფული.

გუნიაუჩა შაე-ყეითელი; ჩაყურჭებული მსხლის მოშაეო უერი.

გუნიაშ ხვამა ბაეშვის დაბადებისთანაეე ილოცებდნენ ღეინით, რძით, კეერცხით ბიჭისთვის ღეეზელითა და მამლით, გოგოსთვის -კეერითა და დედლით).

ხატიშ ათონჯირაფა ხატის ფერხთით დაწვენა. ხატისგან დამიზეებულს, ხატის განმრისხებელს, ყინიშით შეპყრობილს ხატის ფერხთით დააწვენდნენ პატიების ვედრებით, მონანიების ნიშნად.

ხატიშ ამანათი ხატის ამანათი, ღარიბი, რომელიც დასამუშაევებლად იღებდა ხატის მამულს.

ხატიშ ბონუა ხატის რიტუალური განბანეა მდინარეში, რომ წვიმა წამოვიდეს.

ხატიშ ბრალი ხატის წყრომით, ხატის განაწყენებით გამოწეეული სნეულება.

ხატიშ გაბრალებური ხატის წინაშე ბრალეული; ხატის განმარისხებელი, ცოდეაგადიდებული.

ხატიშ გენთხაფა ხატისგან შერისხეა.

ხატიშ გეტახუა ხატის რისხვის დატეხა.

ხატიშ გითოხვამუა ხატის გამოლოცვა.

ხატიშ გუმაგონე ხატის ჩამგონებელი (ვინც ხატს აგონებს მაცედრებლის სათხოვარს).

ხატიშ დამიზეზებული ხატისგან დამიზეზებული; ტრანსში ჩარჩენილი ქადაგი (თუ იგი დიდხანს ვერ გამოდის ტრანსიდან ანუ ხატი არ უშვებს, შემლოცველი უანდურზე უკრავს საცეკვაოს, რომ სხეულში ჩასახლებული ანგელოზი გამოიწვიოს და დამიზეზებული გაათავისუფლოს. როცა ეს არ ჭრის, მღერის საგანგებო საგალობელს, შესთხოვს ანგელოზს წამოაყენოს და გაათავისუფლოს ქადაგად დაცემული.

ხატიშ დიხა ხატის მიწა, უნჯი მიწა, რომელიც ხატის საკუთრებას წარმოადგენდა.

ხატიშ მაკითხე ხატთან განმარტოებული ქადაგი, კითხული, რომელიც შემლეგ ერს ამცნობდა მის ნებას.

ხატიშ მატახალი სატთან მბრძოლი; ხატის ფიცის გამტეხი, ხატის შემცოდე, მკრეხელი, ეკლესიის ქონების მძარცველი.

ხატიშ მატახალიშ დღა ხატის გამტეხის დღე, დიდი უბედურება, ტანჯვა (გადატ.)

ხატიშ ორო ხატის შიში, ხატის კრძალვა.

ხატიშ ორტყაფუ სელის პატარა კონა, ლოცვისას რომ შეამკობენ ხატს.

ხატიშ ოსხუნური ხატიეით ძვირფასი; ხატის რჩეული.

ხატიშ ოფუჩური ხატიეით საფიცარი; ხატის ფიცი, ხატზე დასაფიცებელი.

ხატიშ ტახუა ხატის ტეხა, კრეხვა, მკრეხელობა; ეკლესიის ქონების ძარცვა.

ხატიშ ტყა ხატის ტყე, რომელშიც შესელა და ხის ჭრა აკრძალული იყო (იხ. ტყაბედინერი).

ხატიშ უღუ ხატის უღელი; მხრებზე ასასხმელი ჯაჭვი მონასიე ცოდვილისათვის; ყვავილებითა და ფერადი ნაჭრებით მორთული უღლის ფორმის საწირი ხატისათვის

ხატიშ ფარა ხატის ფული, ხატისთვის შესაწირი, რომელიც ხელშეუხებელი იყო.

ხატიშ ღვინი ხატზე შესახელებული ღვინო, რომელიც სალოცავ ქვევრებში ესხა და სხვა დანიშნულებისათვის ხელშეუხებელი იყო.

ხატიშ ხოჯი ხატის ხარი, ხატზე შესახელებული, თავისუულად გაშვებული.

ხატიშ ჯვარიშ მატახალი ხატის ჯვრის, ხატის ნების გამტეხი.

ხატიშ ჯვარიშ ტახუა ხატის ჯვრის, ხატის ნების გატეხა, დიდი შეცოდება.

ხატობა ხატობა.

ხატოტი გაბარჯღული, განტოტვილი ხე.

ხატუერდი ხატის უერდობი.

ხაციცი ნებიერა; უერება, ლაციცი; შობა დილის საუზმე, პირის გახსნილება მარხვის შემდეგ; ყველულის გატენით გასუქება სამობაოდ; გატენით გასუქებული ყველული, რომელსაც შობის ღამეს დაკლაედნენ და გათენებამდე უნდა შეეჭამათ (იხ. ოჭმარეშ ხაციცი).

ხეხუნჯობა ხელმხრისა; ხელ-მხრის განათელა, ხელდასმა; მჭედელთა და ხელოსანთა მიერ მჭედლობისა და ხელოსნობის მფარველი ღეთაების – წმ. სოლომონის მიმართ ლოცვის აღვლენისა და მსხვერპლშეწირვის დღე. იმართებოღა 31 დეკემბერს, ბავშვებს დაგზავნიდნენ სოფელში, **მეხეხუნჯეებს** მისცემდნენ მათი ხელმხრის მონაწევს, როგორიცაა მარცელეული (**ჩხვერი**), ვაშლი, მსხალი, წაბლი, კვერცხი, ხურმა, მარილი (აუცილებლად) და მისთ. სანაცელოდ მჭედლის უბნის მოსახლენი არაფერს იხდიდნენ მჭედლის მომსახურებისთვის მთელი წლის განმავლობაში, ამიტომ იყო, რომ თუ მეხეხუნჯენი ვისამე სახლს გვერდს აუელიდნენ, საწყენად რჩებოდა. სურსათის შეგროვების შემდეგ ილოცებდნენ ვრდემლთან. უპირატესად ამ დღეს აკურთხებდნენ ოსტატებად შეგირდებსაც.

ხაჩა-მაჩა ნაყარ-ნუყარი, მდაბიორი.

ხე დო კუჩხი ხელ-უეხი.

ხე დო კუჩხით ვარება ხელ-უეხის საესავი უარის ნიშნად.

ხე დო კუჩხიშ დოციმა ხელ-უეხის დაცვენა; სახსრებში დარღვევა, დაერდომა; ძლიერ შეშინება.

ხე-ხუნჯი (ხე-ხუჯი) ხელ-მსარი, ხელოსანთა ხელდამსმელი ღვთაება.

ხოზო ხორბლის ფქვილის ყველიანი კვერი, ხორბლის უფსო ჯიში; მსუქანი, მსხვილი.

ხოზოკვარი რიტუალური, რძეში მოხარშული ყველიანი კერი ხორბლისა, განკუთვნილი ლოცვის დღისათვის, საღეთო ტაბლისათვის; განსაკუთრებული კერი, რომელსაც ამზადებდნენ წყითკვარობის ბედობის მეორე დღეს, ყველიერის პარასკევს: მასში დებდნენ სის ჩხირს ან ლურსმანს, ვისაც შეხედებოდა, იღბლიანად ითელებოდა და სურა უნდა გაეწყო წყითკვარობის სხვა მონაწილეთათვის.

ხოზოკია პატარა კერი ხორბლისა.

ხოზოკონი იხ. ხოზოკვარი.

ხოჯიშ კვარი სარ-კერი, ხარზე შესახელებული (ნათლიღებას საუკეთესო ხარს გადაამტვრევდნენ და შეაჭმევდნენ).

შარაშ ოხვამერი გზის დასალოცი.

შარტეპატონეფიშ ხვამა ყვავილბატონებიდ საოხი (შარტე ყვავილი, უშატა, ჩხერა (სენი) **შარტა** შატებიანი, სახენაყვავილარი; შატი, ყულფის სახეობა, ნასკვი, რომელიც ერთი წვერის გამოწევით იხსნება; ღილზე გადასაცმელი ყულფი ძაფისა ან თასმისა; ნაქარგის სახეობა; **შარტილი** დაშარტული, გასკვანჩული, არტახებშემოკრული; შეკრული, შატად განასკვული; **შარტუა** შეკერა, შემოსალტვა, შემოჭერა, შატად განასკვა.

შაში შაში, ხელის გამმართველი, მჭედლობისა და რკინის ღვთაება, ხეშხვამას ხელდასხმის დროს შეგირდს მას შეაევდრებდნენ ხელოსნები (სამურგ.); სწორი, მართი.

შელებური რიტუალური კერი, ნაფრას შესაწირი, უპირატესად, ჭვავის ყველიანი კერი; სელის ქსოვილიცაა ერთგვარი; შეძლებული, ძალოვანი.

შურეფიში იხ. შურიშ დღა

შურეფი მიცვალებულთა სულები, აჩრდილები; მათი მოგონება-მოკითხვის დღე.

შურიშ ეშაცონაფა სულის ამოყვანა; წარმართული რწმენით, წყალში დამხრჩვალის სული იქვე რჩებოდა, თეთრად მოსილი დედა ან სხვა ახლობელი სულის მხსნელის კარნახით ბღვის თუ მდინარის პირას ცეკვაეღა, მღეროდა, აჩხაკუნებდნენ ფანდურს, რომ სული ამოეტყუებინათ წყლიდან, თან მიჰყავდათ მამალი, რომლის ქცევა მიანიშნებდათ სულის ადგილსამყოფელზე მიჰქონდათ ტიკი

(რომელიც გაიბერებოდა, თუკი სული შიგ ჩავიდოდა), თეთრი ძაფის ყორგალი (რომელსაც გზაღაგზა შლიღნენ, რომ სული ძაფს გამოჰყოლოდა). თუკი, შინ დაბრუნებისას, მამალი ცხედარს დააფრინდებოდა გულზე, სული წყლისაგან დასსნილად ითვლებოდა.

შურიში სულის ხსენების დღე, შაბათი; სულისა, სულის საცხოვნებელი, მიცვალებულისთვის განკუთვნილი, მისთვის სახელდებული.

შურიშ ცხენი სულის ცხენი; მიცვალებულის ცხენს შაეად შესდრაეღნენ, ფაფარში შაე ნაჭრებს ჩაუწნავღნენ, ზოჯერ უკუღმა კაბმაეღნენ, იგი მიცვალებულის ფერხთით დჯებოდა, მიუძღოდა პროცესიას სასაფლაოსკენ. სულის ცხენზე მთელი წელი არავინ ჯდებოდა, რაღგან იგი სულის კუთვნილად ითვლებოდა და უმხედროდ ჭენებით, ფლოქვთა ცემით და ჭიხვინით აცნობდა დროდადრო, რომ მასზე სული ჯდებოდა. გარდაცვალების წლისთავზე გამართულ მარულაზე გარდაცვლილის ახლობელი ყმაწვილი მხედრობდა, ეს იყო გამოთხოვება ძველ მხედართან და საყვარელ ცხენთან გაყრილი სულიც ამის შემდეგ ალობას თავისუფლებას აძლევდა მას. სხვა შემთხვევაში ცხენს მანამდე აჭუნებდნენ, სანამ გული გაუსკდებოდა. სულის ცხენი ხშირად დაღუპული მხედრის სულის დახსნაშიც მონაწილეობდა.

შურუბუმობა დუმილი; მდუმარება, დუმილის აღთქმა; სახლის, სახლეულის განწმენდის რიტუალი, იგივე **გოხარჭალაფა, აწყობდნენ** დიდ ხუთშაბათს. საგანგებოდ ირჩევდნენ მეშურუბუმეს, დუმილის შემნახველ ქალწულს, რომელიც წინა ღამეს, ნავახშმევს თითისტარზე მატყლს დაართავდა და მუნჯდებოდა, **შურუბუმობას** იწყებდა. ხუთშაბათს, გამთენიისას იგი ოჯახის წევრებს ფეხზე მალულად შეაბამდა მატყლის ძაფს და ქვაბსა და ტაშტებს აუტეხავდა რასა-რუსს. გამოღვიძებული სახლეული შემოეხვეოდა მეშურუბუმეს და სიცილ-ხარხარით ცდილობდა ხმა ამოეღებინებინა მისთვის. შემდეგ მთელი ეს პროცესია ქვების ერთმანეთზე ცემით ქალწულის კვალდაკვალ შემოიელიდა სახლს, ეზო-კარს და აფრთხობდა მკბენარს, მღრღნელებს (იხ. წყირიშ ჭოფუა). ქვებს მიუკაკუნებდნენ მსხმოიარე

ხესილს მაენესაგან დასაფარად, ხოლო მეწლეევეს მოჭრით დაემუქრებოდნენ (იხ. ჯაშ შქურინაფა). დასასრულ, მეშურუბუმე ნასშირის წრეს შემოაელებდა სახლს, რომ აესული და ბოროტი ეეღარ მიჰკარებოდა და ხმას ამოიღებდა, ყეელას დალოცაედა. იმ დღეს კერაზე დარჩენილ ნაცარს მთელი წელი ინახავდნენ და თუ მაენე მაინც გამოჩნდებოდა, სახლში მიმოაბნეევდნენ (იხ. შურუბუმ ტუტა).

შურუბუმ ტუტა შურუბუმობის დღეს მოხეეტილი ნაცარი, რომელსაც ინახავდნენ და თუ ბაღ-ბოსტანში მაენებლები გამოჩნდებოდნენ, მიმოყრიდნენ, გაანადგურებსო (იხ. შურუბუმუ).

შქვითოხვამერი შეიდსალოცავი, (იხ. შქვითული).

შქვითტიანობა შეიდმტეენობა, მტეევანმრაელობა (იგივეა, რაც ტიანობა). ვაზის მსხმოიარობის უღიღეს მაჩეენებლად შეიდი მტეევანი ითვლებოდა, ამიტომ **შქვითტიანობაშ ოხვამერი** შეიდმტეენიანობისთეის ლოცვა ეაბის მოსაელიანობისთეის ლოცვა იყო თავისი არსით. ლოცულობდნენ დიდმარხეის პირეელ კეირას დიდი რიტუალური ოთხკუთხა ყეერბეულით, კერიაზე გამომცხვარი მჭადით **ბადიდჭკიდით** და **მნახარებით** პატარა მრგვალი უორმის სალოცავი კეერებით, რომელთა რაოდენობა მკაცრად იყო განსაზღერული – შეიდი. ოჯახის უფროსი საგანგებოდ მოწეეულ მოკეთე მამაკაცებთან ერთად კერიასთან დაიჩოქებდა, ხელით შემოატარებდა **ბადიდჭკიდს**, ხოლო **მნახარებს** ცეცხლში ჩაყრიდა და, რომ დაიწეებოდა, იტყოდა, სანამ მათ ცეცხლიღან უკანეე არ ამოეიღებ, ღმერთო, დაიფარე ჩემი ოჯახი შიმშილისა და წყურეილისგანო.

შქვითული შეიდეული, შეიდი ერთეულისგან შემდგარი რამ (საგოგ.); მსგეფსი; შეიდი სალოცავი, შეიდი წმინდანი, შეიდი მნათობი.

შქვითულიშ ხვამა მარხეის გასტუმრების ნიშნად რიტუალური ჭამა ხორცეულისა (ცხრაწეენას მსგავსად); შეიდეულის ლოცვა, ჭირსახულის აღებისაღმი მიძღვნილი ლოცვა იმართებოდა ოქტომბრის ბოლო ორშაბათს. უნდა დაკლულიყო შეიდი სული სხვადასხვა შესაწირავი: ხბო, ბატკანი, ციკანი, გოჭი, მამალი, იხვი და თეეში. დააცხობდნენ პურის, ფეტვისა და სიმინდის კეერებს. შქვითულზე

შესახელებული ქვევრის თავზე აანთებდნენ სანთლებს, ირგელიე შემოუსხდებოდნენ ოჯახის წევრი და მოწვეული მოკეთე მამაკაცები. მლოცველი მადლობას შესწირავდა ღმერთს კარგი მოსავლისათვის და შემდგომ მფარველობას შესთხოვდა მას. ამის შემდეგ დანარჩენი მლოცველები თავზე შემოიცლებდნენ საკმეველს და სანაკვერცხლე თანაქაზე თუნუქზე დაყრიდნენ. მოხდიდნენ ქვევრს, იგემებდნენ სალოცავ ხონჩაზე დალაგებულ ნაწილებს შეიდეულისა და, როცა სანთლები ჩაიწვებოდა, სუფრას შემოუსხდებოდნენ.

შქვილს გითოყონაფა წმინდა გიორგის რკინის მშვილდში გატარება ცოდვების მონანიების, განკურნების მიზნით. სხვაზე ცნობილი იყო ილორის წმინდა გიორგის მშვილდში გატარება, უპირატესად აქ მოჰყავდათ სულით მოავადენი, ცოდვით დამძიმებულნი, ყინიშით შეპყრობილები. ყახედვნა, მორჯულება, დამორჩილება (გადატ.).

ჭაპუ ქალამნის ამოსაკრავი თასმა, წერილი თოკი, ხეზი; ერთგვარი სალოცავი: ბავშვი რომ სიარულის დაწყებას დააგვიანებდა, ჭაპუს გამოულოცავდნენ. მოზრდილ კეერს **აკვაკვარს** გამოაცხობდნენ, ბალღს წითელი ძაფებით შებორკაღნენ, სამგადის კართან დააყენებდნენ. ვინმეს მეზობლის ბალღთაგან **აკვაკვარის** ნატეხს მისცემდნენ ხელში, ეზოს შემოარბენინებდნენ და იტყოდნენ, ღმერთო, მაჩვენე ესეც ასე დარბოდესო. მორბენალი ბოლოს შეკრულ ბალღსაც გაურბენდა და წვივებზე ძაფებს შეაწყვეტდა. სამ დღეში იგი ფეხს აიდგამდა (იხ. ორულაში).

ჭამ ეფაჩუა იხ. **ჭამ ესუნაფა**.

ჭამ ესუნაფა მოლოგინებასთან დაკავშირებული რიტუალი: ბავშვის დაბადებიდან ოთხი კვირის თავზე ოჯახი უხმობდა ბებიაქალს, რომელსაც უნდა აეშალა ლოგინი (ჩალა) ნამშობიარევისა. მას ახვედრებდნენ ოთხ კვერს, ერთ შქაში **ნერჩს** ანუ შოთიით წაგრძელებულ ყველიან ღვეზელს და ბავშვის მამის მიერ ჩამოქნილ სანთელს. ბებიაქალი დალოცავდა მელოგინესა და ბავშვს, შემდეგ პატარა კვერებს შეაჭმევდა ქალს, ხოლო დიღს – მთელ ოჯახს. ქალი განწმენდილად ითვლებოდა და ჩვილთან ერთად განცალკევებული საღვთოდან საერთო საცხოვრისს

უბრუნდებოდა.

ჭეჭეთობა კულიანების ღამე, როკაპის მეუფების ღამე; ჭიაკოკონა ღამე; სიტყვა-სიტყვით: ჭრელოობა (სახელი განსაბღერულია ტრადიციით, რომლის თანახმად ხალხი იუერადებდა სახეს და იმოსებოდა ჭრელა-ჭრელა ტანსაცმლით), იმართებოდა 14 აგვისტოს, კოცონს ანთებდნენ წალამისაგან, მაგრამ ვისაც აბრეშუმის ჭია ესვა, უსათუოდ ამ დღეს უნდა დაეწვა მისთვის დაწნული სიმინდის ღერის ძველი ჩელტები; კოცონზე გადახტომა ეშმაკეულის განრიდების, ცეცხლით განწმენდის რიტუალს წარმოადგენდა, ამასთან, კოცონი აურთხობდა ბალღების გულებზე მონადირე კულიანებს.

ჭოროფაში წვიმიანობისა (ლოცულობდნენ გვალვის ან წვიმების დროს; მთიდან საქონლის ჩამოსელამდე დაკლავდნენ საკლავს, **ელარჯსა** და **ჩემქვას** გააკეთებდნენ და წვიმის გამოსასმობად ან თავიდან ასაცილებლად ილოცებდნენ მწყემსები).

ჭუკიშ თია თაგემარიობა, თაგვის წილი, იციან მარიამობის შემდეგ, თაგვს გადაუგდებენ თავის კერძს, რომ მოიმადლიერონ და ყანას არ აესოს.

ჭყონიშ ხვამა საღეთო მუხის ლოცვა, იმართებოდა აპრილის დამდეგს. ლოცვას წინ სანგრძლივი, გოგჯერ ორკვირიანი მარხვა უძღოდა. წინა ღამით მთელი სოფელი აიშლებოდა და უხუცესის მეთაურობით ტყისკენ მიეშურებოდა, მუხის ქვეშ იბანაკებდა, უხუცესი ილოცებდა, შემდეგ ნაბადს მოიბურაედა თავზე, ქალ-ვაჟნი რიგრიგობით მიდიოდნენ მუხასთან, ჯერ ეამბორებოდნენ, ხოლო შემდეგ ხანჯალს ჩაასობდნენ ტანზე, ილოცებდნენ, კვლავ ემთხვეოდნენ და მოხუცის წინაშე დაჩოქილნი აღსარებას იტყოდნენ. სანაცვლოდ, მისგან სანთლის ნაჭრებს იღებდნენ, მუხას სწირაედნენ მამალს, მამრ ცხოველს და მუხის ფოთლების გვირგვინით შუბლშემკულნი ბრუნდებოდნენ შინ. ამ ლოცვას სხვაგვარად **ამშაპსა** და **დოდგიმირის**

ლოცვას ეძახდნენ აუხაჩეთში, ხოლო დანარჩენ სამეგრელოში — **დოდგუმილს** (იხ. დოდგუმილიშ ხვამა).

ჭყონმიოხვამუ ხელეთაება, სალოცავი მუხა.

ჭყონმიოხვამური მუხაზე ხელეთაებაზე ლოცვა (იხ. ჭყოსიშ ხვამა).

ქამხა კვირადღე, მზის დღე, პირველი დღე მზგეუსისა.

ქამხაბედინერი კვირაბედნიერი (აღდგომის დღის ეპითეტი); საღეთო კვირა, უქმე.

ქამხაუქვი კვირაუქმ.

დაბენება განთავისუფლება, რაიმე აღკვეთის, აკრძალვის, ტაბუს, სახელდების მოხსნა და საამისო ლოცვა; ალის გამოთავისუფლება ნაღვერდლისგან, ცეცხლის კარგად ღანთება, დასაბამება (იხ. ბენება, ბესი, ღაჩხირიშ დაბენება).

დაბენებული განთავისუფლებული; აღკვეთისგან, ტაბუსგან, აკრძალვისგან, სახელდებისგან გამოთავისუფლებული საგანგებო ლოცვითა და რიტუალით; კარგად გაჩაღებული, ნაღვერდლისგან გამოთავისუფლებული, აალებული, დასაბამებული ცეცხლი; გამოლოცვილი კერია.

დადმიშველია დადი, მიშველე! (სიტყვასიტყვით), თვალის შელოცვაა, თვალსნეულის ვედრება სინათლის ღვთაებისადმი **დადისადმი**.

დადულ წინკე ღუდალი წინკე, და ბატონები და-ძმა, ია ბატონებისაგან (იხ. ია პატონეფი).

დამარგებუ დამმაგრებელი, დამჭერი, მპყრობელი ქვეყნიერებისა (ღვთის ეპითეტი).

დაჩხირიშ დაბენება ცეცხლის გაჩაღება, დასაბამება; კერიისათვის ღოცვა. სრულდებოდა ახალ წელს (მეკვლე პირველად კერიის ცეცხლს დალოცავდა, ნაკვერჩხლებს ერთმანეთს დაუშენდა და ჩინჩხლებს დააყრევინებდა, ღმერთო, ასე გამიმრავლე ოჯახი და საქონელიო. წინაღამეს შერჩეული და მომარაგებული ფიჩხებისგან გააჩაღებდა ცეცხლს, რომ იგი იმ დილით, რაც შეიძლება, ტკა-

ცუნა და ნაპერწკლიანი ყოფილიყო. საამისოდ ცეცხლში მარილსაც ჩაყრიდა. კერიის ცეცხლს ახალ წელს არ გასცემდნენ, რადგან ეს დღე ცეცხლის დაბენების, დასაბამების დღედ ითვლებოდა).

დაჩხირიშ დორზამა დო სერიშ თანაფა ღამისთევა საულაციპირ დანთებულ კოცონთან (**სასაფლას დაჩხირ ქუდარზია დო ღურელს ვაშქურნენია** სასაულაოზე ცეცხლი დაანთე და მკვდარს არ შეეშინდებაო).

დაჩხირიშ მითოხუაფა ცეცხლის შენახვა ღადარში (ჩაქრობა ცოდვად ითვლებოდა); ცეცხლის შენახვის რიტუალი. ამ დროს ჩურჩულებდნენ: **დედიბი კერიას, ბადიდი ზვანას, თუნთი გვალას, ჩქიმ დაჩხირი ოსოგოთე გოთანას** დედაბერი კერასთან, ბერიკაცი ყანაში, დათვი ტყეში, ჩემი ცეცხლი უწყვეტად, განთიადამდეო).

დაჩხირგეშქირატილი კერაჩამქრალი, ცეცხლდაესებული, ოჯახამოწყვეტილი (წყეელის ფორმულა.

დედო ნერჩი ერთ-ერთი **ნერჩის** უფროსის ანგელოზის სალოცავი რიტუალური კერებიდან; დედამიწა; შუასკნელი.

დიდებაში სახოტბო; დიდებაზე სიარული, ერთგვარი კალმასობა, დაკავშირებული წარმართულ კულტმსახურებასთან; სადიდებო, სადიდებელი, ხუცთა, მეამინეთა (დასტურთა), მოხვეწეთა წარმოსათქმელი სიტყვა, სასულიერო სიტყვიერება, რომლის დანიშნულებაა ღვთაებისა და წმინდანთა ვედრება და დიდება; ე.წ. სახვეწარის გადიდება, წყალობის გამოთხოვა, ხატისთვის საკლავის დაკვლა.

დიდთანაფა აღდგომის დღესასწაული.

დიდ ოხვამე მთავარი სალოცავი, ლოცვა უმაღლესი ღვთაებისადმი.

დიდ ოხვამერი დიდი სალოცავი და მასზე შესახელებული ქვევრი, ახალი წლის პირველი შაბათის ლოცვა, ამ დღეს ზოგან **ჟინი ანთარს** გოჭს უკლავდნენ.

დიდპატონეფი დიდი ბატონები, კრებითი სახელი ისეთი სახადებისა, როგორიცაა ქუსთრუშა, წითელა, ყელჭირვება,

ყბა-ყურა, ყვაეილი, ჩუტყვავილა (იხ. პატონეული, ყვაყვირე, უიღეაია, კორკოცე, ვარდპატონეული, წითელე, შარტე).

დიდ ხვამა დიდი ლოცვა (იგივეა, რაც საღორონთო ხვამა).

დიხაშ გინნოჩემი მიწის გამო წაკიდებულთაგან ერთის მიერ ხატზე გადაცემა და შეღებად ხატისაგან დამიზეზება ბრალეულისა და მისი შთამომაელობისა (უმძიმესი წყევლაა სამეგრელოში).

დიხაშ ნერჩი მიწა, ადგილი, რომელზედაც დგას სახლი; მიწის სული, ღეთაება; მიწის იატაკი.

დიხაშ ჟი მიწის ზევით, ზედაპირზე, დედამიწის ზურგზე.

დიხაშ ხვამა მიწის გამოლოცვა, დალოცვა აღგილისა, სადაც სახლი უნდა აშენდეს (მიწის კურთხევა). ამ დღისთვის დააცხობდნენ ოთხ სალოცავ კეერს, სახლის დასადგმელ ადგილზე აანთებდნენ ოთხ სანთელს ანუ იმდენს, რამდენი კუთხეცა აქვს სახლს, ოთხგან ამოჩიჩქნიდნენ მიწას და იტყოდნენ, ღმერთო, ფუძის ანგელოზო, მიბეღნიერე ეს ადგილი და სამოსახლოო დიხაშ ნერჩი, ბედნიერი ქომიზი თე ადგილი დო ოხორუე (იხ. გინოჩამილ დიხა).

დოდგიმირი დადგმული. იგივეა რაც კაპუნობა, ღორს სწირავდნენ **დიდ ჭყონს** დიდ მუხას, საწირს, მუხის ფუღუროში შედგამდნენ, ამიტომ ეწოდა ამ სალოცავს დოდგიმირი, დოდგიმილი, დოდგუმილი. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, როცა ანდრია მოციქულმა მუხა მოაჭრეეინა, დოდგიმირის სალოცავი ოჯახებში გადაიტანეს და კაპუნობა ამის შემდეგ უწოდეს, ისეეე, როგორც **ფუზეშ ოხვამერი**, სალოცავი, რასაც **დოდგიმირს** და **კაპუნობას** ეძახიან სამეგრელოს ზოგ ადგილებში.

დოდგიმირიშ ხვამა იხ. დოდგიმირი.

დოდგიმირიშ ხორცი დოდგიმირის ლოცვისთვის, კაპუნობისთვის განკუთვნილი ღორის ხორცი, რომელსაც მუხის ფუღუროში შედგამდნენ. დოდგიმირის ხორცს მარტო ოჯახის წევრები ჭამდნენ, ქალებიცა და კაცებიც. გარეშეს,

ოუნღაც გათხოვილსა და ოჯახიდან წასულ ქალიშვილს, ეს ეკრძალებოდა, გამონაკლისი იყო შემოსწრებული (მაგრამ არამც და არამც მოწვეული) სიძე. ქალები ცღილობდნენ, რაც შეიძლება მეტი დოდგიმირის ხორცი ეჭამათ, რადგან ითელებოდა, რომ მით მეტი აბრეშუმი მოუვიდოდათ. დოდგიმირის ხორცი სამ დღეში უნდა შეჭმულიყო, თუ ვერ მოერეოდნენ, ნარჩენებს დაამარილებდნენ, დაშამხაედნენ, ხოლო ძვლებს ცეცხლში დაწვავდნენ ან მიწაში ჩაფლავდნენ, რომ რამე ან ვინმე ვერ მიკარებოდა (იხ. დოდგიმირი, კაპუნობა).

დოდგინა დადგენა, დაყენება (ღვინისა).

დოდგინელი დადგენილი (საქმე); დაყენებული, დამღგარი (ღვინო); ჩამოყალიბებული (კაცი); მიწაზე დადგმული უსაძირკვლო მოგრძო სახლი; ნაყენი (ჩაისა).

დოდგუმა დადგმა (სახლისა); დაყენება (ღვინისა).

დოდგუმილი დადგმული (შენობა); დაყენებული (ღვინო); აღმართული (ძეგლი); ქანდაკება, კერპი, ზოგჯერ კაპუნიასაც ასე ახსენებენ (იგივეა, რაც დოდგიმირი).

ქადაქიმ ძახი ქადაგის ძახილი. 22 აპრილს, გიორგობის წინა ღამეს აირჩევდნენ ათ კაცს, დაამწყვდევდნენ ხატებთან, ამ ათიდან ერთერთს, ასევე არჩევით, დანარჩენი ცხრა ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანდა. მეორე ღღეს, გამთენიისას ქადაგად არჩეულს მაღლობზე აიყვანდნენ და აგონიაში მყოფს, ტრანსში ჩავარღნილს იქიდან აძახებინებდნენ, როგორ იქნებოდა ქვეყნის ამბავი. აქედანაა გამოთქმა: ვაი დო ვუი მეუქვეს ვაი და ვუი მეუქმესო; მოგვიანებით ქადაგად ასარჩევ სალხს უბრალოდ, ერთი ღამით ამწყვდევდნენ ტაძარში, დილით რომელიმე ქადაგად ეცემოდა და სალხს ღვთის ნებას ამცნობდა.

ქირსეპიჩუა ქრისტეშობის მარხვა.

ქომონჯერი ქმრის სანათესაო.

ქომონჯი ქმარი.

ქომონჯიშიანეფი ქმარეულნი.

ქუას გერინა ქვაბე შეღგომა, მწარე ფიცით კარგიფა რისამე (ლაფიცებისას მფიცავს ქვაზე შეაქვსებლხს, რათა მფარველ ნერჩს ფუძის ანგელოზს არ გაეგო და არ მიშველებოდა. ქვაბე შეღგომით ხდება მისი იზოლირება ნერჩისაგან და თავისი სიმართლის ამარა დარჩენა. ქვის ქვაბე ღადება და გელ შეღგომა კი ორგზის გაძლიერებული ფიცი იყო. იხ. ქუაშ ქუაშა მინოდეალა).

ძვაბრა ტყის აფი სული; გაბურძგნული, გაჩეჩილი, ბანჯგელიანი, ეელური, ხრონცი; ლაზარობის რიტუალის მეცრული ეარიანტის პერსონაჟი, რომელსაც კარდაკარ დაატარებენ წვიმისა და ცვარნამისათვის ლოცვაში და წყალს ასხამენ, ბოლოს კი სულაც ღელეში აგდებენ მლოცველები, იგივეა, რაც იმერული გონჯა, გონჯაი; მუხანათი, ბოროტი სული (ვაღატ.) .

ძვაბრა-ძვაბრალე ლაზარობის (ძვაბრას) საფერხულო.

ძივავა საფრთხობელა, გაბურძგნული ტიკინა, გვალვის სიმბოლო, რომელსაც კარდაკარ ჩამოატარებდნენ წვიმისათვის მლოცველები, ჯერ წყლით წუწაედნენ, ხოლო შემდეგ მდინარეში აგდებდნენ. სხვა შემთხვევაში **ძივავას** დასტირიან როგორც მიცვალებულს, ხოლო შემდეგ მისი სახით ასამარებენ გვალვას (იგივეა, რაც ძვაბრა, გონჯა, ძიეოუ).

ძივავობა გვალვის საწინააღმდეგო, წვიმის გამოსახმობი რიტუალი, რომელიც ამ სახელითაა ცნობილი აფხაზეთის მკვიდრთათვის (იხ. ძივავა).

ადგილი სამზეოზე, სამყარო

სუმკვათა სამკვეთი, სამად გაჭრილი, სამბზარი გალენიშთან.

გალენიში – მიცვალებულ სულთა ძალი. მეოთხე განზომილება.

საჩხანო მზიანი ადგილი.

სახორციელე ხორციელთა სამყოფლო, სააქაო.

სახორციელე დო ოშურეთი სააქაო და საიქიო, სახორციელე და სულეთი.

საქირსიანო საქრისტიანო.

მერქა-ოფუტე წუთისოფელი.

საქიანო საქვეყნო.

სუმცა სამცა (**სუმცაშა მენჭაფილი** სამცას წეული).

სუმქართი სამგღუდე.

სოფელ დო მოსოფელი სოუელნი და მსოფლიონი.

სოფელი სოუელი; მსოფლიო; ხმელეთი.

ჟინიშ ნერჩი გესკნელი, გეციური სამყარო, მამაგეციერის სამყოფლო.

ჟინიშ ორთა გესთა ბუნება, გესაარი, არსთა გამრიცე.

ჟინცა გეცა.

ჟინ ჰავა გეღა სუერო; მაღალი, მთის პაერი.

დიხაშ ნერჩი მიწა, აღგილი, რომელგედაც დგას სახლი; მიწის სული, ღვთაება; მიწის იატაკი.

დიხაშ ჟი მიწის გევით, გედაპირგე, დედამიწის ზურგგე.

ხომლა ხმელი, გამხმარი; ხმელ-ხმელი (კაცი); შებოლილი (ყველი, სორცი); ხმელეთი.

ხომლათი ხმელეთი.

ქიანა ქვეყანა; სამყარო; ბეერი, ქვეყნის.

ქიანაუჩა შავი სკნელი, ქვესკნელი (**ქიანაუჩა დონწყუ** ქვეყანა დააქცია).

ქიანაშ გორჩქინუ ქვეყნის დასაბამი; ქვეყნის გამჩენი.

ქიანაშ გორჩქინუშე ქვეყნის დასაბამიდან.

ქიანაშ გუმარჩქინე ქვეყნის გამჩენი, დამბაღებელი.

ქიანაშ დამარგებუ ქვეყნის დამამაგრებელი ძალი, მპყრობელი ქვეყნისა (ღვთის ეპითეტი).

ქიანაშ დუმამარგებელი ქვეყნის მპყრობელი (ღვთის ეპითეტი).

ცოფუ მყოფელი, შემოქმედი; არსება, სულდგმული.